წელიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—3—81.

შაბათი, 5 დეკემბერი 1931 წ. № 278 (3233)

საკ. კ.პ. (ბ) მე-17 სრულიად საკავშირო კონფერენცია

საკ. კ. პ. (ბ) ყველა ორგანიზაციებს

მოსკოვი, 3 დეკემბერი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, მოიწვიოს 1932 წლის 30 იანვარს საკ. კ.პ. (ბ) მე-17 სრულიად საკავშირო კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგი:

1. მეორე ხუთწლედის შესახებ.
2. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საანგარიშო მოხსენება მრეწველობის 1931 წლის მუშაობის და 1932 წლის პერსპექტივების შესახებ.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ი. სტალინი.**

ბოლშევიკური ტემპები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას

პარტიის მე-16 ყრილობამ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია გამოაცხადა პარტიის საბრძოლო ამოცანად. როგორც სოციალისტური მშენებლობის სხვა ფრონტებზე, ისე კულტურული რევოლუციის ამ ფრონტზეც ჩვენ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანების წინაშე ვდგევართ. კლასიური მტერი გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს მშრომელი მასების კულტურულად ამაღლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ განსაკუთრებული მწვავე ხასიათი მიიღო ჩამორჩენილ ნაცუმცირესობათა რაიონებში.

წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გატარების დარგში ჩვენ უდიდეს გამარჯვებებს მივაღწიეთ. მთელ რიგ მნიშვნელოვან პუნქტებში წერა - კითხვის უცოდინარობა მთლიანად აღმოვფხვრით, მაგრამ ამ მიღწევებით ერთი წუთითაც არ შეგვიძლიან დავკმაყოფილდეთ.

სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად, საქართველოში წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა დამთავრდეს 1932 წლის პირველ იანვრისათვის. ზოგიერთ რაიონებში (ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, სენაკი და ონი) ის დამთავრებულია 100 პროცენტით. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში ეს საქმე დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს, ადგილი აქვს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანის ოპორტუნისტულ შეუფასებლობას ზოგიერთ ორგანიზაციების მხრივ და სხვ.

ამჟამად მთელ საქართველოში აღრიცხულია წერა-კითხვის **153.093** უცოდინარი, აქედან 31 ათასი ნაცუმცირესობათა რაიონებში.

როგორც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებული დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების რეიდის მასალებიდან ირკვევა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია **ჯერ კიდევ არ არის გადაქცეული მასიურ - პოლიტიკურ მნიშვნელობის კამპანიად.** მთელ რიგ ორგანიზაციების მიერ ადგილი აქვს ამ ამოცანის აშკარა ოპორტუნისტულ შეუფასებლობას და მის გადაჭრაში არა საკმაო მონაწილეობის მიღებას. „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია არ არის გაშლილი, როგორც მასიურ - პოლიტიკური კამპანია; ადგილი აქვს ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმისადმი და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, როგორც სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანის, არა სათანადოთ შეფასებას მთელ რიგ რაიონულ და ქვედა საფეხურის ორგანიზაციების, კომკავშირულ, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მხრივ, სახალხო განათლების განყოფილებათა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო შტაბის მხრივ“. (ა.-კ. ცაკის დადგენილებიდან).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებლად სუსტია მთელ რიგი სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, ძალიან სუსტია მათი ყურადღება ლიკსკოლების დაფინანსებისა, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი და სხვ. სამეურნეო ორგანიზაციებს დღემდე აქვთ განსახკომის მილიონ ასი ათასი მანეთის დავალიანება, რომლის განაღდება ჭიანურდება. ზოგიერთ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სავალდებულოდ არ მიაჩნიათ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში აქტიური მონაწილეობის მიღება. ჩვენი გაზეთის ბრიგადას „საქართველოს ჩაი“-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განუცხადა, რომ: „ჩვენ შტატში არ გვყავს წერა-კითხვის უცოდინარები, ჩვენს განკარგულებაში მყოფ ჩაის საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობებს თავიანთი თანხები აქვთ ამ დარგში სამუშაოდ და უნდა იმუშაონ, სხვა რა მონაწილეობა უნდა მივიღოთ არ მესმის“.

მთელ რიგ რაიონებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმის შესრულება საფრთხის წინაშე სდგას. მაგ. სამხრეთ ოსეთში აღრიცხულ წერა-კითხვის შვიდი ათას უცოდინარიდან ლიკსკოლაში სწავლობს მხოლოდ სამი ათასი. აჭარისტანის სოფლების უმეტესობაში დღემდე არ არის გახსნილი ლიკპუნქტები.

ნაკლები ყურადღება ექცევა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას წარმოებათა მუშებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

უმთავრესი მიზეზები, რომლებიც აფერხებენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმის შესრულებას მდგომარეობს იმაში, რომ ოპერატიული გეგმა არ არის მიყვანილი ქვედა საფეხურის ორგანიზაციებამდე, არ არის გამოყენებული მუშაობის სოციალისტური მეთოდები: სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი და სხვ., სუსტია საშეფო ორგანიზაციების მონაწილეობა; ადგილი აქვს მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციების ოპორტუნისტულ უყურადღებობას და სხვ.

სალიკვიდაციო პუნქტებისათვის შენობების დათმობის საქმისადმი საშეფო და სხვა ორგანიზაციების მიერ გულგრილი დამოკიდებულების გამო, ხშირად ჩაშლილია ამ პუნქტების მუშაობა; მომმარაგებელი ორგანიზაციები არ ამარაგებენ სალიკვიდაციო პუნქტებს სასწავლო ნივთებით, ნავთით, სათბობი მასალით და სხვ. ყველა ეს მდგომარეობა აფერხებდა სალიკვიდაციო პუნქტების მუშაობას.

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი იწურება. დეკემბერი დამკვრელი თვეა ჩვენი მრეწველობის და სოფლის მეურნეობაში სამრეწველო-საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. დეკემბერში ჩვენ უნდა შევძლოთ ძალების მთელი შემოქმედებითი უნარიანობის გაშლა ყველა ფრონტზე. უნდა გავაძლიეროთ წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის ტემპები იმდენად, რომ უზრუნველვყოთ 1931 წლის გეგმათა მთლიანად შესრულება, წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია — წვევანდელებსა და ცვალებადელებს შორის, ყველა სამრეწველო მუშების, ტრანსპორტის, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების მუშების, კომუნისტების, კომკავშირელების, საბჭოს წევრების და დელეგატ ქალების მთლიანად ჩაბმა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში 1932 წ. პირველ იანვრისათვის. წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში სოფლად დასაყრდნობ ბაზად უნდა გარდაიქცეს კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები და სამანქანო - სატრაქტორო სადგურები. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანა უნდა დავუკავშიროთ მიმდინარე სამეურნეო - პოლიტიკურ კამპანიების გატარებას, უნდა უზრუნველვყოთ ყველა სალიკვიდაციო პუნქტები საჭირო სახელმძღვანელოებით, სამოსწავლო ნივთებით, განსაკუთრებით ნაციონალურ უმცირესობათათვის. განმანათლებელი დარტყმით უნდა უპასუხოთ კლასიური მტრის წინააღმდეგობას, რომელიც ცდილობს ჩაშალოს ბრძოლა წერა-კითხვის ცოდნისათვის, აგრეთვე მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმისადმი, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯებებს და სხვ.

საჭიროა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ვადაზე დამთავრებისათვის ბოლშევიკური ტემპები მთლიანად უნდა გამოვიყენოთ დარჩენილი დღეები გასულ თვეების გარღვევების ლიკვიდაციისათვის და უნდა შევძლოთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ ისტორიული დირექტივის შესრულება, რომელიც ავალებს „ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტს და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს პირველ რიგში უზრუნველჰყონ წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია და საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება 1932 წელს საქართველოსა და სომხეთში, ხოლო 1933 წელს აზერბეიჯანში“ (საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებიდან).

ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება ვენაში

ვენა, 3 დეკემბერი. ვენაში ამხ. ლუნაჩარსკიმ გააკეთა მეორე მოხსენება. დაესწრო 2.000 კაცზე მეტი. მოხსენებამ ჩაიარა დიდი წარმატებით და უმთავრდა დემონსტრაციებით საბჭოთა კავშირის პატივსაცემად (ადს).

დაუყოვნებლივ ჩავებათ საცალო ფასების შემოწმების ათდღიურში

მოსკოვი, 3 დეკემბერი. საკ. ა. ლ. კომკავშირის ც. კ-მა ყველა ნაცრესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტებს და კომკავშირის სამხარეო დასაოლქო კომიტეტებს მიმართა დეპეშით, რომელშიაც მითითებას აძლევს ყველა კომკავშირულ ორგანიზაციებს — დაუყოვნებლივ ჩაებან ქალაქის და სოფლის მაღაზიებში საცალო ფასების შემოწმების ათდღიურში, რასაც მუშგლეხინის სახალხო კომისარიატი და „ცენტროსოიუზი“ ატარებენ 1-დან 10 დეკემბრამდე. ათდღიურის ჩასატარებლად უნდა მოეწყოს კომკავშირელთა სპეციალური ბრიგადები მუშგლეხინის სავაჭრო ინსპექციისა და სამომხმარებლო კოოპერაციის დასახმარებლად (ადს).

ერთა ლიგა აიძულებს ჩინეთს

უშუალოდ მოელაპარაკოს იაპონიას

გენერალ მა-ს კაპიტულიაცია იაპონელი ოკუპანტების წინაშე

პარიზი, 3 დეკემბერი. ერთა ლიგის საბჭოს სარედაქციო კომისია და შემდეგ „12“-ის სხდომა, ე. ი. საბჭოს წევრთა სხდომა მხარეთა დაუსწრებლად, იხილავდნენ მანჯურიის რაიონში ნეიტრალური ზონის შექმნის საკითხს. საბჭო ცდილობს „მოაგვაროს“ ეს საკითხი რეზოლიუციის მიღებასთან ერთად. ამასთან „მოგვარება“ გამოიხატება შემდეგში: რადგან იაპონია გადაჭრით ეწინააღმდეგება უცხოელ მეთვალყურეთა რაიმე მონაწილეობას ნეიტრალური ზონის შექმნაში, საბჭო დიდ ზეგავლენას ახდენს ჩინეთის დელეგაციაზე, რათა აიძულოს იგი წავიდეს შემდგომ დათმობაზე. „12“-ის სხდომაზე მოიწვიეს ში, რომელსაც არწმუნებდნენ, დასთანხმდეს უშუალო მოლაპარაკებაზე იაპონიასთან ნეიტრალური ზონის შექმნის შესახებ, ამასთან აღუთქვეს მას, რომ უცხოეთის მეთვალყურენი იქნებიან მოლაპარაკების ადგილას და საბჭოს მიაწოდებენ ცნობებს ამ მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ, მაგრამ ისინი არ ჩაერევიან თვით მოლაპარაკებაში. ამავე დროს აშკარად აღნიშნავდნენ, რომ იაპონია არ წავა შემდგომ დათმობაზე (ადს).

ოკუპანტები მანჯურიაში აწესებენ ერთმმართველობას

ტოკიო, 3 დეკემბერი. იაპონიის ხელმძღვანელ წრეებში იხილავენ საკითხს ისეთი აპარატის შექმნის შესახებ, რომელიც განახორციელებს იაპონიის პოლიტიკას მანჯურიაში. გაზეთების გადმოცემით სამხედრო საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „იმ შემთხვევაში, თუ ჩან სუე-ლიანის ჯარი გაყვანილ იქნა მანჯურიიდან, სამხედრო ოპერაციები მანჯურიაში შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს და მანჯურიის საკითხი გადავა დიპლომატიური გადაჭრის სტადიაში“.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ, იაპონიის ინტერესების თვალსაზრისით, საზიანოა „ოთხმმართველობის“ არსებობა მანჯურიაში (სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის თავმჯდომარე, იაპონიის გენერალური კონსული, კვანტუნის არმიის უფროსი და კვანტუნის გუბერნატორი). სამხედრო საბჭოს განზრახული აქვს საგენერალ გუბერნატოროს შექმნა გენერალ - გუბერნატორის მეთაურობით (ადს).



იაპონიის ჯარების საგუშაგო მუკდენის არსენალთან

იაპონიის პრესა გენერალ მა-ს კაპიტულიაციის შესახებ იაპონიის ხელისუფლების წინაშე

ტოკიო, 3 დეკემბ. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, გენერალმა მა-მ ვითომდა მოახდინა სრული კაპიტულიაცია იაპონიის ხელისუფლების წინაშე, საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი ვან ფუ-ლინთან (ხეილუძიანის პროვინციის ყოფილი გუბერნატორი) და გააძევა არმიიდან ვან ფუ-ლინის მომხრეები, მათ შორის სუ ბა-ცუენი, რომელმაც გაილაშქრა ციციკარზე. გააძევა აგრეთვე ჯარის შტაბის უფროსი ტენ ვეი-შანი, რომელიც მოითხოვდა იაპონიისათვის ომის გამოცხადებას.

გაზეთ „ასახი“-ს ცნობით, გენერალი მა ვითომ სავსებით შეუთანხმდა ჩან ძინ-ჰუის (აღმოსავლეთის სამი პროვინციის განსაკუთრებული რაიონის მმართველი) და ჩან ხა-პენს.

ამავე ცნობებით, ხეილუნძიანში პოლიტიკური მდგომარეობა მოწესრიგებულ იქნა. ჩან ძინ-ჰუი ვითომ ამ დღეებში ჩავა ციციკარში, დაინიშნება ხეილუძიანის მთავრობის თავმჯდომარედ და გამოაცხადებს ხეილუძიანის დამოუკიდებლობას.

გენერალი მა ინიშნება ხეილუძიანის ჯარის სარდლად (ადს).

შანხაის საზოგადოებრივობა უკმაყოფილოა ნანკინის პოზიციით იაპონია-ჩინეთის კონფლიქტში

შანხაი, 3 დეკემბერი. გრძელდება უშუალო მოლაპარაკება ველიგტონ კუსა და სიგემიცს შორის.

ხმების თანახმად, **იაპონია მოითხოვს მანჯურიის რკინის გზების იაპონია-ჩინეთის** გაერთიანებულ სამმართველოს შექმნას და იაპონელებისათვის უფლების მიცემას— შეიძინონ მიწის ნაკვეთები მანჯურიაში სამაგიეროდ იაპონელები თანახმანი არიან ხელი აიღონ მეორე ხარისხოვან კონცესიებზე მდინარე იანძის ნაპირებზე.

შანხაის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ნანკინში გაგზავნეს დეპეშა, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ მოლაპარაკების წინააღმდეგ. დეპეშაში გამოთქმულია გაკვირვება იმის გამო, რომ ნანკინის მთავრობა, შეერთებულ შტატების რჩევის თანახმად, წინადადებას აძლევს შის—დასთანხმდეს ნეიტრალური ზონის დაწესებაზე.

დეპეშაში ნათქვამია აგრეთვე, რომ ველიგტონ კუმ უნდა დაიცვას წინანდელი თვალსაზრისი და უარი განაცხადოს უშუალო მოლაპარაკებაზე (ადს).

ამერიკის უდიდესი სარკინიგზო კომპანიის გაკოტრება

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. გაკოტრდა უდიდესი სარკინიგზო კომპანია „უებეშ რეილეროადი“. გზას აღარ შესწევს ძალა გადაიხადოს თავისი ობლიგაციების პროცენტი—151 მილიონი დოლარი. კომპანიის რკინის გზის გადაზიდვაში მთავარ როლს თამაშობდა ავტომობილების გაგზავნა დეტროიტიდან, სადაც ეს გზა იწყება. ავტომობილების გამოშვების შემცირებამ ძალზე შეამცირა გზის შემოსავალი, უკანასკნელ თვეებში გზამ დიდად იზარალა.

უებეშ რეილეროადის გაკოტრება ითვლება სარკინიგზო კამპანიის პირველ მსხვილ გაკოტრებად კრიზისის დაწყების შემდეგ.

სხვა უდიდესი რკინის გზებიც ზარალობენ საქონლისა და მგზავრთა გადაზიდვის მკვეთრად შემცირების გამო (ადს).

საბჭოთა კავშირი და სპარსეთი

„სეტარე-ე-ჯაჰან“-ი სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების მნიშვნელობის შესახებ

თეირანი, 3 დეკემბერი. სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, გაზეთ „სეტარე-ე-ჯაჰან“-ი სწერს:

„ხელშეკრულებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი მომენტი: საბჭოთა მთავრობის მიერ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ცნობა და საკითხი კასპიის ზღვაში ორივე მხარის გემთა მიმოსვლის თანასწორი უფლების შესახებ. საბჭოთა მთავრობა პირველია, რომელმაც ოფიციალურად იცნო სპარსეთის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის კანონი, რამაც გზა გაუხსნა სხვა სახელმწიფოებს, რომ მათაც იცნონ ეს კანონი“.

„მთავრობა და სპარსეთის ხალხი,—გააგრძობს გაზეთი,—ანგარიშს გაუწევენ საბჭოთა მეგობრობის ამ გამოხატულებას“.

შემდეგ გაზეთი ხაზს უსვამს იმ საკითხის დიდ მნიშვნელობას, რომელიც გადაჭრილ იქნა ხელშეკრულებით და რომელიც შეეხება სპარსეთის საქონლის ტრანზიტს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით, „სეტარე-ე-ჯაჰან“-ი აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის მკვეთრ განსხვავებას მეფის მთავრობის იმპერიალისტური მისწრაფებათაგან (ადს).

ვადამდე შევასრულოთ

სახსრების მობილიზაციის მე-4 კვარტალის გეგმა

მოსკოვი, 3 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონებმა ამოცანად დაისახეს — საკავშირო ცაკის სესიის გახსნისათვის ვადამდე შეასრულონ სახსრების მობილიზაციის მეოთხე კვარტალის გეგმა, საკავშირო ფინსახკომის კოლეგიამ, მოიწონა რა მოწინავე რაიონების ინიციატივა, დაადგინა — მიუთითოს ყველა საფინანსო ორგანოებს და ადგილობრივ მუშაკებს იმაზე, რომ საჭიროა სახსრების მობილიზაციისათვის მუშაობის ტემპების ყოველმხრივად გაძლიერება, რათა სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის საფუძველზე და სახსრების მობილიზაციის საქმეში ინიციატივის ყოველნაირად წახალისებით სახსრების მობილიზაციის მე-4 კვარტალის გეგმა შესრულდეს ვადამდე—20 დეკემბრისათვის.

(ადს).

ბელადის მითითებანი გამარჯვების საწინდარია

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს—ამხ. მ. ორახელაშვილს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. ლ. ბერიას. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს—ამხ. პ. მ[illegible]ლაძეს

პატაკი

ჩვენ ამხ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის სამგზავრო ვაგონების საამქროს მუშებმა, ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალმა და მოსამსახურეებმა პარტიული ორგანიზაციების ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, სამეურნეო, პარტიულ და პროფესიონალური მუშაობის გადაჭრით გარდაქმნით საამქროში პარტიის ბელადის—ამხ. სტალინის ექვსი მითითების, ამხ. ანდრეევის ბრძანების და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, მასების ინიციატივის და თვითმოქმედების ენერგიული მობილიზაციით და სოციალისტური შრომის ახალი ფორმების—სოცშეჯიბრების, დამკვრელობის და სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების ფართოდ დანერგვით წარმოებაში,—4 დეკემბრისათვის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულეთ 1931 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმა.

გეგმის თანახმად მთელ 1931 წლისათვის საამქროს დავალებული ჰქონდა 725 ვაგონის რემონტი. რაც წლიური დავალების 100,02 პროცენტს შეადგენს. ამასთან საამქროს აქვს მიღწევები სამრეწველო-საფინანსო გეგმის სხვა მაჩვენებლების ხაზითაც—თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდების და რემონტის დროს ვაგონების გაჩერების შემცირების ხაზით.

მივმართავთ რა პატაკით საამქროს ამ მიღწევების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და თბილისის კომიტეტს სიტყვას ვაძლევთ მათ, რომ კიდევ უფრო განვავითარებთ მუშაობის ტემპებს, სავსებით უზრუნველვყოფთ ამხ. სტალინის ყველა მითითების და ამხ. ანდრეევის ბრძანების რეალიზაციას და მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულებთ 1932 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის ყველა მაჩვენებლებს.

ამხ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის სამგზავრო ვაგონების საამქროს მუშების, ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის და მოსამსახურეების დავალებით 1. საამქროს გამგე **მ. დუნდუა.**

სამკუთხედი: 2. უჯრედის მდივანი
ს. ცატუროვი.

3. საამქროს პროფკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ი. ფილიევი.**

1931 წ. 4 დეკემბერი.
ქ. თბილისი.

თბილისის სარემონტო ქარხნის

სამგზავრო-სავაგონო საამქრომ წლიური გეგმა 11 თვესა და ოთხ დღეში შეასრულა

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხნის სამგზავრო-სავაგონო საამქროს პარტპროფორგანიზაციებმა, ინჟინერ-ტექნიკოსები და დამკვრელ ენთუზიასტების ენერგიული მუშაობით და ბელადის მითითებათა და ამხ. ანდრეევის ბრძანების ურყევად გატარებით ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმა 4 დეკემბერს უკვე მთლიანად შესრულდა.

პირველ კვარტალში საამქროს ყველა სახის შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 182 სამგზავრო ვაგონი, ნამდვილად კი გამოუშვა 213 ვაგონი. პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 117 პროც.

მეორე კვარტალში საამქროს უნდა გამოეშვა 181 ვაგონი, ფაქტიურად გამოუშვა 190 გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. მესამე კვარტალში უნდა გამოეშვა 181 ვაგონი, ნამდვილად კი გამოუშვა 188 ვაგონი. გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. მეოთხე კვარტალში გამოსაშვებ 181 ვაგონიდან 4 დეკემბრამდე გამოშვებულია 136 ვაგონი.

ამრიგად, ქარხნის სამგზავრო სავაგონო საამქროს წლის განმავლობაში უნდა გამოეშვა 725 სამგზავრო ვაგონი, მაგრამ საამქროს დამკვრელმა მუშებმა შრომის ფრონტზე ბოლშევიკური ბრძოლის გაშლით 4 დეკემბრისათვის ყველა სახის შეკეთებიდან გამოუშვეს და რკ. გზას საექსპლოატაციოდ გადასცეს 727 სამგზავრო ვაგონი. წლიური გეგმა შესრულებულია 100,02 პროცენტით. ამავე დროს 26 დღე-ჯერ კიდევ დამკვრელების ხელშია.

ქარხნის სხვა საამქროებმა უნდა მიბაძონ სამგზავრო სავაგონო საამქროს.

დ. ჯღარკავა.

საკავშირო ლაშქრობა-რეიდმა ამხ. სტალინის მითითებათა და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შესამოწმებლად

დაუნდობლად უნდა გამოააშკარაოს ბელადის მითითებათა შესრულების ყველა ხელისშემშლელი

ფართოდ გავშალოთ მასიური მუშაობა საკავშირო ლაშქრობა-რეიდის ირგვლივ

საქ. კ.პ. (ბ) ყველა საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა და გაზ. „პრავდა“-ს რედაქციამ დაადგინეს ჩატარებულ იქნას ნოემბრის 23-დან დეკემბრის 23-მდე ბეჭდვითი სიტყვის დამკვრელებისა და მუშგლეხინი — საკონტროლო კომისიის სრულიად საკავშირო რეიდი-ლაშქრობა ამხ. სტალინის ექვსი მითითების და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებათა რეალიზაციის მიმდინარეობის შესამოწმებლად.

ამიერ - კავკასიაში რეიდი ტარდება დეკემბრის 1-ლიდან და დასრულდება დეკემბრის ოცში.

ამის გამო ყველა პარტორგანიზაციები, მუშგლეხინი — საკონტროლო კომისიის ორგანოები და ადგილობრივი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები დაუყოვნებლივ უნდა ჩაებან ამ რეიდში (მუშგლეხინი — საკონტროლო კომისიის ორგანოების ხელმძღვანელობით) და გამოჰყონ სპეციალური კომისიები რეიდის სახელმძღვანელოდ, და აგრეთვე შემმოწმებელი ბრიგადები ისე რომ შემოწმების მთელი მუშაობა დამთავრდეს ადგილებზე არა უგვიანეს დეკემბრის 15-სა, ხოლო 17-18 დეკემბრისათვის შემოწმების შედეგების ამომწურავი მასალები წარმოდგენილ იქნეს ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და საქ. მუშგლეხინი-ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში.

გაშალეთ მასიური მუშაობა ამ ლაშქრობა - რეიდის ირგვლივ და უზრუნველყავით ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მუშათა საზოგადოებრიობისა, პროფკავშირებისა, კომკავშირული და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მხრიდან.

შემოწმება გაავრცელეთ ყველა სამრეწველო - სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე და მათ ობიექტებზე.

კონკრეტული ხელმძღვანელობისათვის გამოიყენეთ მუშგლეხინი — ა.-კ. საკონტროლო კომისიის დირექტივები და მასალები, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს და „კომუნისტი“-ს ა.-წ. ნოემბრის 30-ს და დეკემბრის 2-ს ნომრებში და აგრეთვე საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის მითითებები.

ს. კ.პ. (ბ) ც. კ. მდივანი **გ. ყურულაშვილი.**

თვითშემოწმების შედეგები

(სამტრედია)

სამტრედიის რაიონში ბელადის 6 მითითების შესრულების შემოწმება წარმატებით მიმდინარეობს. ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაციისათვის ყველა საწარმოებში, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობებში რაიპარტკომის მიერ მომაგრებულ იქნა პასუხისმგებელი ამხანაგები. მითითებათა შესრულების თვითშემოწმებამ გამოარკვია შემდეგი: რაიონის მთელ რიგ საწარმოებებში ჯერ კიდევ არ არის მუშაობა გარდაქმნილი ბელადის მითითებათა საფუძველზე, თვითშემოწმებასთან დაკავშირებით ფართოთ გაიშალა კულტმუშაობა: შესდგა კულტ-ბრიგადები, საწარმოებში მიმდინარეობდა საუბრები, ყველგან ეწყობოდა სალამო-წარმოდგენები, რამაც ხელი შეუწყო ბელადის მითითებათა შესრულების შემოწმების წარმატებით ჩატარებას.

სამტრედიის ძაფსალები ქარხანა განიცდის მუშების დიდ ნაკლებობას. ეს გარემოება დიდათ აფერხებს საწ.-საფ. გეგმების შესრულებას. წარმოებამ მუშა-ხელის შეგროვების მიზნით ხელშეკრულება დასდო ძველი სამტრედიის კოლმეურნეობებთან მაგრამ ამ უკანასკნელებმა დავალება არ შეასრულეს.

ქარხანაში ამხ. სტალინის მითითებების გატარების შემდეგ მოისპო გაუპიროვნება და ხელფასის „მომემარცხენო“ გათანაბრება. მუშაობა გადაყვანილ იქნა სანარდო სისტემაზე, რამაც გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ძველი სამტრედიის მეურნეობაში ადგილი აქვს მუშათა ცვალებადობას, რაც გამოწვეულია მუშათა მომარაგების საქმის ცუდად დაყენებით და ხელფასის არა სწორი ორგანიზაციით.

სამტრედიის რკ. გზ. სადგურებში ადგილი აქვს ისრების გაუპიროვნებას. ამის გამო ხშირად ხდება მარცხი. გარდა ამისა, ადგილი აქვს ხელფასის გათანაბრებას, ასე მაგ.: მეისრე-მემუხრუჭე და გადამბმელი ერთნაირ ხელფასს იღებენ.

სამტრედიის აგურის ქარხანას სისტემატიური გარღვევები აქვს, რაც გამოწვეულია მუშათა ცვალებადობით და ქარხანაში არსებულ გაუპიროვნებით. მასიურ-კულტურული და პროფ. მუშაობა სრულიად არ სჩანს, არაა სათანადოთ გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა.

ამხ. სტალინის მითითებათა შესრულების შემოწმების დროს საწარმოებში პროფკავშირის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდ **112 დამკვრელი ბრიგადა 1488 მუშის შემადგენლობით.** თვითშემოწმებასთან დაკავშირებით საუკეთესო დამკვრელებს მიეცათ ჯილდო.

საკუთარი ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის დარგში სამტრედიის საწარმოების მუშებს აქვთ დიდი მიღწევები. წარმოებებში არსებობს სხვადასხვა ტექნიკური კურსები და სკოლები, რომლებშიც მიმდინარე წელს გადამზადდა 305 დამკვრელი მუშა. აქედან ინსტიტუტებში გაგზავნილია 115.

სამეურნეო ანგარიშზე გადასულია სამტრედიის საწარმოთა ყველა წევრები. ძაფსალების ქარხნის 14 ბრიგადა, დეპოს 7 ბრიგადა, საქსოვი ფაბრიკის 3 ბრიგადა და სხ.

მუშათა მომარაგების დარგში ჯერ კიდევ მრავალი დეფექტები გვაქვს. სასადილოებში მზადდება ცუდი ხარისხის საჭმელები.

ბინების მხრივ მუშები ცუდ პირობებში იმყოფებიან. არ არის დაცული ბინებში სისუფთავე და სხვ.

საჭიროა სამტრედიის საწარმოებმა გარდაქმნან მუშაობა ბელადის მითითებათა საფუძველზე.

ა. კირცხალია.

როგორ სრულდება ბელადის მითითებები

(ჭიათურის რაიონი)

ჭიათურის ზოგიერთ წარმოებაში ბელადის მითითებები სუსტად სრულდება. ადგილობრივ ორგანიზაციებს თავი არ შეუწუხებიათ მუშაობის გარდაქმნისათვის.

ჭიათურის შავი ქვის ტრესტს მთელს რაიონში აქვს ოთხი საწარმოო წერტი: პერევისის, შუქრუთის, მღვიმევის და რგანის. აღნიშნულ წარმოებებში რამოდენიმე ბრიგადა ჯერ კიდევ არ არის გადასული სამეურნ. ანგარიშზე. ბრიგადები, რომელნიც გადასული არიან სამეურნ. ანგარიშზე, კარგ შედეგს იძლევიან როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდაში, ისე თვითღირებულების შემცირებაში და მასალის ეკონომიაში. მუშებს დღემდე არა აქვთ მიჩნეული თავიანთი მანქანა - იარაღები.

გამწევ ძალის მოვლას მუშები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. ადგილი აქვს გამწევი ძალის გაუპიროვნების ფაქტებს.

ამხ. სტალინის მითითებათა სრული გატარებით უზრუნველვყოთ აღნიშნული დეფექტების აღმოფხვრა.

გ. კურტანიძე

გამოვიყენოთ ქარბი მუშა-ხელი

ონის რაიონში ქარბი მუშა-ხელი მუდმივად მოიპოვება, განსაკუთრებით კი ზამთარში. რაჭიდან ყოველ ზამთარში გადის თავისუფალი მუშა - ხელის დიდი რაოდენობა.

მიუხედავათ ამისა მუშა-ხელის შეგროვების გეგმები მაინც არ სრულდება. რა არის მიზეზი? ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მუშები გარე რაიონებში მიდიან უგეგმოთ — ვისაც როგორ სურს. დროულად არ არის წარმოებებთან დადებული ხელშეკრულებები, არ ხდება ქარბი მუშა-ხელის აღრიცხვა და გეგმიანი შეგროვება, არაა საამისოდ ჩატარებული მუშაობა და სხვა.

რაიონში სამი თვეა არ არის შრომის ინსპექტორი, ამის გამო რაიონის არც ერთმა ორგანიზაციამ არ იცის ქარბი მუშა-ხელის რაოდენობა ხშირად სხვადასხვა საწარმოებიდან მოსული მუშათა შემგროვებლები ორი-სამი დღე ონის ქუჩებში სიარულის შემდეგ უშედეგოდ ბრუნდებიან უკანვე.

ონის რაიონს შეუძლია მუშათა გეგმიანი შეგროვებით ზამთრის პერიოდში აღმშენებლობას, მიაწოდოს 5.000 მუშა. ამისათვის საჭიროა ქარბი მუშა-ხელის სწორად აღრიცხვა.

ცახელი

ახალი მექანიკური ქარხანა ჩაება ლაშქრობაში

გუშინ მუშაობის დამთავრების შემდეგ თბ. ახალ მექანიკურ ქარხანაში გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციამ მოაწყო ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების თათბირი. თათბირზე შემუშავებული იქნა კონკრეტული გეგმა ქარხანაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინის და გაზ. „პრავდა“-ს მიერ გამოცხადებული რეიდი — ლაშქრობის ჩასატარებლად ამხ. სტალინის 6 პირობისა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებათა რეალიზაციის მიმდინარეობის შესამოწმებლად.

დღეს საუზმის დამთავრების შემდეგ ქარხანაში გაიმართება მიტინგი რეიდი — ლაშქრობის ჩატარების მნიშვნელობის შესახებ, რის შემდეგ მნიშვნელობის შესახებ, რის შემდეგაც ამ საკითხზე გამოშვებული იქნება გაზეთ „კომუნისტი“-ს კედლის ფურცლები. ამავე კრებაზე გამოყოფილი იქნება ბრიგადები, რომლებიც „კომუნისტი“-ს რედაქციის ხელმძღვანელობით 7 დეკემბრიდან შეუდგებიან პრაქტიკულ მუშაობას.

დამკვრელ მუშკორთა შეკრება

(სარემონტო ქარხანა)

3 დეკემბერს შესდგა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხნის დამკვრელ მუშკორთა შეკრება. შეკრების დღის წესრიგში იდგა საკითხი საკავშირო ლაშქრობა - რეიდის ჩატარების შესახებ.

შეკრების მონაწილეებმა თავისი თავი გამოაცხადეს „პრავდა“-ს, „ზარია ვოსტოკა“-ს და „ჩვენი „საყვირი“-ს სახელობის დამკვრელებად და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ლაშქრობა-რეიდის საუკეთესოდ ჩატარებაზე თბილისის დეპო და 26 კომუნარის სახელობის ქარხანა.

დაწვრილებით ხვალ.

ბრიგადების გამგზავრება

„კომუნისტი“-ს რედაქციის მიერ **ამხ. სტალინის 6** მითითების და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შესამოწმებლად გამოყოფილი ბრიგადები გუშინ საღამოს უკვე გაემგზავრენ ადგილებზე.

ბრიგადები გაიგზავნა ტყიბულში, ჭიათურაში, შირაქში და ზესტაფონ-ფერო - მარგანეცის ქარხნის მშენებლობაზე.

ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლა—მაღალ პრინციპიალურ საფეხურზე

ბელადის მითითებაა: ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები ავიყვანოთ სათანადო სიმაღლეზე, ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე დავაყენოთ მეცნიერულ ბოლშევიკურ რელსებზე, გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტულ და ყველა სხვა ფალსიფიკატორების წინააღმდეგ და სისტემატიურად ჩამოვგლიჯოთ მათ ნიღაბი

მარქსისტ-ისტორიკოსთა საერთო საქალაქო კრება

30 ნოემბერს საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში შესდგა ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით, სრულიად საქართველოს მარქსისტ - ისტორიკოსთა საზოგადოების ქალაქის წევრთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა საზ-ბის განვლილი მუშაობის ანგარიში. შესავალ სიტყვაში ამხ. ფ. მახარაძემ აღნიშნა, რომ მეცნიერების დარგში ისტორიული ფრონტი დღეს დიდ ყურადღებას იქცევს, ისტორია ამზადებს ახალ თაობას და ამიტომ მთელი საქმიანობა ისტორიულ აზროვნების სწორ განვითარებისაკენ უნდა იყოს მიმართული. ჩვენ სახელმწიფოში ისტორია შეიძლება იყოს მხოლოდ მარქსისტულ - ლენინურ გაგებით, ისტორია უნდა წარმოადგენდეს გარკვეულ კლასის ინტერესების გაშუქებას. ამ მხრივ ჩვენ ამ დარგში ჯერ კიდევ სუსტნი ვართ. კერძოთ საქართველოში დღემდე ვერ დავეუფლეთ საკმარისად ისტორიულ ფრონტს. მთელ რიგ გამოცემებში ჩვენ ვხვდებით ისტორიულ აზროვნების დამახინჯებას (მაგ. კაპანელის, კოტეტიშვილის და სხვ. შრომებში) უფრო საწუხაროა, როდესაც ასეთ დამახინჯებას ჩვენ ვხვდებით იმ ავტორების შრომებში, რომლებიც მარქსიზმის სახით უშვებენ წიგნებს დიდი სახელით „კლასთა ბრძოლის ისტორია“. მაგრამ, სამწუხაროდ, იქ ვერ დაინახავთ კლასის, მუშათა კლასის ისტორიას. მიუხედავად ამისა, ასეთი წიგნები ჩვენი ავტორიტეტულ დაწესებულებების სახელით და ნებართვით გამოდიან.

ამიტომ ჩვენი საზოგადოებრიობის წინაშე ახლა დიდი ამოცანები სდგას, უნდა შევისწავლოთ ისტორია, მთლიანად უნდა დავეუფლოთ ისტორიულ ფრონტს. უნდა ვიხელმძღვანელოთ ამხ. სტალინის უკანასკნელი სტატიით და მის საფუძველზე ლენინურად დავამუშაოთ ისტორიის ყოველი საკითხი. ახლა მთელი კავშირის მაშტაბით ამხ. გორკის ხელმძღვანელობით ხდება ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შესწავლა, ხდება „სამოქალაქო ომის ისტორიის“ შესწავლა, ამ დარგში საქართველოს მარქსისტ-ისტორიკოსთა საზ-ბა პირველ რიგში უნდა იდგეს.

ჩვენ უფრო შორს უნდა წავიდეთ. საჭიროა შევისწავლოთ გლეხთა ისტორიაც. გლეხმა უნდა იცოდეს თავისი ისტორია. ამ მხრივაც ჩვენ წინაშე დიდი პერსპექტივები იშლება და მარქსისტ-ლენინიზმის ინსტიტუტმა ამ საქმეს სავსებით უნდა უხელმძღვანელოს.

ამხ. გ. ხაჭაპურიძე აკეთებს საანგარიშო მოხსენებას საზ-ბის განვლილი მუშაობის შესახებ, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ისტორიულ ფრონტზე საქართველოში მდგომარეობა ვერ არის კარგი. ჩვენმა საზ-ბამ ჯერ კიდევ ცოტა გააკეთა ამ დარგში. აქამდის ვერ შევსძელით ნაციონალისტურ-შოვინისტურად განწყობილი ისტორიკოსების სავსებით გამომჟღავნება და მათი კონცეპციის დარღვევა. ცრუ-მარქსისტი ავტორები (გიორგაძე და სხვ.) ჯერ არ არიან კრიტიკულად განხილულნი. ამხ. ფ. მახარაძემ ამ მხრივ გადადგა უკვე ნაბიჯი თავისი სტატიით („კომუნისტი“ № 248) ახლა ჩვენმა საზ-ბამ პრაქტიკულად უნდა ჩაატაროს ეს მუშაობა.

შემდეგ ამხ. ხაჭაპურიძე აქვეყნებს საზ-ბის მოქმედების ანგარიშს, წევრთა რაოდენობას, საზ-ბის საწარმოო გეგმას 1931-32 სასწ. წლისათვის და გამოსთქვამს სურვილს, რომ ისტორიულ დარგში მომუშავენი უნდა ჩაებან საზ-ბის მუშაობაში, რათა საბოლოოდ განმტკიცდეს საქართველოს ისტორიის ფრონტი მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ.

კამათში გამოსული ამხანაგები: ყალიჩავა, ბუდილევა, ჩხეტია, ჩიჩინაძე, და სხვ. ძირითადად დაეთანხმნენ მომხსენებლებს და შემოიტანეს მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი საზ-ბის საქმიანობის გასაშლელად.

კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

მოისმინა რა მოხსენებები ამხ. ფ. მახარაძისა „ამოცანები ისტორიულ ფრონტზე“ და გ. ხაჭაპურიძისა „სრულიად საქართველოს მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების მუშაობის შესახებ“, ქ. თბილისის ისტორიკოს - მარქსისტთა საერთო საქალაქო კრება აღნიშნავს:

საზოგადოების მუშაობაში ამ უკანასკნელ პერიოდში გარკვეული გარდატეხა მოხდა, საზოგადოების პრეზიდიუმმა დაიწყო უფრო გეგმიანი და სისტემატიური მუშაობა ისტორიკოს-მარქსისტთა საკავშირო საზოგადოების სადირექტივო წერილის საფუძველზე. საზოგადოებამ ჩააბა მუშაობაში ისტორიულ დისციპლინებში მომუშავე მუშაკთა უმრავლესობა. საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა სექციები. თბილისში და საქართველოს დიდ ცენტრებში დაარსდა საზოგადოების დამხმარე უჯრედები. საზოგადოებას და მის უჯრედებს აქვთ საწარმოო გეგმები 1931-32 წლისათვის, რომლებშიაც გათვალისწინებულია სამეცნიერო - საგამოკვლევო, საზოგადოებრივი, მასიური და პროგრამულ - მეთოდიური მუშაობა. საზოგადოების სხდომებზე მოსმენილ იქმნა რამოდენიმე აქტუალური მოხსენება, დაიწერა რამოდენიმე მეცნიერული შრომა საქართველოს ისტორიიდან, ჩატარებულია წინასწარი მუშაობა საქართველოს ისტორიის მარქსისტულ - ლენინურ სქემის გამოსამუშავებლად. საზოგადოება აქტიურად ებმარება „სამოქალაქო ომის ისტორიის“ გამოცემას, „ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის“ დამუშავებას, ოქტომბრის 15 წლის თავისათვის კრებულის შემზადებას და სხვ.

მიუხედავად ამისა, ქალაქის ისტ.-მარქსისტთა საერთო კრება აღნიშნავს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ მომხდარა ისტორიულ ფრონტზე საჭირო მობრუნება და არ არის განხორციელებული სტალინის ლოზუნგი ახალი წესით მუშაობის შესახებ. მუშაობას არ ემჩნევა ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები, ცოტაა გაკეთებული ისტორიკოს - მარქსისტთა მობილიზაციის ხაზით, მათი რიგები ჯერ კიდევ დაქსაქსულია, ყველა ისტორიკოსი არ არის ჩაბმული საზოგადოების აქტიურ მუშაობაში. სრულიად დაუშვებელია, რომ საზ-ბის წევრთა უმრავლესობა მხოლოდ ფორმალური წევრობით კმაყოფილდება. მთელი რიგი მუშაკებისა (მასწავლებლები, მეცნიერული მუშაკები, ასპირანტები) ჯერ კიდევ საზ-ბის რიგების გარეშე არიან და არასასურველ პასიურობას იჩენენ.

ამხ. სტალინის წერილმა „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხებზე“ სლუცკის ანტიპარტიული, ნახევრადტროცკისტულ სტატიის „ბოლშევიკები გერმანიის სოციალ - დემოკრატიის შესახებ ომის წინადროინდელი კრიზისის პერიოდში“ გამო, ბოლშევიკური სიმძაფრით დააყენა თეორიულ ფრონტის წინაშე დაუნდობელი ბრძოლის საჭიროება ტროცკისტულ კონტრაბანდის, მემარჯვენე ოპორტუნისტულ თეორიების გავლენებთან და დამპალ ლიბერალიზმთან.

თანახმად საკავშირო მარქსისტ - ისტორიკოსთა საზ-ბის სადირექტივო წერილისა „ისტორიკოს მარქსისტებმა უფრო მეტი ენერგიით უნდა იბრძოლონ პარტიის გენერალური ხაზისათვის, ისტორიულ ლიტერატურაში ოპორტუნისტულ გავლენის წინააღმდეგ, ლენინიზმისათვის, ლენინურ მეთოდოლოგიის დაუფლებისათვის, ლენინურ მემკვიდრეობის შესწავლისათვის, ისტორიულ მეცნიერებაში ბოლშევიკურ პარტიულობისათვის“.—

ისტ.-მარქსისტთა საკავშირო საზოგადოების საერთო მუშაობაში, საბჭ. კავშირის ხალხთა, აღმოსავლეთის და დასავლეთის ისტორიის შესწავლაში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად სრულიად საქართველოს მარქსისტ-ისტ. საზ-ბის წინაშე მწვავედ დგას შემდეგი ამოცანები:

ა) დავძლიოთ ჩვენ თეორიულ მუშაობაში სოციალისტური მშენებლობის ამოცანებსა და პრაქტიკის შორის არსებული უთანაბრობა, გავაძლიეროთ ისტორიკოს-მარქსისტთა კოლექტივის უკვე დაწყებული მუშაობა უფრო აქტუალურ საკითხების შესწავლის მხრივ საქართველოს, ამიერ-კავკასიის ხალხთა ისტორიასთან დაკავშირებით და ისტორიულ მეცნიერების საერთო საკითხების გადაწყვეტისათვის;

ბ) კრება აღნიშნავს, რომ საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის მეცნიერულად დასაბუთებული ისტორია წარმოუდგენელია, თუ არ იქნება დამუშავებული ამიერ-კავკასიის ხალხთა ისტორიის მარქსისტულ-ლენინური სქემა. ამ სამუშაოს შესრულება შესაძლებელია ა-კავკასიის ყველა ისტ.-მარქსისტთა შეთანხმებული მუშაობით. კრება საჭიროდ სცნობს, სასწრაფოდ დაისვას საკითხი სამი მოძმე რესპუბლიკის მარქსისტ-ისტორიკოსთა ა-კავკასიის ბიუროს შექმნის შესახებ. ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ხალხთა ისტორიის საერთო პრობლემების დამუშავების მიზნით, ურთიერთ ინფორმაციისათვის, ძალთა გაცვლა-გამოცვლისათვის და სხვ.

გ) საქართველოს ლენინურ და ნამდვილად მეცნიერულ და პარტიულ ისტორიისათვის ბრძოლა თხოულობს გადამწყვეტ ბრძოლას ბურჟუაზიულ - ნაციონალისტურ და სოციალ - ფაშისტურ ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ.

საქართველოს მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების აუცილებელ ამოცანას შეადგენს დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალისტ - ისტორიკოსების წინააღმდეგ, დარღვევა მათი ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური შეხედულებებისა, რომელნიც მიმართული არიან ა-კავკ. ფედერაციაში შემავალ საბჭოთა რესპუბლიკების მოსპობისა და ბურჟუაზიულ - მემამულეთა წყობილების შექმნისაკენ.

თანამედროვე პირობებში სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს წვრილბურჟუაზიული ისტორიკოსები, რომლებიც ხშირად მარქსიზმის ფორმალური აღიარებით, სინამდვილეში იცავენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოებამ დაუნდობელი ბრძოლა უნდა აწარმოოს მათ წინააღმდეგ და ამხილოს მათი ყალბი - მარქსისტული აზრები.

ე) კრება კმაყოფილებით აღნიშნავს ამხ. ფ. მახარაძის ნამდვილ ბოლშევიკურ კრიტიკით გამოსვლას ისტორიკოს-მარქსისტთა რიგებში ისტორიულ პრობლემების შესწავლაში დაშვებულ ნაციონალისტურ გადახრების და ძირმომპალ ლიბერალიზმის წინააღმდეგ (გამოსვლა სიმ. ხუნდაძის და ბ. ბუაჩიძის წინააღმდეგ, „კომუნისტი“ № 248). კრება გადაუდებელ ამოცანად სთვლის დაუყოვნებლივ გადაშინჯულ იქნას უკანასკნელი დროის მთელი ისტორიული პროდუქცია და გამოეცხადოს დაუნდობელი ბრძოლა ყველას, ვინც ისტორიულ გამოკვლევებში, სახელმძღვანელოებში, მარქსისტულ-ლენინურ ფრაზეოლოგიის ქვეშ, ცდილობს გადმოანთხიოს „მოძველებული იდეოლოგიური ნაგავი“ და იძლევა „იდეურ დასაბუთებას ლენინურ გენერალურ ხაზის წინააღმდეგ ბრძოლისათვის“.

მარქსისტულ ისტორიკოსთა შემდეგი მუშაობას საფუძვლად უნდა დაედვას ამხ. სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები სათანადო სიმაღლემდე უნდა ავიყვანოთ, ჩვენი პარტიის შესწავლის საქმე მეცნიერულ ბოლშევიკურ ლიანდაგზე უნდა დავაყენოთ და გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტულ და ყველა სხვა ფალსიფიკატორების წინააღმდეგ და სისტემატიურად ჩამოვგლიჯოთ მათ ნიღაბი“.

საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციისათვის ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მოხსენებათა გამო, განსაკუთრებით „ა.-კ. პარტიულ ორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა, პარტიის წევრთა და კანდიდატთა მარქსისტულ ლენინურ აღზრდისა და იდეოლოგიურ ფრონტზე პარტიის ხაზიდან ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლისათვის“.

მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოებამ უნდა განახორციელოს ისტორიულ ფრონტზე ნამდვილი იდეოლოგიური ხელმძღვანელობა, „ახალი წესით მუშაობისათვის“ გაშალოს ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები. საზოგადოებამ უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა ინსტიტუტებისა და სკოლების პროგრამებით, სახელმძღვანელოებით და მეთოდიური ხელმძღვანელობით, მომსახურების დარგში, უზრუნველყოს ისტორიულ კადრების შერჩევა და მომზადება, ჩააბას წევრები სექციათა მუშაობაში, უზრუნველყოს უფრო მეტი აქტიური მუშაობა „სამოქალაქო ომის ისტორიის“, „ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის“ მასალათა შეგროვების გამოცემისათვის და სხვ.

საზოგადოების ყოველი წევრი უნდა იყოს ხელისმომწერი ჟურნალებზე: «Историк марксист», «Борьба классов», «Пролетарская революция», „რევოლიუციის მატიანე“ და ამ ჟურნალების აქტიური თანამშრომელი.

საზოგადოების მთელი მუშაობის ნამდვილი გარდაქმნისათვის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ფართოდ იქნას გამოყენებული სოცშეჯიბრი, დამკვრელობა და მთელ ისტორიულ მუშაობაში ბრიგადული მუშაობის სისტემა.

საქართველოს ისტორიკოს - მარქსისტთა საზოგადოება უნდა გადაიქცეს მარქსისტულ ლენინურ ისტორიულ აზროვნების ნამდვილ მებრძოლ პოლიტიკურ ცენტრად, რომელიც თავის მუშაობაში ორგანიზაციულად განამტკიცებს ისტორიულ მეცნიერულ ფრონტის შემობრუნებას მარქსისტულ-ლენინური მიმართულებით.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„1932 წელს დაწყებულ იქნას შირაქში ნავთის სამრეწველო ამოღება

ასეთია საქ. კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა

ბოლშევიკური ტემპებით გარდავქმნათ საქართველოს ნავთის მუშაობა, მთლიანად განვახორციელოთ ბელადის 6 მითითება

1932 წელში დავიწყოთ ნავთის სამრეწველო ამოღება

შირაქში ნავთის ამოღების თავის დროზე დაწყებას უდიდესი სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. საქ. კ.პ.(ბ) ცეკას ძველი შემადგენლობა შირაქში ნავთის ამოღებისათვის წარმოებულ მუშაობის გაუმჯობესებას, ვერ აქცევდა სათანადო ყურადღებას. ამის გამო საქნავთი ჩამორჩა.

უკანასკნელად „საქნავთს" მიექცა განსაკუთრებული ყურადღება. საქ. კ.პ.(ბ) 31 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე საქ. კ.პ.(ბ) ცკ-ს ახალი ხელმძღვანელობის მიერ გამოყოფილია უმაღლეს სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებიდან სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს პრაქტიკულ ღონისძიებების გამომუშავება საქ. კ.პ.(ბ) დადგენილებათა რეალიზაციისათვის. ამჟამად კომსია ადგილებზე აწარმოებს სამუშაოთა მდგომარეობის შესწავლას.

„საქნავთი"-ს სამუშაოებზე თითქმის მთელი წლის განმავლობაში მუშაობა სწარმოებდა დაუშვებელი ნელი ტემპით, რასაც ერთი მხრივ ხელს უწყობდა საშენი მასალის ნაკლებობა და მეორეს მხრივ ადმინისტრაციის და ადგილობრივი ორგანიზაციების უგეგმო მუშაობა.

„საქნავთი"-ს წარმოებაში ერთმართველობა არ არსებობდა, რის გამოც ხშირი იყო დავალებების შეუსრულებლობის და გაუპიროვნების ფაქტები. ტრესტის სამმართველოში მომუშავეთა შორის სამუშაო ფუნქციები არ იყო სათანადოთ განაწილებული და სხვა.

ამჟამად მთავარი მუშაობა სწარმოებს სამ პუნქტში: მირზაანში, პატარა შირაქში და წითელ წყაროში. აგრეთვე საგამოკვლევო სამუშაოები სწარმოებს ომფარეთში, გულიანში (გურია) მლაშის ხევში და კილაკუპრაში.

„საქნავთ"-ს პირველ კვარტალში საძიებელი ბურღვით უნდა გაევლოთ 2854 მეტრი. ფაქტიურად გაიარა 1303,7 მ.(გეგმის 49,2 პროც.) აქედან მირზაანში გეგმით უნდა გაევლოთ 2440 მეტრი. გაიარეს 1102,7 მეტრი. (45,2 პროც.) პატარა შირაქში უნდა გაევლოთ 315 მეტრი, გაიარეს 126 მეტრი. (40 პრ.), ომფარეთში და მლაშის ხევში უნდა გაევლოთ 99 მეტრი, ფაქტიურად გაიარეს 70 მეტრი. (70,7 პროც.).

საექსპლოატაციო საძიებელი ბურღვა მთელ სამუშაოებზე გეგმით უნდა გაევლოთ 150 მეტრი. გაიარეს 92 მეტრი. (61,3 პრო.) პირველ კვარტალში საექსპლოატაციო — საძიებელი ბურღვის გეგმა მიცემული ქონდა მხოლოდ მირზაანს. საექსპლოატაციო ბურღვა მიცემული ქონდა მხოლოდ პატარა შირაქს 76 მეტრის რაოდენობით. ეს გეგმა სრულებით არ შესრულებულა.

სულ პირველ კვარტალში, ბურღვის გეგმა 3004 მეტრის გაბურღვას ითვალისწინებდა ფაქტიურად გაბურღეს 1471,7 მეტრი. (49 პროცენტი).

მეორე კვარტალში „საქნავთი"-ს წარმოებას საძიებელი ბურღვა უნდა ეწარმოებია 3770 მეტრზე, მაგრამ ეს დავალება ვერ შეასრულეს. ფაქტიურად მეორე კვარტალში გაიარეს 1590 მეტრი. (42,2 პროც).

საექსპლოატაციო ბურღვა გეგმით უნდა წარმოებულიყო 300 მეტრზე, წარმოებდა 420 მეტრზე. გეგმა შესრულდა 40 პროც.. გადაჭარბებით.

სულ მთელ სამუშაოზე ორივე სახის ბურღვა უნდა წარმოებულიყო 1070 მეტრზე, სწარმოებდა 1010 მეტრზე. (გეგმა შესრულდა 49,4 პრ.).

მესამე კვარტალში საძიებელი ბურღვის გეგმა შესრულდა 43,5 პროც. საექსპლოატაციო საძიებელი ბურღვის 29,6 პროცენტით და საექსპლოატაციო ბურღვის 10,2 პროც. ყველა სახის ბურღვის გეგმა შესრულებულია 37,2 პროც.

ნოემბრის პირველ და მეორე დეკადაში მეოთხე კვარტალის საძიებელი ბურღვის გეგმა შესრულდა 18 პროც. საძიებელი — 31 პროც. ყველა სახის გაბურღვის გეგმა შესრულებულია — 16,6 პროცენტით.

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, გეგმების შესრულება უმწეო მდგომარეობაშია. გეგმების შეუსრულებლობა გამოწვეულია საშენი მასალის და მუშა ხელის ნაკლებობით. გეგმების შესრულებას ხელს უშლის მუშაობის ძველი მეთოდებიც.

გარდა ბურღვისა შირაქის ნავთის სარეწაოებზე მუშაობენ სხვადასხვა წარმოებები. მაგ. წითელ წყაროში მუშაობს მექანიკური სახელოსნო, ავტოპარკი, საწყობი და სხვა. დღემდე აღნიშნული საწარმოები უგეგმოთ მუშაობენ. წითელ წყაროში, სამუშაოების გაცდენების აღრიცხვის საქმე მოწესრიგებული არ არის. კონკრეტული სამუშაო გეგმა წარმოების, საამქროს და მით უმეტეს იგადებს არ გააჩნიათ. ადმინისტრაცია აცხადებს, რომ „მუშაობა ახალი დაწყებულია და ყველაფერი ვერ მოვაგვარეთ"-ო, ნამდვილად კი წელიწადზე მეტია — რაც წითელ წყაროში შირაქის ნავთის წარმოება გაიშალა.

„საქნავთში" მუშაობა თვითდინებაზე იყო დაყრდნობილი. ადმინისტრაცია და ადგილობრივი ორგანიზაციები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ საწარმოო საკითხებს. წარმოებებში გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს წარმოებისათვის ნედლი მასალის და მანქანების სუსტი მომარაგება. ამჟამად 32 საბურღავის ნაცვლად მუშაობს 19 საბურღავი დაზგა. წარმოებისათვის მანქანები უმთავრესად გამოწერილია ხარკოვიდან. მიღებულია ისეთი მანქანები, რომლებსაც უმთავრესი ნაწილები აკლია, რის გამოც მანქანები უმოქმედოდ დგანან.

მიმდინარე წელში კაპიტალური დაბანდებანი შემდეგ სურათს იძლევა: მთელი წლის განმავლობაში უნდა დახარჯულიყო 5.343.000 მანეთი. აქედან: 10 თვის განმავლობაში დახარჯულია 3.440.000 მან. სამუშაოებზე არ მიუღიათ მთელი რიგი მანქანები და მოწყობილობანი, რომელიც მათ უნდა მიეღოთ ხელშეკრულებით.

სუსტად უწყობენ ხელს „საქნავთი"-ს მუშაობის გაშლას სხვადასხვა ორგანიზაციებიც. მთელი ათი თვის განმავლობაში მანქანების ნაკლებობისა და მათი უყაირათო მუშაობის გამო გაცდა 28.653 დაზგა საათი. არა ნაკლებ აბრკოლებს გეგმის შესრულებას ადმინისტრაციის უყაირათო მუშაობა. მაგ. მესამე კვარტალში ადმინისტრაციამ დააგვიანა მოთხოვნილების წარდგენა სხვადასხვა მასალებზე შემდგომ მუშაობაში ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეს.

ჭაბურღილი შირაქში

საქ. კ.პ.(ბ) ცეკას სპეციალურმა კომისიამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს 1932 წელში მანქანების და სხვა საშენი მასალების მოწოდების გეგმის მთლიანად შესრულებას.

1932 წ. გეგმის მიხედვით „საქნავთი"-ს ტრესტის ვარიანტით უნდა დაიხარჯოს 5.799.428 მან. „სოიუზნეფტი"-ს ვარიანტით კი 5.145.000 მანეთი.

მანქანების ცუდად გამოყენება და ადმინისტრატიული ხარჯების ზრდის გამო თვითღირებულება სამუშაოებზე გაიზარდა.

მუშაობის ასე გაგრძელება შეუძლებელია თვითღირებულების შემცირებისათვის გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული. მუშაკების რაციონალური გამოყენებით, სახმარი მასალის ეკონომიით, გეგმიანი მუშაობის გაშლით, უნდა მივაღწიოთ მუშაობის მთლიანად გარდაქმნას ამხ. სტალინის ექვსი მითითების საფუძველზე.

ბ—დე.

საქართველოს ნავთმა უნდა გარდაქმნას მუშაობა

2 დეკემბერს, საღამოს, 7 საათზე, გაზ. „კომსომოლსკაია პრავდას" და საქ. კომკავშირის ცეკას ინიციატივით შესდგა დაინტერესებულ სამეურნეო ორგანიზაციების და პრესის წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც მოისმინა „საქნავთის" წარმომადგენლის ამხ. ბურჭულაძის მოხსენება სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

შირაქის ნავთს, რომელსაც უდიდესი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, ა.-კ. და საქართველოს სათანადო ორგანოებმა მხოლოდ უკანასკნელად მიაქციეს ყურადღება.

საქ. კ. პ. (ბ) ძველი ხელმძღვანელობა სათანადოდ არ აფასებდა საქნავთის უდიდეს სამეურნეო მნიშვნელობას და მის ხვედრით წონას ჩვენ მშენებლობაში, რის გამოც მან ვერ შესძლო მშენებლობის გარშემო საქართველოს მშრომელთა ფართო მასების ყურადღების სათანადოდ მობილიზაცია და მუშაობის სათანადოდ გაშლა.

ეს გარემოება ხაზგასმითაა აღნიშნული საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებაში ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების შესახებ, სადაც ნათქვამია: „ცენტრალური კომიტეტი სრულიად დაუშვებლად სთვლის, რომ საქნავთი, რომელსაც აქვს სამეურნეო განვითარების სერიოზული პერსპექტივები, დღემდე არ იქცევდა საჭირო ყურადღებას ძირითადად ა.-კ. სამხარეო კომიტ. და საქ. ცენტრალურ კომიტეტის მხრით".

სწორედ ამგვარი უყურადღებობით შეიძლება აიხსნას ის გარღვევები, რომელსაც ადგილი აქვს დღეს საქნავთის სამუშაოებზე, და რომლებმაც ფაქტიურად ჩაშალეს 1931 წლის საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულება.

ძირითად დეფექტს, რომელიც ხელს უშლიდა და უშლის საქნავთს საწარმოო პროგრამის შესრულებაში,—მუშაობის გარდაუქმნელობა წარმოადგენს. ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ სამუშაოთა გეგმა 9 თვის განმავლობაში შესრულებული იქნა მხოლოდ 45,5 პროც. აქედან შესრულებული იქნა გეგმა: საძიებელი ბურღვის დარგში—18,6 პროც., საექსპლოატაციო - საძიებელი ბურღვის დარგში — 40,8 პროც. და საექსპლოატაციო დარგში — 52 პროც.

მიცემული ქონდა საქნავთს დავალება—მიმდინარე წლის პირველ 9 თვეში ამოეღო 1516 ტონა ნავთი. ფაქტიურად ამოღებულიქნა 960 ტონა, რაც გეგმის 63,8 პროც. შეადგენს.

განსაკუთრებით ჩამორჩენას ადგილი აქვს გეგმის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების დარგში.

თანახმად გეგმისა, ნავთის საძიებელი ბურღვა მეტრზე უნდა ჯდებოდეს 198 მანეთი; ფაქტიურად ჯდება 349 მანეთი. საექსპლოატაციო ბურღვა მეტრზე, გათვალისწინებულ 145 მანეთის ნაცვლად ჯდება 245 მანეთი. ხარისხობრივი მაჩვენებლების გეგმის ასეთი შეუსრულებლობის მოთმენა მომავალში ყოვლად შეუძლებელია. იგი ზედმეტად აძვირებს ბურღვას და ზრდის არასაწარმოო ხარჯებს.

რამ გამოიწვია საქნავთის სამუშაოებზე ასეთი გარღვევები?

ძირითადი მიზეზი, საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობისა, იმაში მდგომარეობს, რომ საქნავთის მუშაობა და ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი ამხ. სტალინის ექვსი მითითების საფუძველზე, არ არის მიღებული ყველა ზომები იმისათვის, რომ მუშაობის გაშლის დღევანდელმა ტემპებმა უზრუნველყონ 1932 წლისათვის ნავთის სამრეწველო ამოღების დაწყება.

განსაკუთრებით უშლის ხელს საწარმოო პროგრამის შესრულებას, მუშა-ხელის ის დიდი ცვალებადობა, რომელსაც ადგილი აქვს სამუშაოებზე. უკანასკნელ კვარტალში მუშა-ხელის ცვალებადობამ მიაღწია უდიდეს რაოდენობას. აი სათანადო ცნობები:

ბურღვის სამუშაოებისა და დამხმარე საწარმოებზე გასული 9 თვის განმავლობაში მოვიდა 762 მუშა, ხოლო წავიდა 287. 42 მოჯამაგირედან, ამ ხნის განმავლობაში წავიდა 22 მოჯამაგ. სამშენებლო დარგის მუშები, 9 თვის განმავლობაში მოვიდა 400, ხოლო წავიდა 504. მუშა-ხელის დიდ ცვალებადობასთან ადგილი აქვს ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს შორისაც. 22 ინჟინერ-ტექნიკური ძალიდან, რომლებიც სამუშაოზე მოვიდა, სამუშაო დასტოვა 26 კაცმა (მოსულზე მეტმა). ამგვარად, პირველი სამი კვარტალის განმავლობაში მუშა-ხელის ცვალებადობამ მიაღწია უდიდეს სიმაღლეს და გადამწყვეტი გავლენა მოახდინა გეგმების შესრულებაზე.

განსაკუთრებით შეუწყო ხელი მუშაძალის ცვალებადობას მუშათა საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების მოუწესრიგებლობამ

მუშათა საცხოვრებელი ბინები საქნავთის სამუშაოებზე ძალზე ცუდია; ბარაკების არსებული რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მუშათა გაზრდილ მოთხოვნილებას, ისინი მოუწყობელია და შიგ გამეფებულია ანტისანიტარული პირობები. საბინაო მშენებლობისათვის საქნავთს მიცემული ქონდა 300 ათასი მანეთი, რომლისაგან ჯერ-ჯერობით დახარჯულია მხოლოდ 180 ათასი.

განსაკუთრებით ცუდათაა დაყენებული მუშათა კულტურული მომსახურება და ჯანმრთელობის დაცვის საქმე. ყველა სოციალ-კულტურული ხარჯებისათვის საქნავთს მიცემული აქვს მხოლოდ 50 ათასი მანეთი, რომელსაც ოდნავადაც არ შეუძლია არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მუშებისათვის არ არის ხეირიანად მოწყობილი კლუბი, სამკითხველო და სხვა კულტ განმანათლებელი დაწესებულებაში. ჟურნალ გაზეთებს მუშები იღებენ 10—15 დღის და ხანდახან მთელი თვის დაგვიანებით და ისიც ერთად დაგროვილს. ფოსტამ ამ მხრით ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა და ვერ მოაწყო ჟურნალ-გაზეთების თავის დროზე მიწოდების საქმე. უყურადღებოდ ეკიდება საქნავთის სამუშაოებს საქ. განსახკომიც. მას რამოდენიმე მიმართვა გაუგზავნა საქნავთმა, სამუშაოებზე საბავშო ბაღის და ბაგის გახსნის შესახებ, მაგრამ განათლების კომისარიატმა ეს თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა და ასეთი დღემდე გახსნილი არ არის.

უფრო უარეს მდგომარეობაშია მუშათა ჯანმრთელობის და შრომის დაცვის საქმე. აქ დღემდე არ არის ერთი ხეირიანად მოწყობილი საავადმყოფო, სადაც მუშებს შეეძლებათ ნამდვილი დახმარების მიღება. ადგილობრივი ექიმი, მუშებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. და უფრო კერძო პრაქტიკას მისდევს. 200—300 ნაბიჯზე ავადმყოფის სანახავად იგი ავტომობილს თხოულობს და ფეხით წასვლას არ კადრულობს, ექიმი ხშირად სტოვებს სამუშაოს თვითნებურად და სამსახურში არ ცხადდება. ნაკლებ ყურადღებას აქცევს საქნავთს დამზღვევი სალაროც. მიმდინარე წლის განმავლობაში აქ არ მიუღიათ არც ერთი ადგილი სანატორიუმში და დასასვენებელ სახლებში.

მუშათა შრომის დაცვა მოუგვარებელია. მუშებს არა აქვთ სათანადო სპეცტანსაცმელები. ისინი ნავთში და მაზუთში გასვრილი ტანსაცმელით ატარებენ მთელ დღეს. ამას კი შრომის დაცვის და ჯანმრთელობის ორგანიზაციები, მიუხედავად არა ერთი მითითებისა ყურადღებას არ აქცევენ.

უფრო ცუდად სდგას პროფესიული მუშაობა. პროფორგანიზაციის არსებობა აქ არ იგრძნობა. ძირეული სამკუთხედები სუსტად მუშაობენ და ვერ ხელმძღვანელობენ მუშათა ენტუზიაზმს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სამუშაოებზე დღემდე არაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. 1154 მუშიდან, რომელიც ახლა აქ მუშაობს, სოცშეჯიბრებაში და დამკვრელობაში ჩაბმულია მხოლოდ 474 კაცი. (40 პროც.) ადგილი აქვს ცრუდამკვრელობის შემთხვევებს, მაგრამ მის წინააღმდეგ არავინ ზომებს არ იღებს. მოუგვარებელია სოცშეჯიბრების და დამკვრელობის მონაწილეთა აღრიცხვის და დამკვრელთა დაჯილდოების საქმეც.

საქართველოს კომკავშირის ცეკას, თანახმად ხელშეკრულებისა, საქნავთისათვის უნდა გადაეგზავნა 200 კომკავშირელი. ეს ხელშეკრულება დღემდე შეუსრულებელია და კომკავშირის მუშაკებმა ამის შესახებ არაფერი არ იციან.

შირაქის ნავთის სამუშაოთა კოოპერაციამ კიდევ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა. მუშები სამრეწველო საქონელს და სხვადასხვა პროდუქტებს იღებენ დაგვიანებით, და ცუდი ხარისხისას.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია მუშათა კვების საკითხი. შირაქში, მუშათა სასადილო მოთავსებულია ნესტიან სარდაფში, სადაც სასტიკი ანტისანიტარული პირობებია გამეფებული. უკანასკნელად ამიერ-კავკასიის მომარაგების სახალხო კომისარიატმა სათანადო ორგანოებში დასვა საკითხი საქნავ. მუშების მომარაგების პირველიდან განსაკუთრებულ სიაში გადაყვანის შესახებ. ამ დღეებში ეს საკითხი გადაწყდება, და საქნავთის მუშები სამრეწველო საქონელს მიიღებენ განსაკუთრებული სიის მიხედვით.

მწვავედ დგას სამუშაოებისათვის კადრების მომზადების საკითხი. განსაკუთრებით საგრძნობია მბურღავთა ნაკლებობა. ამ მიმართულებით საქნავთმა მიიღო ზოგიერთი ზომები და ბაქოში სასწავლებლად ადგილობრივ მცხოვრებთაგან გაგზავნა 22 კაცი. ამ საქმეზე 10 ათასი მანეთი დაიხარჯა. მათ დაამთავრეს მბურღავთა კურსები, დაბრუნდნენ უკან, ერთი-ორი თვე იმუშავეს სპეციალობის მიხედვით და შემდეგ ავადმყოფობის მიზეზის გამო დასტოვეს სამუშაო. ახლა აქ უკვე მწვავე ნაკლებობაა მბურღავების. ეს 22 კაცი კი, რომლებმაც მიიღეს ეს სპეციალობა კოოპერატივში ან სხვაგან მუშაობს. ამ მდგომარეობას ახლავე უნდა მოეღოს ბოლო და მივიღოთ ყველა ზომები საჭირო კადრების მოსამზადებლად.

გაუპიროვნების ლიკვიდაციის, სამეურნეო ანგარიშის გატარების და სანარდო სისტემაზე მუშების გადაყვანისათვის აქ ძალიან ცოტაა გაკეთებული. ადგილი აქვს მანქანა-იარაღების გაუპიროვნებას, რამაც გაზრდა მათი გაფუჭების შემთხვევები. სამეურნეო ანგარიშზე არავინ ჯერ-ჯერობით არ ფიქრობს. არც ძირითადი და არც დამხმარე საწარმოები ნამდვილ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი არ არის. ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლაზე, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთივე მდგომარეობაა სანარდო სისტემის შემოღების დარგშიც.

სადირექტივო ორგანოების მიერ საქნავთს წინადადება ქონდა მიცემული, რომ პირველ ოქტომბრამდე სანარდო მუშაობა მთლიანად შემოეღო. ეს დირექტივა დღემდე შესრულებული არ არის. მუშაობის სანარდო სისტემაზე გადაყვანილია მხოლოდ აღმშენებლობის 70 პროც. დანარჩენი რგოლები წარმოებისა, ამაზე არც ფიქრობენ. აღმშენებლობაზეც ადგილი აქვს სანარდო სისტემის გატარების დამახინჯების ისეთ შემთხვევებს, როდესაც არღვევენ მშენებლობის შეფასების დაწესებულ ნორმებს. ყველაზე ცუდად მოქმედებს წარმოებაზე ის დიდი გაცდენები, რომელსაც სამუშაოებზე აქვს ადგილი. ეს გაცდენები გამოწვეულია, როგორც ტეხნიკურ-ეკონომიური ხელმძღვანელობის სისუსტის, ისე შრომის დისციპლინის დაცემის გამო.

სულ განვლილი სამი კვარტალის განმავლობაში სამუშაოებზე გაცდა საათი. საბურღავი მანქანების უქონლობის გამო—200, მილების ნაკლებობის გამო—2000, ელექტრო-ენერგიის და სინათლის უქონლობის გამო—1464, ინსტრუმენტების ნაკლებობის გამო—2588, ცუდი ამინდის გამო—232 და მუშების მიერ—3892 საათი. სულ ამ ხნის განმავლობაში სამუშაოებზე გაცდა 14.357 საათი, (16,45 პროც.) რაც სამუშაო დროის ერთი მეხუთედის უნაყოფოდ დაკარგვას უდრის.

გაცდენების წინააღმდეგ ადმინისტრაცია და ადგილობრივი პარტ. პროფესიონალური ორგანიზაციები სუსტად იბრძოდენ, თავის დროზე არ იღებდენ ზომებს მათ აღმოსაფხვრელად შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

დღეს-დღეობით, სამუშაოთა შემდგომი გაშლისათვის მეტად მნიშვნელოვან ხასიათს წარმოადგენს ტრანსპორტის საკითხი.

სამუშაოზე მისასვლელი გზები ყოვლად უმწეო მდგომარეობაშია, რაც ჰქმნის წნორის-წყლიდან წითელ წყარომდე მიმოსვლის შეწყვეტის შესაძლებლობას. „საქშოსტრანსი", რომელსაც აღებული ჰქონდა ადგილობრივ გზების გაყვანის ვალდებულება, ამას არ ასრულებს. გაფუჭებულ გზებზე ავტომობილების მოძრაობის გაგრძელება უკვე შეუძლებელი ხდება და იზრდება მანქანების დაზიანების შემთხვევები.

უხეიროთ და უგეგმოდ სწარმოებს ადგილობრივი ავტოტრანსპორტის გამოყენებაც. ავტოპარკში სულ 27 მანქანა აქვთ, რომელთა უმრავლესობა მოუვლელობის გამო დაზიანებულია და სისტემატიურად შეკეთებაში დგას. არ ხდება ავტოების მიზანშეწონილი გამოყენება. „სოიუზტრანსის" მიერ დაწესებულ ნორმის—17 საათის ნაცვლად, მანქანები აქ დღე-ღამეში 10-11 საათს მუშაობენ და ისიც არა სრული დატვირთვით, არსებული 27 მანქანიდან, დღეს მხოლოდ 11 მუშაობს, მაგრამ მათი მუშაობის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. გათვალისწინებული სამი რეისის ნაცვლად ეს მანქანები დღეში მხოლოდ ერთ რეისს აკეთებენ სამუშაოებიდან წნორის წყლამდე. შეუსრულებელია მანქანების გარბენის გეგმაც. სადირექტივო ორგანოების დადგენილება ქალაქ გარეთ ავტომობილების გარბენის სისწრაფის გაზრდის შესახებ აქ შესრულებული არაა. 180 კილომეტრის ნაცვლად, ეს მანქანები დღეში მხოლოდ 60-70 კილომეტრს აკეთებენ. ეს გარემოება სცემს ავტოპარკის მუშაობის ხარისხს და ჰქმნის სატრანსპორტო სიძნელეებს.

სამუშაოთა გაშლის ახლანდელი ტემპებმა ვერ უზრუნველყვეს კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით გაღებული თანხების სრული გამოყენება. სულ მიმდინარე წელში კაპიტალური დაბანდებებისათვის საქნავთს მიეცა 5 მილიონ 845 ათასი მანეთი. აქედან მხოლოდ 4 მილიონ 645 ათასი მანეთია დღემდე სათანადოდ გამოყენებული. დანარჩენი 700 ათასი მანეთი დღესაც გამოუყენებელია და ადვილი შესაძლებელია საქნავთმა ეს თანხა დაკარგოს. ამ გარემოებას ახლავე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და ყველა ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ დარჩენილ ვადებში მივაღწიოთ კაპიტალურ დაბანდებებზე მიღებულ თანხების მთლიანად გამოყენებას.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ სამუშათა საშენებლო და სხვა მასალით მომარაგების საკითხებზე. სათანადო მომმარაგებელი ორგანიზაციები არ ასრულებენ საქნავთთან მომარაგებაზე დადებულ ხელშეკრულებებს, რამაც ძირითადად გამოიწვია საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობა. სამუშაოებზე დღემდე არ გააჩნიათ საჭირო ინსტრუმენტების საკმარისი რაოდენობა. „აზნეფთი"-დან მიღებული დაზგების დიდი უმრავლესობა გამოუსადეგარი აღმოჩნდა და შეკეთება დასჭირდა. სამუშაოებზე გასული 9 თვის განმავლობაში უნდა მიეღოთ 1406 ტონა მილები, ფაქტიურად მიიღეს 620 ტონა. 18 ათასი მანეთის ინსტრუმენტებიდან მიიღეს მხოლოდ 12 პროც., 80 ვაგონი ხე-ტყიდან 25 ვაგონი, 17 დაზგის ნაცვლად კი 5 დაზგა. ხელშეკრულების თანახმად უნდა მიეღოთ სპეცტანსაცმელი მუშებისათვის 25 ათასი მანეთის, დღემდე მიიღეს მხოლოდ 6 ათასი მანეთის. უნდა მიეღოთ სხვადასხვა სისტემების 12 დაზგა, მაგრამ მათგან ჯერ-ჯერობით არც ერთი არ მიუღიათ. 18 დიზელიდან, რომელთა გარეშე შეუძლებელია მუშაობის წარმოება საქნავთმა მხოლოდ 4 დიზელი მიიღო და ისინიც დღეს უმოქმედოდ დგანან, რადგან მათ თან არ ახლდა „მახავიკები". ყველაზე მნიშვნელოვანი საბურღავი დაზგებით სამუშაოთა მომარაგების საკითხია. საქნავთს დღემდე 32 საბურღავი დაზგა უნდა მიეღო, ფაქტიურად დღეს მხოლოდ 19 საბურღავი დაზგა აქვთ, რომელთაგან 12 ძველის-ძველია და ცუდად მუშაობენ.

საჭირო მანქანა-იარაღებით და მოწყობილობით მომარაგების დარგში ასეთი დაუდევრობის გამო შეიქმნა პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საწარმოო პროგრამის შესრულების ჩაშლას.

მეტად მნიშვნელოვან დეფექტს საქნავთის მუშაობაში წარმოადგენს უყურადღებობა გურიის ნავთისადმი. საქნავთის მიერ ეს სამუშაოები სრულიად მივიწყებულია და ხელმძღვანელობას მოკლებული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სამი წლის განმავლობაში იქ აწარმოებენ საძიებელ მუშაობას და დღემდე მხოლოდ 400 მეტრია გაბურღული.

გურიის ნავთის ბუდობების შესწავლას და იქ სამუშაოთა გაშლას საქნავთმა მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

სუსტ ხელმძღვანელობას უწევს საქნავთის მუშაობას ნავთის საკავშირო გაერთიანება, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნია შირაქის ნავთის უდიდესი სამრეწველო პერსპექტივების მნიშვნელობა.

1932 წლის პროგრამა, რომელიც საქნავთის წინაშე ისახება, ჯერ-ჯერობით საბოლოოდ გამორკვეული არ არის. სხვადასხვა ორგანიზაციებში იგი სხვადასხვა ვარიანტითაა წარდგენილი. „სოიუზნეფტი" მას 20 ათასი მეტრის საბურღი სამუშაოებით საზღვრავს, ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისია 62.700 მეტრს და სხვ. ასეთ გაურკვევლობას დაკვრითი წესით უნდა მოეღოს ბოლო და საბოლოოდ გამოირკვეს საქნავთის 1932 წლის საწარმოო პროგრამა.

მუშაობის დღევანდელი ტემპები სრულებით ვერ უზრუნველყოფენ 1932 წელში სამრეწველო ამოღების დაწყებას. მით უმეტეს იმიტომ, რომ საქნავთის ხელმძღვანელებმა და მუშაკებმა ერთი თვე გადის და დღესაც არ დაამუშავებიათ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილება და არ მიუღიათ ყველა საჭირო ზომები მის გატარებლად. ამ მიმართულებით გარდატეხა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს.

ყველა პარტიულ სამეურნეო, კომკავშირულ და პროფორგანიზაციების ყურადღება უნდა დავრაზმოთ საქნავთის მუშაობის გარშემო, რომ ამიერ-კავკასიის და საქ. კომპარტიის ახალი ხელმძღვანელობის უშუალო დახმარებით, უზრუნველვყოთ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების განხორციელების საფუძველზე, 1932 წელში ნავთის სამრეწველო ამოღების და



ფინანსიური კრახი გერმანიაში

I

მსოფლიო ეკონომიური კრიზისი თანდათან ღრმავდება. იგი ღრღნის და ხრწნის მსოფლიო იმპერიალიზმის საფუძვლებს. თავისი განვითარების ორი წლის თავზე — მიმდინარე წლის ზაფხულზე — იგი შეიჭრა კაპიტალისტური მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორიცაა ბანკები, კრედიტები, ფინანსები და ვალიუტა. კრიზისი კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად კაპიტალისტურ ფინანსებსაც შეეხო. დაიწყო უმთავრეს კაპიტალისტურ სახელმწიფოების საფინანსო სისტემის კრახი, რომელმაც ეს ქვეყნები, სულ მალე საყოველთაო ინფლიაციამდე უნდა მიიყვანოს.

მოვლენების გარეგნული აღწერა შეიძლება ავსტრიის ბანკის კრახიდან დაიწყოს. ეს ბანკი აწვდიდა ფინანსებს ავსტრიის მეურნეობის მნიშვნელოვან ნაწილს და მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანიის მსხვილ ბანკებთან. ასე შეაფასეს ეს მოვლენა ფულის საერთაშორისო ბაზარზე. მაისში, ამ ბანკის გაკოტრებასთან ერთად, დაიწყო გერმანიიდან კრედიტების გატანა. მიუხედავად რეიხსბანკის ცდებისა — შეეჩერებია გერმანიიდან შინაური და საგარეო კაპიტალის გაქცევა — იგი მაინც გრძელდებოდა. სახელმწიფო ბანკმა გადასწყვიტა მიემართა კრედიტების რესტრიქციის და მოწესრიგების ცდებისათვის. თუმცა ჰუვერის მომართვის შემდეგ, რომლის ამოცანას შექმნილი მდგომარეობის რადიკალური შემსუბუქება წარმოადგენდა, კრედიტების რაიმე მოწესრიგებაზე ლაპარაკი ზედმეტია და ფაქტიურად იგი ცხოვრებაში არ ტარდება. ბოლოს, როდესაც საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო, ჰუვერის წინადადება ჰაერში გამოკიდებული დარჩა, ივნისში გერმანიის სახელმწიფო ბანკი იძულებული შეიქნა ვალების დასაფარავად გამოეყენებია კანონით დაწესებული 40 პროცენტიანი ოქროს მარაგის ნაწილიც კი.

ამ გაჭირვებიდან რეიხსბანკი ნაწილობრივ გამოიყვანა ნიუ - იორკის, ლონდონის, პარიზის და საერთაშორისო საემისიო ბანკებისაგან მიღებულმა კრედიტმა 100 მილიონი დოლარის რაოდენობით, რომელიც 16 ივლისს უნდა დაფარულიყო. ვერც ამ დახმარებამ გააუმჯობესა მნიშვნელოვნად რეიხბანკის მდგომარეობა, ამიტომ, გერმანიის საკრედიტო უნარიანობის გაზრდის მიზნით, გერმანიის მრეწველებმა 1000-მდე ფირმის მონაწილეობით, 7 ივლისს „გოლდისკონტბანკ"-თან ჩამოაყალიბეს ე. წ. გერმანული სინდიკატი, რომელმაც 500 მილიონი მარკის გარანტიები იკისრა. შექმნილ კატასტროფიულ მდგომარეობას ვერც ამან უშველა. ლიუტერის ცდაც, საგარანტიო სინდიკატზე დაყრდნობით, ლონდონში მიეღო მილიარდიანი კრედიტი მარცხით დამთავრდა. ივნისის ბოლომდე გერმანიის სახელმწიფო ბანკმა დაკარგა 1,5 მილიონი მარკის ოქროს რეზერვი და დევიზები, ივლისის პირველ კვირაში — 200 მილიონი მარკა და 11 ივლისამდე 150 მილიონი მარკა. ამ პერიოდში გერმანიის სახელმწიფო ბანკმა ამოსწურა თითქმის ყველა შესაძლებლობანი, მათ შორის უცხოეთის შესაძლებელი დახმარებაც კი. განსაკუთრებით მწვავე შეიქნა გერმანიისათვის საგარეო ვალების საკითხი.

უცხოეთის ყველა მოკლევადიანი კრედიტების ჯამს გერმანიაში სხვა და სხვანაირად საზღვრავენ. გერმანიის ფინანსთა მინისტრ **დიტხირის** აზრით, გასული წლის შემოდგომაზე იგი უდრიდა 7—8 მილიარდ მარკას, რომლისგანაც ბანკებზე მოდიოდა 4 მილიარდი. გაზ. „ველტამბენდი" გერმანიის საგარეო ვალს ანაწილებს ამგვარად: მოკლევადიანი ვალი — 10, 8—11, 8 მილიარდი მარკა და გრძელვადიანი 9,3 მილიარდი მარკა.

გერმანიის ფოლადის მრეწველობის გაერთიანების თავმჯდომარე **რაიხერტი** მიუთითებს, რომ ყოველწლიური გადასახადი სესხებზე გერმანიაში შეადგენს: მოკლე ვადიან კრედიტებზე — 480 და გრძელვადიან კრედიტებზე — 875 მილიონ მარკას. საკონიუნქტურო ინსტიტუტის ფინანსიური ექსპერტის — **ვაგემანის** — აზრით გერმანიის საგარეო დავალიანება აღწევს 18 მილიარდ მარკას. აქედან 8,2 მილიარდი მოდის მოკლევადიან ვალზე.

უკანასკნელ ხანებში საზღვარ გარეთ გატანილ 3 მილიარდ მარკიდან, 650—1000 მილიონი მარტო „დანატბანკზე" მოდის, რომელიც შემდეგ გაკოტრდა. ამ ბანკმა დაკარგა: მაისში — 100, ივნისში—300 და ივლისში—250 მილიონი მარკა. „დანატბანკი" მთელ გერმანიაში მესამე ბანკს წარმოადგენდა, რომელსაც 111 განყოფილება და 110 სადეპოზიტო სალარო ჰქონდა. 1924—30 წლების განმავლობაში ბანკის ბრუნვა 65-დან 261 მილიონ მარკამდე, ხოლო მისი ბალანსი 784-დან 2.555 მილიონ მარკამდე გაიზარდა. ბანკი ფინანსებს აწვდიდა გერმანიის უდიდეს კონცერნებს. სწორედ ამ კონცერნების მწვავე საფინანსო მდგომარეობამ გამოიწვია ბანკის გაკოტრება. გამანადგურებელი გავლენა იქონია ბანკზე კერძოდ უდიდესი საფეიქრო კონცერნის „ნორდვოლეს" კრახმა. ამგვარად, დანატბანკი" გაკოტრდა, რამაც სათანადო უარყოფითი გავლენა იქონია ყველა ბანკებზე, მათ შორის რეიხსბანკზედაც. შეირყა არა მარტო გერმანიის ფულის ბაზარი, არამედ მსოფლიოს ისეთი ბირჟები, როგორიცაა ნიუ - იორკის, ლონდონის და პარიზის. „დანატბანკ"-ის გაკოტრება ინგლისელებს დაუჯდათ 90, ხოლო ამერიკელებს 200 მილიონი მანეთი. პანიკით შეპყრობილმა ბირჟებმა მასიურად დაიწყეს გერმანული ფასიანი ქაღალდების თავიდან მოშორება. ამ შემთხვევაში ისინი ერთი ლოზუნგით მოქმედებდენ: „ვისაც შეუძლია თავს უშველოს". პანიკა იმდენად ძლიერი იყო, რომ არ დაინდო უცხოეთის ისეთი პირველხარისხოვანი ფასიანი ქაღალდები, როგორიცაა ინგლისის სახელმწიფო სესხი და შელლის აქციები. უცხოეთის ბანკებმა შესწყვიტეს გერმანიის ბანკების ვალდებულებათა განაღდება.

ასეთ პირობებში ადვილი წარმოსადგენია ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა გერმანიაში. მოსახლეობამ სწორედ შეაფასა მდგომარეობა და დაასკვნა, რომ „დანატბანკ"-სა და სხვა ბანკებს შორის განსხვავება არ არსებობს, რომ ხვალ თუ ზეგ დარჩენილიც გაკოტრდებიან და აი — [illegible] მეანაბრეები [illegible] ბანკებს, შემნახველ სალაროებს და ფოსტას. მალე გამოირკვა, რომ არც ბანკებს და არც შემნახველ სალაროებს მეანაბრეთა დასაკმაყოფილებლად არ გააჩნდათ საკმარისი თანხები და რომ შეუძლებელია მუშების, მოსამსახურეებისა და უმუშევართათვის ჯამაგირების მიცემა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა პანიკა. ამგვარად გერმანია აღმოჩნდა საშინელი ინფლიაციის და სახალხო მღელვარების საშიშროების წინაშე. ინფლიაციის ნიშნებმა თავი იჩინა მღელვარების პირველ დღეებშივე. ფულის მეპატრონეებმა და მეანაბრეებმა დაიწყეს მარკისაგან ხელის გაცლა და ვალიუტის ძებნა. უკვე 11 ივლისს საბაზრო მოთხოვნილებამ ვალიუტაზე 90 მილიონ მარკას მიაღწია, ხოლო შავ ბირჟაზე დოლარის კურსი 7,2-დან 16 მარკამდე გაიზარდა. ამასთან ერთად გამოაშკარავდა ინფლიაციის სხვა მოვლენებიც. ვალიუტის ნაკლებობის გამო დაიწყო სხვადასხვა საქონლის მასიურად შეძენა, რამაც ბაზრიდან პირველხარისხოვანი საქონლების გაქრობა გამოიწვია. მარკის მფლობელებს უკვე აღარ გააჩნიათ ამ საქონლის შეძენის საშუალება. მარკის კურსმა რყევა დაიწყო, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ლონდონის ბირჟაზე მარკის ფასი, ერთი დღის განმავლობაში 30 პროც.-ით დაეცა. უცხოეთში შესწყვიტეს მარკის მიღება და ათეული ათასობით გერმანელებისა, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ. გერმანიის მთავრობა ჩავარდა კრიტიკულ მდგომარეობაში, 36 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ თათბირობდა მრეწველებთან და ბანკირებთან. ყველას აღელვებდა ხელფასის და ინფლიაციის საკითხი.

დაწყებული კატასტროფის მომენტში გერმანიის ფულადი მეურნეობის ბალანსი პროფ. ვაგემანის განსაზღვრით ასეთი იყო:

აქტივი

ყველა ბანკების ოქრო და დევიზი—2,7 მილიარდი.
სალარო და სარეესტრო ანგარიშები—0,5 მილიარ.
მოკლევადიანი ანგარიშები—15,8 მილიარდი.
დანარჩენი ანაბრები — 24,5 მილიარდი.
სულ 43,5 მილიარდი.

პასივი

მრეწველობაში მყოფი ბანკნოტები—4,9 მილიარდი.
მოკლევადიანი ანაბარები — 23,3 მილიარდი.
გრძელვადიანი ვალი—12,8 მილიარდი.
სულ 41.0 მილიარდი.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მომხდარი კრახის სიძლიერე და გერმანიის მეურნეობის ტრაგიკული საფინანსო მდგომარეობა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ ბალანსის ერთერთ მუხლს, სახელდობრ — გრძელვადიან ვალებს. პასივში იგი შეადგენს 12, მილიარდს, მაშინ როდესაც აქტივში 24,5 მილიარდს უდრის. საიდან უნდა მივიღოთ აქტივისათვის დანარჩენი 12 მილიარდი? ბუნებრივია იმ მოკლევადიან ანაბრებიდან, რომლებიც პასივში 23,3 მილიარდი მარკის სახით არის წარმოდგენილი.

ასეთ პირობებში დაიწყო ბანკების ფინანსიური კატასტროფა. ანაბარების დინა იმდენად დიდი იყო, რომ ბანკებს მოესპოთ რომელიმე აქტიური ოპერაციის წარმოების და პირველ რიგში, თამასუქების აღრიცხვის საშუალება. რეიხსბანკი იძულებული გახდა. ემისიებსა და ოქროს რეზერვებს შორის შეფარდების დაცვის მიზნით, ხელოვნურად შემცირებია [illegible] ტრიალი.

როგორი იყო გერმანიის საფინანსო მეურნეობის მდგომარეობა კრახის წინ, როდესაც კრიზისი ღრღნიდა მეურნეობის ყველა დარგებს? ამაზე ჩვენ დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

რადგან კაპიტალისტურ მეურნეობას არავინ არ გეგმავს და, არც შეუძლია დაგეგმოს, მრეწველობა საბრუნავ — ფულად სახსრებს ბირჟის და ბანკების საშუალებით, მექანიკურად იღებს, ფულის მოზღვავების და მრეწველობიდან მისი ამოღების გადამწყვეტ შეზღუდვას წარმოადგენს კრიზისი, რომელიც ჩვეულებრივად ფასიანი ქაღალდების და აქციების კურსის უდიდესი დაცემით და საბირჟო კრახით იწყება, რომელსაც თან სდევს დიდი დავალებების მქონე, სუსტი საწარმოების გაკოტრებათა მთელი სერია. კრიზისის ამ გვარი შეთასება სავსებით შეეფარდება გერმანიის პირობებს, იმ განსხვავებით, რომ აქ კრიზისს აძლიერებს ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიისათვის შექმნილი პირობები.

ვერსალის ხელშეკრულების შემდეგაც კი, გერმანიის მრეწველობა უფრო ძლიერი დარჩა, ვიდრე ის ბაზარი, სადაც მას შეეძლო თავისი პროდუქციის გასაღება. 1924 წლიდან, როგორც შინაური, ისე უცხოეთის კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი რაციონალიზაციას მოხმარდა. რაციონალიზაციის დარგში გერმანელებმა დიდ შედეგებს მიაღწიეს. გერმანიის მრეწველობის დიდმა ტემპებმა გამოიწვიეს მსოფლიო ბაზარზე მისი სარეალიზაციო ბაზის შეკვეცა. მაგრამ რაც უფრო მტკიცდებოდა გერმანიის მრეწვ.-ბა, მით უფრო იზრდებოდა დისპროპორცია მისი წარმოების უნარიანობასა და მსოფლიო ბაზარზე მის ექსპორტს შორის, იზრდებოდა ჭარბი წარმოების და კრიზისის საშიშროება.

ფინანსიური თვალსაზრისით, გერმანიის მეურნეობის უდიდეს უბედურებას მისი მოკლევადიანი ვალები წარმოადგენენ. მარტო მოკლევადიანი კრედიტებით არ შეიძლება მრეწველობის განვითარება. მაგრამ გერმანელები იძულებული იყვნენ მიემართათ ამ გზისათვის. საწარმოო ექსპანსია, რეპროდუქცია და რაციონალიზაცია, უკანასკნელ წლებში გერმანიაში უდიდესი მოცულობით განხორციელდა უმთავრესად საშინაო და საგარეო მოკლევადიანი კრედიტების ხარჯზე. სანამ განვითარება აღმავალი ხაზით მიდიოდა, მანამდე ყველაფერი თითქო რიგზე იყო. მაგრამ უკანასკნელმა კრიზისმა გერმანია მიიყვანა კატასტროფამდე და, ახლა იქ მოკლევადიანი კრედიტები ხელიდან ეცლებათ.

გერმანიიდან ასეთი კრედიტების გატანის ცდები უფრო იმიტომ იღებენ საერთო სამეურნეო კატასტროფის ხასიათს, რომ მრეწველობის დიდი კონცენტრაციის წყალობით, ეს კრედიტები დაბანდებულია უდიდეს კონცერნებში, რომელთა გაკოტრებაც არყევს მთელ მეურნეობას. მაგ.: ამას წინად გაკოტრებული საფეიქრო კონცერნი „ნორდვოლე" ამზადებდა გერმანიის ქსოვილების პროდუქციის ორ მესამედს. ასეთ კონცერნებთან ბანკების მჭიდრო შეზრდა რასაც ადგილი აქვს იმპერიალიზმის პერიოდში, კიდევ უფრო ხუთავს მდგომარეობას, რადგან კონკურენციით გატაცებული ბანკები ხელს უწყობენ მათთან დაკავშირებულ კონცერნების ზეექსპანსიას, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ეს ბანკები გაკოტრდენ მეორედ და არა პირველად. მათ გაკოტრებას წინ უსწრებდა ისეთ მსოფლიო მნიშვნელობის საწარმოთა კრახი, როგორიცაა „ფავაგი", ლინოლიუმის ტრესტი, „კარშტადე", „ნორდვოლე" და სხვ. ამ მდგომარეობას ზედ ერთვის გერმანიის პირველ ხარისხოვან საწარმოო აქციების კურსის გაუგონარი დაცემა.

გერმანიის ფოლადის ტრესტის აქციები, რომელიც მთელ გერმანიის მძიმე მრეწველობის 80 პროც. აერთიანებს და ამერიკის ფოლადის ტრესტის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს, ნიუ - იორკის ბირჟაზე ნორმალური ღირებულების 57 პროცენტ. იყიდება. ევროპაში უდიდესი — რეინვესტფალიის ენერგეტიულ საწარმოთა გაერთიანების აქციები, ნორმალური ღირებულების 54 პროცენტ. იყიდება, „კარშტადტი"-ს აქციები — 43 პროც., გერმანიის შემნახველ სალაროების აქციები — 50 პროც. და გერმანიის სარენტო ბანკის აქციები — 57 პროც.

ამ მწვავე მდგომარეობის გამო, საერთაშორისო ფულის ბაზარზე ფიქრობენ, რომ გერმანია უნდა დაკმაყოფილდეს უკვე მიღებულით და უარს ეუბნებიან მას ახალ კრედიტებზე.

თუ გერმანული აქციების კურსის 1929 წლის ინდექსს 100-ად ჩავთვლით, მაშინ 1930 წლის იანვრის შემდეგ შეიძლება შევამჩნიოთ მისი თანდათანი დაცემა, რომელმაც ამჟამად 40-მდე მიაღწია. ეს ნიშნავს, რომ ფულის საერთაშორისო ბაზარზე არ სჯერათ გერმანიის მრეწველობის არა თუ მომგებიანობა, არამედ მისი სტაბილურობაც კი. ასეთ პირობებში, მიუხედავად მაღალი პროცენტის დროსაც კი (10 წინააღმდეგ 1 ნახევრისა) შეუძლებელია გერმანიის მრეწველობაში უცხოეთის კაპიტალის შემდგომი დაბანდება.

გერმანიის სათინანსო მეურნეობის უკვე მოყვანილი ბალანსის თანახმად, ქვეყნის საკრედიტო სისტემის დავალიანებათა ჯამი 1931 წლის პირველ ივლისისათვის შეადგენდა 49,3 მილიარდ მარკას. აქედან მოკლევადიანი იყო 15,8 და გრძელვადიანი — 24 მილიარდი მარკა. როგორც აღვნიშნეთ მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდება უმთავრესად მოკლე ვადიანი კრედიტების ხარჯზე ტარდება.

რაც შეეხება სამეურნეო დაგროვებას, მათ პროფ. ვაგემანი და კაიზერი საზღვრავენ კრედიტების ყველა სახის საემისიო, საიპოტეკო, საბანკო და სავაჭროს ყოველწლიური ზრდის სათოვლელით. ვაგემანი მას საზღვრავს 7 მილიარდი მარკით, ხოლო კაიზერი 8—9 მილიარდი მარკით. წლების მიხედვით დაგროვება ასეთი იყო:

წლები	მილიარდი მარკა
1924	8,7
1925	5,7
1926	9,0
1927	9,0
1928	7,9
1929	7,6
1930	4,0
	51,9

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ციფრები მნიშვნელოვნად შემცირებულია. ისინი არ შეიცავენ: 1. საზღვარგარეთ გატანილ კაპიტალს და 2. როგორც საკუთარ სარეზერვო კაპიტალებს, ის საგადასახადო შენატანებთა ხარჯზე კომუნალურ საწარმოთათვის მიწოდებულ ფინანსებს.

თუ ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ გერმანიის მეურნეობის ყოველწლიური დაგროვება შეიძლება 8—9 მილიარდი მარკით განვსაზღვროთ. უკანასკნელი 7 წლისათვის ის მოგვცემს 56—63 მილიარდ მარკას. თუ მხედველობაში მივიღებთ კაპიტალზე არა საწარმოო ხასიათის მოთხოვნილებას წელიწადში ერთ ნახევარი მილიარდი მარკის რაოდენობით, (რაც 7 წლის განმავლობაში 10 მილიარდს უდრის) მაშინ მეურნ

პარტიული მშენებლობა

ქვედა პარტორგანოების გადარჩევები ჩავატაროთ ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის და შინაპარტიული დემოკრატიის მტკიცედ გატარების საფუძველზე

დავრაზმოთ პარტიული და უპარტიო მუშათა მასები უკანასკნელი კვარტალის გეგმების შესრულებისათვის

ბოლშევიკურად ჩავატაროთ ქვედა პარტორგანოების გადარჩევები

ამხ. პ. მელაძის მოხსენება

3 დეკემბერს ამხ. სტალინის სახელობის კლუბში შედგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის პარტკომების, პარტკოლექტივების და უჯრედების მდივნების გაერთიანებული საქალაქო კრება.

დღის წესრიგში იდგა საკითხი: „ქვედა პარტორგანოების მომავალი საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის პოლიტიკური ამოცანების შესახებ“. აღნიშნულ თემაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. პ. მელაძე.

თბილისის პარტიული ორგანიზაცია ქვედა პარტორგანოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიას—სთქვა ამხ. მელაძემ,—იწყებს იმ დროს, როდესაც მის წინაშე გადასაჭრელად სდგას უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანები. მიმდინარე წელს ქვედა პარტორგანოების გადარჩევები უნდა ჩავატაროთ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების და ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების ბოლშევიკური რეალიზაციის ნიშან ქვეშ.

საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის პერიოდში ქვედა პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა განახორციელონ ის საბრძოლო ამოცანები, რომლებიც დასვა ჩვენს წინაშე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა —თავის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების სახით.

ქვედა პარტორგანოების საგადარჩევო კამპანია გენერალური შემოწმებაა იმის, თუ როგორ იბრძვიან ძირეული პარტიული ორგანიზაციები მათ წინაშე მდგომ ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაციისათვის და სხვ.

ქვედა პარტ-ორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია უნდა ჩატარდეს მუშათა მასების აქტიური მონაწილეობით საწარმოს პარტუჯრედების წინაშე განსაკუთრებული ამოცანა სდგას მუშათა მასების ყურადღების მობილიზაცია საწ.-საფ. გეგმების გადაჭარბებით შესრულების ირგვლივ.

საგადარჩევო კამპანიას პარტუჯრედები უნდა შეუდგენ დიფერენციალურად. საწარმოო პარტუჯრედმა თავისი წარმოების კონკრეტულ ამოცანებთან დაკავშირებით უნდა დასახოს პრაქტიკული ღონისძიებები წარმოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ამხ. მელაძე ვრცლად შეჩერდა იმ გარღვევებზე, რომელიც გვაქვს მთელ რიგ საწარმოებებში, საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების დარგში.

მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის თვეში მოხდა ძირითადი გარდატეხა საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების საქმეში, არის მთელი რიგი დარგები, რომლებიც სამარცხვინოდ ჩამორჩენ გეგმების შესრულებაში. ჩამორჩენის მიზეზად ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები „ობიექტიურ“ მიზეზებს ასახელებენ. ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზია ის, რომ მთელი რიგ წარმოებებმა ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა ახალ ამოცანების მიხედვით—ამხ. სტალინის 6 მითითებათა საფუძველზე.

ქვედა პარტიულ ორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის პერიოდში თვითეულმა უჯრედმა უნდა შეამოწმოს, თუ როგორ ტარდება წარმოებაში ამხ. სტალინის 6 მითითება. უჯრედებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ გატარებული იქნეს ამხ. სტალინის მითითებები. უჯრედებმა უნდა მიაღწიონ მუშა-ხელის ცვალებადობის, გაუპიროვნების და ხელფასის მემარცხენო გათანაბრების სრული ლიკვიდაციას.

უჯრედებმა ამ დიდ პოლიტიკური კამპანიის ჩატარების დროს პრაქტიკულად უნდა განახორციელონ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილება წარმოებაში ქალთა შრომის გამოყენების შესახებ. უნდა შეამოწმოთ: როგორ სდგას საწარმოებში მექანიზაციის გატარება და როგორი ყურადღება ექცევა ტეხნიკის დაუფლების საკითხებს.

ამხ. მელაძემ აღნიშნა, რომ ზოგიერთ წარმოებებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. გეგმებს ასრულებენ ზოგჯერ პროდუქციის ხარისხის გაუარესების ხარჯზე, რაც ყოვლად დაუშვებელია.

გადარჩევების დროს შემოწმებული და გამორკვეული უნდა იქნეს სოც. შეჯიბრებაში და დამკვრელობაში მუშათა ჩაბმის საკითხი, სოც. შრომის ამ ახალ ფორმებში კომუნისტების და კომკავშირელების მონაწილეობა.

საარჩევნო კამპანია უნდა წავმართოთ იმ მიმართულებით, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მესამე გადამწყვეტი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმები და მომზადებული შევხვდეთ ხუთწლედის მეოთხე უკანასკნელ წელს. გეგმების წარმატებით შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებას, რაც მოკლე დროში მიღწეულ უნდა იქნეს.

სამშენებლო პარტუჯრედებმა საბრძოლო ამოცანად უნდა დასახონ საბინაო მშენებლობის გეგმების ბოლშევიკურად შესრულება. იმ უჯრედებმა კი, რომლებსაც კავშირი აქვთ საკურორტო მშენებლობის საკითხებთან საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე უნდა მიაღწიონ საკურორტო მშენებლობაში გარდატეხას.

იმ უდიდესი ამოცანების გადაჭრისათვის, რომლებიც სდგანან ქვედა პარტორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის პერიოდში პარტორგანიზაციების წინაშე, საჭიროა ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა და შინაპარტიული დემოკრატიის მტკიცედ გატარება. ის უჯრედი, რომელიც ვერ გაშლის ბოლშევიკურ თვითკრიტიკას—ვერ შესძლებს მის წინაშე მდგომ ამოცანების შესრულებას: ბოლშევიკური თვითკრიტიკის გატარებით ამოფხვრილი უნდა იქნეს „ატამანშჩინის“ ელემენტები პარტორგანიზაციებში.

პარტიულ-მასიური მუშაობა ძირეულ უჯრედებში არ არის გარდაქმნილი. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივმა პარტიულმა უჯრედებმა მთლიანად უნდა განახორციელონ პარტიული ორგანოების დადგენილებები პარტიული მუშაობის გარდაქმნის შესახებ საწარმოოში.

თვითეულმა კომუნისტმა უნდა გვიჩვენოს გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითი.—**არც ერთი კომუნისტი დამკვრელთა მოწინავე რიგების გარეშე**—ასეთია ქვედა პარტორგანოების საან.-საგადარჩევო კამპანიის ამოცანა.

ამხ. პ. მელაძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **კარტოზიამ** (სტალინის სახ. ქარხანა), **ჟურულიამ** (დეპო), **ანდრიანოვმა** (დეპო), **არუთინოვმა** (ფეხსაცმელების ფაბრიკა), **ათაბეგოვმა, კიკნიშვილმა, დარჩიამ, ქურღულიამ, გოგიბერიძემ, ზიბზიბაძემ, როტინოვმა** და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები ეხებოდნენ უმთავრესად საწარმოების ნაკლოვანებებს და იმ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე სდგას საანგარიშო კამპანიის პერიოდში.

კამათის დამთავრების და ამხ. პ. მელაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიდაც ნათქვამია, რომ თბილისის ორგანიზაციის პარტკომების, პარტბიუროკოლექტივების და უჯრედების მდივნების გაერთიანებული საქალაქო კრება სიტყვას აძლევს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და თბილისის კომიტეტს, რომ ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით და შინაპარტიული დემოკრატიის გატარებით ჩაატარებს ქვედა პარტიულ ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას.

ვიბრძოლოთ პარტგანათლების ქსელის მუშაობის მაღალი ხარისხისათვის

პარტიული განათლების ხაზით დღეს სწავლების სხვადასხვა ფორმები გვაქვს. მათ შორის მთავარია: საკანდიდატო ჯგუფები, დაწყებითი პოლიტსკოლები, მიმდინარე პოლიტიკის და მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელი, საგნობრივი და სხვა წრეები. წრეებსა და პოლიტსკოლებში ამხანაგების ჩაბმა უნდა ხდებოდეს მათი პოლიტიკური მომზადების დონის მიხედვით, მაგრამ, სამწუხაროდ პოლიტსკოლებში მსმენელთა შერჩევის ასეთი პრინციპი მთელ რიგ რაიონების მხრივ არ არის შესრულებული, რაც უსათუოდ შეაფერხებს პარტგანათლების ქსელის ნორმალურ მუშაობას. ასეთი მდგომარეობა რაიონებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ.

პარტიული განათლების ქსელმა თავის მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამა თუ იმ საწარმოოს, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობის საწარმოო საკითხებს; პარტიული განათლების ქსელმა მსმენელების ყურადღება უნდა გაამახვილოს საწარმოო გეგმების შესრულებისაკენ. სამწუხაროდ ამ მიმართულებით პარტიული განათლების სკოლების უმრავლესობანი მუშაობას ვერ აწარმოებენ, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

პარტიული განათლების ქსელის რიცხობრივ ზრდაში გასულ წელთან შედარებით ჩვენში საფუძვლიანი გარდატეხა მოხდა. ამიტომ მწვავედ ისმება საკითხი პარტქსელის ხელმძღვანელებით უზრუნველყოფის შესახებ. იმ კადრით, რომელნიც ამჟამად გვყავს, პარტიული განათლების ქსელს საჭირო მომსახურეობას ვერ გაუწევთ.

სამწუხაროდ ადგილი აქვს პროპაგანდისტთა კადრების ხშირ ცვალებადობას, პარტიული განათლების ოპორტუნისტულ შეუფასებლობას, ფასიანი პროპაგანდისტების თავის დროზე ხელფასით არუზრუნველყოფას და სხვ. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მწვავედ უნდა დაარტყან პარტიული განათლების ქსელის ოპორტუნისტულ შეუფასებლობას.

პარტიული განათლების ქსელის ნორმალური მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლების უზრუნველყოფას საჭირო სახელმძღვანელოებით, პროგრამებით და მეთოდური წერილებით, სამწუხაროდ ეს საკითხი მოუგვარებელია. სახელმძღვანელოების ნაკლებობის გამო ჩამოყალიბებული პოლიტსკოლები და წრეები დაიშალა; გარდა ამისა არის შემთხვევები როდესაც ამა თუ იმ საკითხზე რაიონები მეთოდურ წერილებს ღებულობენ იმ დროს, როდესაც ეს საკითხი პარტქსელს უკვე დამუშავებული აქვს. სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში სახელმწიფო გამომცემლობა უპასუხისმგებლობას იჩენს. სახელგამის ზოგიერთი ხელმძღვანელები ვერ აფასებენ პარტიული განათლების საქმეს. სახელგამის მუშაკებს პარტგანათლების ქსელის ლიტერატურით მომარაგება მეორე ხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ, ამიტომ დღეს თითქმის ყველა რაიონებში პოლიტსკოლებში სახელმძღვანელოების გარეშეა დატოვებული. საჭიროა ამ მხრივ გადამწყვეტი ზომების მიღება.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი რაიონული გაზეთები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პარტიული განათლების საკითხებს. სამწუხაროდ იგივე ითქმის ცენტრალური გაზეთებზედაც. რაიონულმა გაზეთებმა მეტი ადგილი უნდა დაუთმონ პარტიულ განათლების საკითხებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში ძალზე სუსტად არის გამოყენებული მუშაობის ახალი მეთოდები: სოც-შეჯიბრება და დამკვრელობა. პოლიტსკოლების შემდგომ მუშაობაში უნდა იქნეს მიღებული ყოველგვარი ზომები ამ მხრივ არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

როგორ სდგას პარტიული განათლების საკითხები ცალკე საწარმოებში, განსაკუთრებით ტრანსპორტზე. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ზესტაფონის საყუდში მუშაობს 152 მუშა-მოსამსახურე. ამათში კ.პ. (ბ) წევრ კანდიდატია—75, ზაფხულის პერიოდში საყუდში პარტიული განათლება ძალზე სუსტად ჩატარდა. სულ ზაფხულში ჩამოყალიბებული იყო მხოლოდ ერთი სკოლა. სკოლის გამოშვების შესახებ ცნობა არ არის. ამჟამად ჩამოყალიბებულია ორი პოლიტსკოლა,—ორივე პირველ დაწყებითია. თუ რამდენი მსმენელია მასში ჩაბმული—ცნობა არ არის.

სამტრედიის მოძრაობის დარგის უჯრედში გაერთიანებულია 115 კ.პ. (ბ) წევრი და 18 კანდიდატი, ამჟამად ჩამოყალიბებულია ერთი საკანდიდატო ჯგუფი, ჩაბმულია—14 კანდიდატი და 40 უპარტიო; პირველ დაწყებითი პოლიტსკოლებში მეცადინეობს 39 კაცი. გარდა ამისა მოძრაობის დარგის პარტკოლექტივის ბიუროში შემავალ სადგურის უჯრედის წევრები, 23 კაცი, ჩაბმული არიან მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელ წრეში.

სამტრედიის საყუდის პარტკოლექტივში შედის ხუთი უჯრედი, კ. პ. (ბ) წევრია—105 კაცი, კანდიდატი—49. პარტიაში ახლად მიღებულია—20. ჩამოყალიბებულია სამი პირველ დაწყებითი პოლიტსკოლა მასში ჩაბმულია 96 კაცი, აქედან 46 კ. პ. (ბ) წევრი; 32 კანდიდატი და 18 უპარტიო.

საკანდიდატო ჯგუფში გაერთიანებულია 37 მსმენელი.

ფოთის ნავთსადგურის ყველა საწარმოო ერთეულებში გაერთიანებულია 1706 მუშა-მოსამსახურე, აქედან 299 კ. პ. (ბ) წევრია, 136 კანდიდატი, 62 ახლად მიღებული. პარტიული განათლება ზაფხულის პერიოდში სუსტად ჩატარდა. ამჟამად ჩამოყალიბებულია 20 წრე. აქედან პირველ დაწყებითი—6, საკანდიდატო—3. თემატიური —7, ლენინიზმის შემსწავლელი—3 და მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი ერთი. ყველა ამ სკოლებში ჩაბმულია—636 მსმენელი, აქედან კ. პ. (ბ) წევრია—209, კანდიდატი—49, კომკავშირელი—22, უპარტიო—311; მუშები—583, მოსამსახურეები—65 და ქალები—5.

ამჟამად იხსნება საღამოს პარტიული სკოლა 50 მსმენელისათვის და მუშათა პროპაგანდისტების მოსამზადებელი ოთხთვიანი კურსები—15 მსმენელისათვის. მეცადინეობა სკოლებში დაწყებულია, ხელმძღვანელთა კადრებით სკოლები უზრუნველყოფილია, მხოლოდ სახელმძღვანელოების უქონლობა მეცადინეობას ხელს უშლის.

ბათომის ნავთსადგურში მუშაობს დაახლოებით 1500 კაცი. აქედან კ. პ. (ბ) წევრია—200, კანდიდატი—100; ჩამოყალიბებულია—14 სხვადასხვა წრე. მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სკოლებში ჩაბმულია უპარტიოების ნაკლები პროცენტი. სკოლებში მეცადინეობა არ დაწყებულა.

ბათომის მოძრაობის დარგში მუშაობს 409 კაცი. კ. პ. (ბ) წევრია—78, კანდიდატი—25; ზაფხულში პარტგანათლება ჩატარდა სუსტად, სულ არსებობდა ორი სკოლა —45 მსმენელით.

ბათომის საყუდში მუშაობს 513 კაცი, აქედან პარტიის წევრია—38, კანდიდატი—35, ზაფხულში პარტიული განათლება საყუდში სუსტად ჩატარდა. სულ გამოშვებულია ერთი სკოლა, თუ რამდენმა კაცმა დაამთავრა სკოლა ცნობა არ აღმოჩნდა. ამჟამად ჩამოყალიბებულია ოთხი სკოლა. ორი საკანდიდატო, ჩაბმულია 35 კანდიდატი და 10 უპარტიო, ლენინიზმის შემსწავლელი წრე, ჩაბმულია 110 კ. პ. (ბ) წევრი და 9 უპარტიო.

აზნავთ-მშენის (ბათომი) მუშა მოსამსახურეთა რიცხვი 2360 კაცამდე აღწევს. მათში ქალია 334, კ. პ. (ბ) წევრი—93, კანდიდატი—86, კომკავშირის წევრი—320, პარტიაში ახლად მიღებულია 40 კაცი. მუშათა კადრის შევსება ამ უკანასკნელ ხანებში ხდება კოლმეურნეობის ხარჯზე. ორგანიზაცია მეორე კვარტალში გაიზარდა 34 კაცით, მესამე კვარტალში—32 კაცით. მუშათა თეორიული მომზადების დონე მეტად დაბალია. პარტიული განათლება ზაფხულში ძალზე სუსტად ჩატარდა, ამჟამად ჩამოყალიბებული 8 წრე: პირველდაწყებითი—2. საკანდიდატო—2. მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი—2, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი—2, სულ ამ წრეებში ჩაბმულია 196 მსმენელი; უპარტიო მუშები სკოლებში არ არიან ჩაბმული. მეცადინეობა არ არის დაწყებული. ხელმძღვანელთა კადრები, როგორც ფასიანი, ისე უფასო სრულიად არ მოიპოვება.

ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობაში (ზესტაფონი) ჩაბმულია 1100 კაცი მუშა-მოსამსახურე, კ. პ. (ბ) წევრია—68, კანდიდატი—52, კომკავშირელები—260. მუშახელის მომარაგება ხდება კოლმეურნეობის ხარჯზე. ზაფხულის განმავლობაში პარტგანათლება ჩაიშალა—ამის მიზეზად ასახელებენ ხელმძღვანელობის ხშირ ცვალებადობას, პარტიული განათლების ერთთვიური ჩატარებულია. ცნობები იმის შესახებ თუ რამდენი წრეა ჩამოყალიბებული არ არის.

როგორც ეს ზემოთ მოყვანილ ციფრებიდან ჩანს მთელი რიგ ადგილებში, და ისიც საწარმოო ერთეულებში, არ არის შესრულებული პარტიის უმაღლესი ორგანოების დირექტივა პარტკანდიდატების პოლიტსკოლებში მთლიანად ჩაბმის შესახებ; მთელ რიგ საწარმოო ერთეულებში პარტიული განათლების ქსელის მუშაობა მოისუსტებს.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო მოუღოთ პარტიული განათლების ოპორტუნისტულ შეუფასებლობას და მივიღოთ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ პოლიტ-ქსელში ჩაბმულ იქნეს ყველა კანდიდატები.

ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა ამ მიმართულებით საჭირო გარდატეხას უნდა მიაღწიონ.

მ. უჩანეიშვილი.

პარტგანათლების ბოლშევიკური ტემპები

(„26 კომუნარების სახ. რაიონი)

26 კომუნარების სახელის პარტრაიკომმა თავიდან აიღო ბოლშევიკური ტემპები. პოლიტსკოლების ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ აღებული ტემპები ბოლომდე ვერ შეინარჩუნა. რაიონში სულ უნდა გახსნილიყო პირველ დაწყებითი პოლიტ-სკოლა—23, გაიხსნა—57; საკანდიდატო ჯგუფი უნდა ყოფილიყო—43, არის—21. მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე—33, არის —50, მარქსიზმისა და ლენინიზმის შემსწავლელი წრე—15, არის—8. საღამოს საბჭოთა პარტსკოლა—8, გახსნილია—7.

სკოლებში გეგმით უნდა გაერთიანებული ყო პარტიის 953 წევრი, სინამდვილეში კი გაერთიანდა—964 კაცი. 703 პარტკანდიდატიდან პოლიტსკოლებში გაერთიანებულია —457 კაცი. მთლიანად პოლიტსკოლებსა და წრეებში ჩაბმულია 2146 უპარტიო, 537 კომკავშირელი და 1041 ქალი. 26 რაიონში შემავალ პოლიტსკოლებში გეგმით უნდა ჩაბმულიყო 3032 კაცი, სინამდვილეში კი ჩაბმულია 4102 კაცი.

სკოლების ეს რაოდენობა რაიონულმა კომიტეტმა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა. მთელი რიგი პოლიტსკოლები, ადგილობრივი ორგანიზაციების დაუდევრობის გამო, ჩაიშალა ბევრი სკოლა. ჩაშლის საფრთხის წინაშე სდგას ნავთლუღის უბანში შემავალი პოლიტსკოლების მუშაობა. ჩაიშალა ხელმძღვანელების და ადგილობრივი ორგანიზაციების დაუდევრობის გამო.

სარეწაო კავშირის ხაზით საკონტროლო ციფრებით უნდა გახსნილიყო 25 პოლიტსკოლა, სინამდვილეში მხოლოდ 10 პარტსკოლა გაიხსნა.

ბოლო მოუღოთ პარტგანათლების შეუფასებლობას

ამხ. სტალინის სახელობის რაიონის პარტუჯრედმა თავიდანვე ვერ აიღეს ბოლშევიკური ტემპები პოლიტსკოლების ჩამოსაყალიბებლად.

რაიონში სულ ჩამოყალიბებულია 223 სკოლა. გაერთიანებულია 6.396 კაცი.

სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი პროპაგანდისტებით — 38 პოლიტსკოლა უხელმძღვანელოდ არის მიტოვებული, რის აღმოსაფხვრელადაც რაიონული კომიტეტის კულტპროპგანყოფილების მიერ არის გადადგმული სათანადო ნაბიჯი.

რაიონის ზოგიერთი პარტუჯრედების მხრივ ადგილი აქვს პარტგანათლების შეუფასებლობას, მაგ. ზოგიერთი უჯრედებში პარტგანათლების დღეს იწვევენ სხვა და სხვა სხდომებს, რაც იწვევს მეცადინეობის ჩაშლას. მაგ. სახკინმრეწვის, ავტო-სახელოსნოს და პურის ქარხნის უჯრედების ბიუროები — პარტგანათლების დღეს იწვევენ კრებებს. [illegible] ადგილი აქვს პოლიტსკოლების [illegible] ზოგიერთი ხელმძღვანელების მიერ. 15 ნოემბრის პოლიტმეცადინეობა ხელმძღვანელ, მჟავანაძის (წყალსადენი) კახაძის (პირველი სტამბა), პეტროსიანის (კარიერზე) გამოუცხადებლობამ გამოიწვია პოლიტმეცადინეობის შეფერხება, რისთვისაც აღნიშნულ ამხანაგებს რაიონული კომიტეტის მიერ გამოეცხადათ საყვედური.

თამბაქოს მეორე ფაბრიკის პარტუჯრედის მდივანი ამხ დელერზონი მემარჯვენე ოპორტუნისტობას იჩენს პოლიტსკოლების ჩამოყალიბების საქმეში. ამხ. დელერზონმა რაიკომში განაცხადა სკოლები ჩამოყალიბებული გვაქვს და ნორმალური მუშაობა სწარმოებსო, სინამდვილეში კი აღმოჩნდა რომ არც ერთი სკოლა არ იყო ჩამოყალიბებული. ბოლოს ამხ. დელერზონმა განაცხადა: **„იმდენი დრო ვერ ვიშოვე, რომ პოლიტსკოლების ჩამოსაყალიბებლად მეზრუნა, საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებაში გვაქვს ჩამორჩენილობა და მარტო საწარმოო საკითხების მუშაობას უნდებითო“.**

ამხ. სტალინის სახელობის პარტრაიკომმა უნდა აიღოს ბოლშევიკური ტემპები პოლიტსკოლების ჩამოსაყალიბებლად და მიიღოს გადამჭრელი ზომები მათ წინააღმდეგ, ვინც ვერ აფასებს პარტგანათლების მნიშვნელობას.

დამთავრდა საქ.-საფაბ. კომიტეტების საგადარჩევო საანგარიშო კამპანია ტფილისში

საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების გადარჩევის საანგარიშო კამპანია საერთოდ თბილისში დამთავრდა. კამპანია ჩატარებულ იქნა ფართო მასების მობილიზაციის ნიშნით პარტიის გენერალური ხაზისათვის, ამხ. სტალინის 6 მითითების პრაქტიკულად გატარებისათვის.

კამპანია მიმდინარეობდა მშრომელთა უდიდესი აქტივობის პირობებში. შესრულებულ იქნა პროფსაბჭოს დირექტივა თვითშემამოწმებელი ბრიგადების გამოყოფის შესახებ. თბილისის საწარმოებში გამოყოფილ იქნა 1.160 თვითშემამოწმებელი ბრიგადა, რომლებმაც თავიანთი მუშაობა გაავრცელეს 35236 კაცზე. საანგარიშო კრებებზე დასწრეთა პროცენტი არსად არ ყოფილა 76-ზე ნაკლები (სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა კავშირი), დასწრეთა უდიდესი რიცხვი საანგარიშო კრებებზე მოგვცეს კომუნალური მეურნეობის მუშაკებმა და თევზის მრეწველობის მუშებმა—97 პროცენტი.

საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 3.500 კაცმა, ამასთან კამათში გამოსვლა უმთავრესად ეხებოდა სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებასა და ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაციას.

საარჩევნო კრებების ჩატარების დროს დასწრების პროცენტი 80-ზე ნაკლები არსად არ ყოფილა.

ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციების გადარჩევა ხდებოდა საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების საარჩევნო-საანგარიშო კამპანიასთან ერთად; საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების შემადგენლობაში არჩევნების დროს შეჰყავდათ აგრეთვე ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციის წარმომადგენელი.

საარჩევნო - საანგარიშო კამპანიის დროს თბილისის საწარმოებში მოეწყო 70 სამეურნეო ანგარიშის ბრიგადა, 386 ახალი დამკვრელი ბრიგადა, 22 ბრიგადა პროდუქციის ხარისხის შესახებ, 44 წრე ტეხნიკის დასაუფლებლად. შემოვიდა 1.405 მუშათა წინადადება. განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ შემოვიდა 561, კომკავშირში —402. მიღებულ იქნა პროფკავშირის წევრად 2.853 კაცი.

ეს ციფრები თვალნათლივ გვიჩვენებენ მუშათა მასის მიერ აქტიური მონაწილეობის მიღებას სამრეწველო-საანგარიშო კამპანიაში.

კამპანიის განმავლობაში გამოშვებულ იქნა თბილისში 407 სპეციალური კედლის გაზეთი, ჩატარებულ იქნა 73 კულტ-საღამო და ოჯახის წევრთა 53 საერთო კრება.

პარტიისა და პროფსაბჭოს დირექტივები საარჩევნო-საანგარიშო კამპანიის ჩატარების შესახებ თბილისში საერთოდ შესრულებულ იქნა. საარჩევნო კამპანია ყველა პროფორგანიზაციებისათვის წარმოადგენდა პოლიტიკურ გამოცდას მათ წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად ყველა პროფორგანიზაციების უახლოეს ამოცანას წარმოადგენს—მიღწეული წარმატების საფუძველზე მოხდეს მუშათა ფართო მასების მობილიზაცია შემდგომი ბრძოლის საწარმოებლად პარტიის გენერალური ხაზისათვის (ადს).

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ვადაზე შესრულება საფრთხეშია

„დაევალოს ა.-კ. სამხარეო კომიტეტს და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს პირველ რიგში უზრუნველყონ წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღება 1932 წელს საქართველოსა და სომხეთში და 1934 წელს აზერბაიჯანში“

(საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებიდან).

„კომუნისტი“-ს დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების რეიდი

სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად საქართველოში წ. კ. უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაცია უნდა დამთავრდეს 1932 წლის პირველ იანვრისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში უნდა მივაღწიოთ გადამჭრელ გარდატეხას და ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ საბჭოთა, პროფესიონალური, სამეურნეო, კოოპერატიული და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები. მხოლოდ მაშინ შევძლებთ უმაღლესი ორგანოების დადგენილების ცხოვრებაში მთლიანად გატარებას, თუ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანას ჩვენ გადავაქცევთ მასიურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ამოცანად.

როგორც ჩვენი გაზეთის დამკვრელ მუშკორთა რეიდმა გამოარკვია წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ ადგილი აქვს აშკარა უყურადღებობას. სადირექტივო ორგანოების დადგენილების გატარება თანხების მობილიზაციის შესახებ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ფონდის გაძლიერებისათვის — ჯერაც არ დაწყებულა და ის მხოლოდ ქაღალდზე არის დარჩენილი. მთელი რიგი სამეურნეო ორგანიზაციები აშკარა ბიუროკრატიულად მოეკიდნენ ამ საქმეს. ზოგიერთ რაიონებში თანხების უქონლობის გამო ადგილი აქვს ლიკსკოლების მეცადინეობის **სისტემატიურ ჩაშლას,** ზოგ მასწავლებელთა დეზერტირობას, ლიკსკოლების მოუმარაგებლობას და სხვ. განათლების ორგანოებმა ვერ აიღეს ამ დარგში სამუშაოდ ბოლშევიკური ტემპები. პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფესიონალური და სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების ყურადღება წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად. არ არის საკმაოდ დარაზმული.

ოპერატიული გეგმა მასებამდე მიყვანილი არ არის

განსახკომს წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლისათვის შედგენილი აქვს ოპერატიული სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობას ამ საქმეში. ოპერატიული გეგმის თანახმად, 1932 წლის პირველ იანვრისათვის საქართველოში მთლიანად უნდა იქნეს აღმოფხვრილი წერა-კითხვის უცოდინარობა.

მთელ საქართველოში ამჟამად აღრიცხულია 153.093 წერა-კითხვის უცოდინარი. (აქედან 31.000 არის ნაცუმცირესობათა რაიონებში) თვითეული რაიონისათვის შედგენილია საკონტროლო ციფრები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ეს ოპერატიული გეგმა ჯერ კიდევ არ არის დაყვანილი ყველა სარაიონო ორგანოებამდე. მთელ რიგ რაიონებში არ არის გაშლილი ამ გეგმის რეალიზაცია. მაგ. **ბორჯომის რაიონში სრულ ოპორტუნისტულ თვითდინებაზე დაყრდნობას აქვს ადგილი წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.** ბორჯომის განათლების ორგანოები განსახკომიდან ჩასულ ბრიგადებს აძლევენ ზეპირ ციფრებს ჩატარებული მუშაობის შესახებ, ნამდვილად კი, როგორც გამოირკვა ამ მხრივ არავითარი მუშაობა არ იყო ჩატარებული. ასეთივე ჩამორჩენილობაა 20 ნოემბრისათვის. **აჭარისტანის უმრავლეს სოფლებში არ იყო გახსნილი ლიკსკოლები, არ არის წ. კ. უცოდინართა ზუსტი აღრიცხვა** და სხვ. **ადიგენის რაიონში** აღრიცხული წერა-კითხვის უცოდინარებიდან მხოლოდ მესამედი ნაწილია ჩაბმული ლიკსკოლებში, **ბორჩალოს რაიონში** 26.000 წერა-კითხვის უცოდინარების ლიკსკოლებში ჩაბმა 1932 წ. „გადასდვეს“; **სამხრეთ - ოსეთში** 7.000 წერა-კითხვის უცოდინარიდან ლიკსკოლებში მხოლოდ 3.000 კაცია ჩაბმული და სხვ.

ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ **ოპერატიული გეგმა არ არის მიყვანილი მასებამდე.** ზოგიერთ რაიონებში არც კი იციან თუ არსებობს ასეთი გეგმა. წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი ცენტრალური შტაბი, რომელიც არსებობდა განსახკომთან აშკარა ოპორტუნისტულ თვითდინებაზე იყო დაყრდნობილი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის დარგში. ცენტრალურმა შტაბმა აქ ჩაიდინა დანაშაულებრივი დაუდევრობა, რისთვისაც იგი ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით დაშლილ იქნა. აღნიშნული შტაბის დაშლის შემდეგ განსახკომთან გამოიყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო ოპერატიული გეგმის მთლიანად შესრულების უზრუნველყოფა. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ კომისიის სუსტი მუშაობაც. კომისიამ ვერ გაშალა მუშაობა რაიონებში. კომისიას არ აქვს ოპერატიული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს რაიონებში ლიკსკოლები, როგორი ტემპებით სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაცია. კომისია აგრეთვე ვერ უწევს ოპერატიულ ხელმძღვანელობას რაიონებს, თავის დროზე არ ავლინებს ინსტრუქტორებს, ვერ უზრუნველჰყოფს ლიკსკოლები საჭირო მასწავლებელთა კადრებით, თანხების მობილიზაციით, სახელმძღვანელოებით, საჭირო სამრეწველო პროდუქტების მომარაგებით და სხვ.

თბილისის საბჭოს განათლების განყოფილება ჯიუტობს

თბილისის საბჭოს განათლების განყოფილება სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობას ქალაქში. ეს ერთის მხრივ გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ განათლების განყოფილებას წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის სახელმძღვანელოდ „გამოყოფილი“ ყავს მხოლოდ ერთი კაცი, რაც, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნეს.

ქალაქში აღრიცხულია წერა-კითხვის 6.824 უცოდინარი, რაც შეადგენს მთელი ქალაქის მოსახლეობის 1,8 პროცენტს. ამ რიცხვიდან 20 ნოემბრისათვის ლიკსკოლებში ჩაბმული იყო მხოლოდ 2.250, ე. ი. დაახლოებით გეგმის 41 პროცენტი.

გეგმით თბილისის განათლების განყოფილებას უნდა გაეხსნა 250 ლიკსკოლა, ნამდვილად კი გახსნილია 204. ცხადია, თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდა თბილისში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, გეგმის შესრულებას საფრთხე მოელის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ლიკსკოლებში მსმენელების დასწრების აღრიცხვა არ სწარმოებს. ხშირად ლიკსკოლის მეცადინეობას ესწრება ერთი ან ორი კაცი და არავითარი გადამჭრელი ზომები არ არის მიღებული იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ლიკსკოლების მეცადინეობაზე წ. კ. უცოდინარების მთლიანად დასწრება. ადგილი აქვს აგრეთვე მასწავლებელთა დეზერტირობასაც, რომლის წინააღმდეგ განათლების განყოფილებას არავითარი ზომებისათვის არ მიუმართავს. მაგ. მასწავლებლები **ელენე პაატაშვილი, ანნა ზანდუკელი** და სხვები გაგზავნილი იყვნენ ლიკსკოლების ხელმძღვანელებათ, მაგრამ დანიშნულ ადგილზე არ გამოცხადდნენ, რის გამოც ლიკსკოლები ჩაიშალა. განათლების განყოფილებას ეს თავის დროზე აცნობეს, მაგრამ დეზერტირ მასწავლებლებისათვის არავითარი პასუხი არ მოუთხოვიათ და მხოლოდ წერილების მიწერით დაკმაყოფილდა.

განათლების განყოფილებამ სარეწაო კავშირს არ მისცა ლიკსკოლის ხელმძღვანელები; მიუხედავათ იმისა, რომ სარეწაო კავშირის კულტსექტორმა რამოდენიმეჯერ მოსთხოვა მასწავლებლები განათლების განყოფილებას. როგორც გამოირკვა განათლების განყოფილების ასეთი ჯიუტობის მიზეზი სარეწაო კავშირთან სულ სხვა იყო.

სარეწაო კავშირს სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად წერა-კითხვის უცოდინარობის ფონდში განსახკომისათვის უნდა გადაეცა 60.000 მან. განათლების განყოფილებამ ასეთი წინადადება მისცა სარეწაო კავშირს: **„თუ განსახკომზე გადასაცემ 60.000 მანეთს ჩვენ გადმოგვცემთ ლიკსკოლებისათვის მასწავლებლებს მოგცემთ, თუ არა ჩვენგან მასწავლებლებს ნუ მოელით“-ო.** საკვირველია, რას უნდა მიეწეროს განათლების განყოფილების ასეთი ჯიუტობა. როგორ გონია თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების ზოგიერთ ხელმძღვანელებს, თუ განსახკომს გადაეცა თანხები წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო ფონდში, განა ეს არ ნიშნავს განათლების განყოფილების ფონდის გაძლიერებას? საჭიროა ასეთ ჯიუტურ მოქმედებებს ბოლო მოეღოს. თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებამ უნდა აიღოს ბოლშევიკური ტემპები წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმის ვადაზე შესრულებისათვის.

პროფკავშირები „თავის ხაზით მუშაობენ“

წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში უდიდესი როლი ენიჭება პროფკავშირებს. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ კულტ - არმიელების დარაზმვა ამ ამოცანის შესრულებისათვის და მასიური მუშაობის გაშლა წერა - კითხვის უცოდინართა შორის. პროფკავშირებმა წერა-კითხვის უცოდინარობა და მცირემცოდნეობა უნდა აღმოფხვრან არა მარტო პროფკავშირების წევრებს შორის, არამედ მათი მუშაობის სიმძიმის ცენტრი, აგრეთვე გადატანილ უნდა იქნას წარმოებებში, კოლმეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და საბჭოთა მეურნეობებში წერა - კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად.

საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორის ცნობით ამჟამად საქართველოში აღრიცხულია წერა - კითხვის 10.000 უცოდინარი კავშირის წევრი, რომლებიც მთლიანად ჩაბმული არიან ლიკსკოლებში. საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორმა წ. კ. უცოდინარობასთან საბრძოლველად მობილიზაცია უყო 5.000 კულტარმიელს, რომლებიც მთლიანად გამოყენებული არის ლიკსკოლებში სამუშაოდ, მაგრამ, რაც მთავარია, პროფკავშირებს არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ არაკავშირის წევრთა შორის წ. კ. უცოდინარობის აღმოსაფხვრელად. პროფსაბჭოს წარმომადგენელი აცხადებს, რომ **„ჩვენ ვმუშაობთ ჩვენი ხაზით წერა - კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად პროფკავშირის წევრებში. სხვა დარგში მუშაობა კი ჩვენი საქმე არ არისო“.**

საქ. განათლების მუშაკთა კავშირის მონაწილეობა არადამაკმაყოფილებელია წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. უმაღლესი ორგანოების დადგენილების თანახმად გან. მუშაკთა კავშირს წერა - კითხვა უნდა შეესწავლებინა 25.851 კაცისათვის კოლმეურნეობებში. ამაზე განკავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ხელშეკრულება დასდო კოლმეურნეობის ცენტრთან, და მთელი მუშაობა ამით დამთავრდა. პრაქტიკულად დადებული ხელშეკრულების შესრულებისათვის ბევრი არაფერი გაკეთებულა. განკავშირის ცენტრალურ გამგეობას არ მოეპოვება არავითარი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ეს საქმე რაიონებში. მან ვერ უზრუნველჰყო კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევა რაიონებისათვის. განათლების მუშაკთა კავშირმა აგრეთვე ეხლაც არ იცის თუ როგორ მუშაობენ ადგილებზე გამოყოფილი კულტარმიელები. ხშირად კულტარმიელების მხრივ ადგილი აქვს ლიკსკოლების სრულიად მიტოვებას. მაგრამ ამისათვის სათანადო პასუხი მათთვის არ მოუთხოვნიათ. საჭიროა გან. მუშაკთა კავშირმა თავი დააღწიოს ასეთ უყურადღებობას წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანისადმი და აიღოს ბოლშევიკური ტემპები კულტარმიელთა მხრივ მეტი მუშაობის გასაშლელად.

კომკავშირის მონაწილეობა სუსტია

საქართველოს კომკავშირის ორგანიზაცია შეფი არის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის. უნდა აღინიშნოს კი, რომ კომკავშირის ზოგიერთ ორგანიზაციების მიერ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისადმი აშკარა უყურადღებობასთან გვაქვს საქმე. კომკავშირი იჩენს სუსტ ინიციატივას ლიკსკოლების გახსნის საქმეში, არ გადასცემია კულტარმიელი კომკავშირელები განათლების ორგანოებს ამ დარგში სამუშაოდ, ძალზე სუსტია თანხების მობილიზაცია და სხვ. კომკავშირის ორგანიზაცია აქ მოწინავეთა რიგებში უნდა იდგეს. კომკავშირის ადგილობრივ უჯრედებს უნდა გაეშალათ მუშაობა ამ მხრივ, მაგრამ ნამდვილად, როგორც გამოირკვა კომკავშირის ზოგიერთი უჯრედები სრულ უყურადღებობას იჩენენ ამ ამოცანის შესრულებაში, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნეს.

ქალაქში, განათლების განყოფილების მიერ აღრიცხულია 25 წ. კ. უცოდინარი და მცირე მცოდნე კომკავშირელი. არ არის ზუსტი აღრიცხვა წ. კ. უცოდინარი და მცირე მცოდნე კომკავშირლების, არ ექცევა სათანადო ყურადღება წარმოებებში კომკავშირელთა შორის წ. კ. უცოდინარობის აღმოფხვრას და სხვ. კომკავშირის ორგანიზაციას, რომელიც ბოლშევიკურად იბრძვის სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, არ შეუძლია სისუსტე გამოიჩინოს წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის გატარების საქმეში.

ბიუროკრატიული უყურადღებობის გამო

წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის გეგმის მთლიანად შესრულებას აფერხებს ის გარემოება, რომ სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციები ამ საქმისადმი აშკარა ოპორტუნისტულ უყურადღებობას იჩენენ. დაუშვებელი ნელი ტემპით სწარმოებს თანხების მობილიზაცია წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო ფონდის გასაძლიერებლად. **სამეურნეო-კოოპერატიულ ორგანიზაციებზე დღემდე ირიცხება მილიონ ასი ათასი მანეთი დავალიანება, რომელიც მათ არ გაუნაღდებიათ.** თანხების უქონლობის გამო კი ფერხდება მუშაობა. ლიკსკოლის მასწავლებლებს არ ეძლევათ თავის დროზე ხელფასი, ლიკსკოლები ვერ არიან მომარაგებული ნავთით, სათბობი მასალით, ბინით, სახელმძღვანელოებით და სხვ. ყველა ეს კი საფრთხეს **უქადის გეგმის მთლიანად შესრულებას.**

ჩვენი ბრიგადების შეკითხვაზე: თუ რა მონაწილეობას იღებენ წ. კ. უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში: „საქართველოს ჩაი“-ს მმართველის მოადგილე ამხ. **გიგინეიშვილმა** განაცხადა, რომ **„ჩვენ შტატში არ გვყავს წერა-კითხვის უცოდინარები, ჩვენს განკარგულებაში მყოფ ჩაის საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში, თავიანთი თანხები აქვთ ამ დარგში და უნდა იმუშაონ, სხვა რა მონაწილეობა უნდა მივიღოთ არ მესმის“-ო.** აი როგორ ესმით ზოგიერთ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს თავიანთი მონაწილეობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში; ასეთ უპასუხისმგებლო განცხადება ნიშანია იმისა, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელები „სასხვათაშორისო“ და არა პირდაპირ მოვალეობათ სთვლიან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს.

როგორც აღვნიშნეთ დღემდე სამეურნეო ორგანიზაციებს განათლების კომისარიატის დავალება აქვთ **მილიონ ასი ათასი მანეთი,** რომელიც უმაღლესი ორგანოების დადგენილების თანახმად ჯერ კიდევ სექტემბერში უნდა შეგროვილიყო, მაგრამ დღემდე ამ თანხიდან მხოლოდ რაღაც 5 პროცენტია აკრეფილი. ჩვენ მოვითხოვთ ამ საქმეში სათანადო ორგანოების ჩარევას, რომ თავის დროზე იქნას შესრულებული თანხების მობილიზაციის გეგმა. აი ის ორგანიზაციები, რომელზედაც ირიცხება დავალიანება: **ცეკავშირი** 200 ათასი მანეთი, **„ხილბოსტანკავშირი“** 60 ათასი მანეთი, **საქ მეცხოველეობის კავშირი** 40 ათასი მანეთი, **საქ. აბრეშუმი** 20 ათასი მანეთი, **„საქ. ჩაი“** 37 ათასი მანეთი, **ჭიათურის მარგანეცი** 40 ათასი მანეთი, **საქ. წითელი ჯვარი** 17 ათასი მანეთი, **საქ. პროფსაბჭო** 36 ათასი მანეთი, **სახელგამი** 29 ათასი მანეთი, **საქ. გზატრანსს** 3.400 მანეთი **კოლმეურნცენტრი** 3.400 მანეთი, **ტეხნიკურ კულტურათა კავშირი** 6.800 მანეთი, **წყალთა მეურნეობის სამმართველო** 1.360 მანეთი, **„საქ. ნავთს“** 2.800 მანეთი, **პოლიტ-კატორღელთა საზოგადოებას** 2.700 მანეთი. **საქ. მომარაგების სახ. კომისარიატს** 1.360 მანეთი, **შრომსახკომს** 3.400 მანეთი, **სახბანკს** 6.800 მანეთი, და სხვ. აღნიშნულ ორგანიზაციებს განსახკომთან დადებული ხელშეკრულების, თანახმად სექტემბრამდი უნდა ჩაებარებინათ ეს თანხა ცენტრალური შტაბისათვის, მაგრამ მიუხედავად არა ერ-

(იხ. მე-4 გვერდზე)

ბის დაგროვების ჯამი მიაღწევს 50 მილიარდ მარკას.

მეურნეობაში დაბანდებულ სახსრების სიდიდის განსაზღვრის მესამე წყარო იმ სააქციო საზოგადოებათა ბალანსის შესწავლა წარმოადგენს, რომელთაც ერთ მილიარდ მარკაზე მეტი კაპიტალი გააჩნიათ. აქ შემდეგი მდგომარეობაა: 1924 — 28 წ. განმავლობაში გერმანიის მეურნეობაში ჩაება უცხოეთის და ადგილობრივი კაპიტალი 39,3 მილიარდი მარკის რაოდენობით. კანიუნქტურის ინსტიტუტის ცნობების თანახმად, შესაბამ [illegible] შეგვიძლია ავიღოთ 1929 წლისათვის 7 და 1930 წლისათვის 4 მილიარდი მარკა, ყველა ეს, ერთად აღებული, მოგვცემს 50 მილიარდ მარკას.

უკანასკნელი საკითხი, რომლის გამორკვევა ნათლად გვიჩვენებს ჩქარი განვითარების და ჭარბი წარმოების ხასიათს ეს არის მრეწველობის დატვირთვის მაჩვენებლები, გერმანიაში, ეს მაჩვენებლები ლაპარაკობენ, რომ გერმანიის ინდუსტრია უფრო ძლიერია, ვიდრე ის ბაზრები, რომლებსაც იგი ეყრდნობა. ამაზე ლაპარაკობს თუნდაც უმუშევრობის უდიდესი ზრდა, უმუშევართა რიცხვი ახლა გერმანიაში 5 მილიონზე მეტია. 1929 წელთან შედარებით, გერმანიის ინდუსტრიალური პროდუქცია ახლა შეადგენს 66 პროცენტს. 1929 წელთან შედარებით პროდუქცია შემცირდა: ქვანახშირის — 68.6 პროცენტამდე, თუჯის — 53,1 პროცენტამდე, მშენებლობის — 55 პროც., შეკვეთები მანქანათმშენებლობის დარგში—50 პროც., რკინის გზების ტვირთბრუნვა — 72 პროც. 1930 წელთან შედარებით საგარეო ვაჭრობა შემცირდა—81 პროც. 1931 წლის მაისამდე (ნახევარი წლის განმავლობაში) ნედლეულის და ნახევარ ფაბრიკატების შემოზიდვა დაეცა 47 პროცენტით. გატანილ საქონელთა ღირებულება შემცირდა 24 პროც., თამასუქების გაცემა შეიკვეცა 33 პროცენტით. საშინაო სესხი შემცირდა 950 მილიონიდან (1927 წ.) 6 მილიონამდე (1931 წ.).

ასეთია გერმანიის მეურნეობის მაჩვენებლები. საგარეო ვალებში და რეპარაციებში გერმანია იხდის: გრძელვადიან ვალს — 900 მილიონ მარკას, მოკლევადიან ვალს—480 მილიონ მარკას, უცხოეთის დაბანდებებში რენტის დამოგების სახით—420 მილიონ მარკას და რეპარაციებში—1800 მილიონ მარკას, სულ წლიური საგარეო გადასახადების ჯამი აღწევს 3,6 მილიარდ მარკას.

ასეთი ტვირთის ქვეშ, ვერსალის სისტემის ჩარჩოებში ჩამწყვდეულს, მსოფლიო კრიზისით საფუძვლებ შერყეულ გერმანიას — აღარ შეუძლია განაგრძოს არსებობა. აი რატომ შესცქერიან ფულის საერთაშორისო ბაზარზე უნდობლობით გერმანიისათვის კრედიტების მიცემის საკითხს; აი რატომ მიდის შინაგანი სახსრები დანაკარგებზე, აი რატომ „გარბის“ საზღვარგარეთ გერმანული კაპიტალი და მცირდება დაგროვების ტემპები.

გერმანია ეძებს გამოსავალს ამ მძიმე მდგომარეობიდან. ამ გამოსავალის ძებნაში უნდა მოველოდეთ, რომ ის შეეცდება:

1. ყოველგვარ პირობებში მიიღოს საზღვარგარეთ სესხი.
2. რათაც არ უნდა დაუჯდეს თავიდან მოიშოროს სარეპარაციო ვალდებულებანი.
3. ხელი შეუშალოს საზღვარგარეთ კაპიტალის გატანას და უკან დააბრუნოს უკვე გატანილი კაპიტალი.
4. გაზარდოს სესხის პროცენტი, 15-მდე და ზევით.
5. შეამციროს სახელმწიფო კომუნალური სამუშაოების და კულტურული ხარჯები.
6. შეამციროს ხელფასი და უმუშევართათვის დახმარება.
7. რათაც არ უნდა დაუჯდეს, მიაღწიოს სავაჭრო ბალანსის აქტივიზაციას.

მაგრამ ეს ღონისძიებანი, მხოლოდ და მხოლოდ პალიატივებს წარმოადგენენ. მათ არ შეუძლიათ ცოტად თუ ბევრად შეამსუბუქონ მდგომარეობა.

გერმანიას შეუძლია სესხის მიღება, მაგრამ ისეთ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში, რომლებზედაც არ დათანხმდება არც ერთი პარტია და კაბინეტი. სარეპარაციო ვალდებულებათა თავიდან მოშორება, დროებით უკვე განხორციელებული „ბედნიერება“, რომელიც საქმეს ვერ უშველის. საზღვარგარეთ გატანილი კაპიტალის რაოდენობა უკვე საკმაოდ დიდია, იგი 5 მილიარდ მარკას აღწევს. რაც შეეხება უკვე გატანილ კაპიტალის გერმანიაში დაბრუნებას, ეს შეუძლებელია უცხოეთის ბანკების სათანადო დახმარების გარეშე, რადგან ეს უკანასკნელნი ამაზე არ დათანხმდებიან. სესხის პროცენტის 15-მდე და უფრო მეტად გაზრდა, მნიშვნელოვნად შეამცირებს მოთხოვნილებას კრედიტებზე, მაგრამ გაანადგურებს წვრილ საწარმოთა დიდ ნაწილს. მსხვილი მრეწველობაც, პროცენტის გაზრდის ამგვარ ცდებს უწევს და მომავალშიც გაუწევს სასტიკ წინააღმდეგობას. მრეწველობა მთავრობას მიუთითებს სხვა გზისაკენ — სამართველო კულტურულ ხარჯების, ხელფასის და უმუშევართა დახმარების შემდგომი შემცირებისაკენ. სავაჭრო ბალანსის აქტივიზაცია, პირველ რიგში განხორციელდება იმპორტის შემცირების ხარჯზე. ასეთია „გამოსავალი გზების“ ნამდვილი სახე, რომელთაც ოდნავადაც არ შეუძლიათ კრიზისის შენელება.

ერთად - ერთი მნიშვნელოვანი და სერიოზული გზა, რომელიც გერმანელებს დარჩენიათ, ეს არის — **დემპინგი და ინფლიაცია,** რაც განხორციელდება მუშათა კლასის ხარჯზე. ინფლიაცია საშუალებას მისცემს მრეწველობას თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეამციროს რეალური ხელფასი და დაბალ ფასებში გაასაღოს პროდუქცია. ინფლიაცია გაზრდის მრეწველობის დატვირთვას და შეამცირებს უმუშევრობას. მაგრამ **ეს გზა ინფლიაციისა — უდიდესად გაამწვავებს კლასიურ წინააღმდეგობებს და გერმანიაში დღის წესრიგში დააყენებს პროლეტარული რევოლუციის საკითხს.**

დაუბრუნდეთ ისევ საერთაშორისო ვალების საკითხს. გერმანიაში ბევრს ფიქრობენ — შექმნილი მდგომარეობა შეამსუბუქოს საერთაშორისო კრედიტების სახელმწიფოებრივი მოწესრიგების გზით. თავის დროზე, რეიხსბანკის ცდები ამ მიმართულებით, შეეჯახა მრეწველობის, ვაჭრობის და ბანკების სასტიკ წინააღმდეგობას. ეს ცდები მარცხით დამთავრდა. ახლა გერმანიის მთავრობა იძულებულია დაადგეს სხვა გზას: გერმანია შეეცდება საერთაშორისო ვალებიდან განთავისუფლდეს შემდეგი საშუალებებით: 1. მორატორიუმის თვითნებურად გამოცხადების შიშის ქვეშ შეინარჩუნონ 15 ივლისამდე სახელმწიფოში დარჩენილ მოკლევადიანი კრედიტები და, გადააქციონ ისინი გრძელვადიანათ, 2. შეავსონ იმპორტი და ექსპორტი, რაც ფაქტიურად იმპორტის შემცირების გზით, ექსპორტის აქტივიზაციას ნიშნავს და 3. გადასცენ ყველა სავალიუტო ოპერაციები სახელმწიფო ბანკს, რომელსაც მიეცემა განუსაზღვრელი უფლებები.

ახალი, საგანგებო სავალიუტო კანონმდებლობის თანახმად, უცხოეთის ვალიუტის შეძენა შეიძლება მხოლოდ რეიხსბანკის წერილობითი თანხმობის შემდეგ და მისივე საშუალებით. ამ კანონმა გააუქმა ვალიუტის თავისუფლად გამოყენების უფლება. მანვე აკრძალა, რეიხსბანკის თანხმობის გარეშე, საზღვარგარეთ მარკის გადაგზავნა და უცხოელებისა და უცხოური საზოგადოებათათვის მარკით კრედიტების მიცემა. ახალ კანონით მთავრობა იტოვებს, ამ საკითხზე ყოველგვარი ცნობების მოთხოვნის უფლებას.

ცენტრალური ანგარიშსწორების ბიუროს დაარსების შემდეგ, მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომ მრეწველობისა და ვაჭრობისათვის საკრედიტო ბაზრისაკენ გაეხსნა გზა, ე. წ. საგარანტიო - საკცეპტო ბანკის დაარსება იყო. ეს ბანკი, რომელშიაც ორი მეხუთედით მთავრობის და სამი მეხუთედით გერმანიის უდიდესი ბანკების კაპიტალი მონაწილეობს, წარმოადგენს „გოლდისკონტბანკ“-ის ნაწილს. მან უნდა განამტკიცოს მონაწილეთა სოლიდარობა და შეამსუბუქოს შექმნილი მდგომარეობა.

გერმანიის მთავრობის ამ უკანასკნელ ღონისძიებაში, შეიძლება დავინახოთ კერძო - კაპიტალისტურ მეურნეობისათვის ახალი ტენდენციები. მონოპოლისტური კაპიტალიზმი გერმანიაში. ცდილობს მოსალოდნელ კატასტროფას სახელმწიფო კაპიტალიზმის საშუალებით დააღწიოს თავი ამგვარ ღონისძიებას წარმოადგენს, სახელმწიფოს ხელში ყველა საშინაო და საგარეო სავალიუტო ოპერაციების მონოპოლიზაციის ცდები, რომელმაც თავისი დასრულებული სახე ვალიუტის შესახებ ახალ საგანგებო კანონში ჰპოვა. ეს მონოპოლია გულისხმობს: იმპორტ - ექსპორტის შეკვეცას, საგარეო ვაჭრობის მოწესრიგებას და კრედიტზე ნამდვილი სახელმწიფოებრივი კონტროლის განხორციელებას.

ალ. სვანიძე.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ვადაზე შესრულება საფრთხეშია

თი და ორი გაფრთხილებისა, დღემდე არ არის გაპადღებული. ყოველ მოთხოვნაზე ისინი განსახკომის წარმომადგენლებს მხოლოდ დაპირებებით და ტკბილი სიტყვებით ისტუმრებენ.

მეტი ყურადღება წ. კ. უცოდინარობის აღმოფხვრას მუშებში

თბილისის ფაბრიკა - ქარხნებში სათანადოთ არ არის გაშლილი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა. განათლების განყოფილების უგეგმო მუშაობის გამო ამ საკითხს არ მიქცევია სათანადო ყურადღება წარმოებებში, რის გამო წერა-კითხვის უცოდინარი მუშები მთლიანად არ არიან ჩაბმული ლიკსკოლებში. მაგ. ტრამვაიში აღრიცხულია წერა - კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნე 96 მუშა, აქედან ლიკსკოლებში ჩაბმულია მხოლოდ 60 კაცი, მაუდის ფაბრიკაში არ არის ზუსტი აღრიცხვა წერა - კითხვის უცოდინარი მუშების, გახსნილია ორი სკოლა: ერთი ქართული და ერთი რუსული, სადაც მხოლოდ ოთხ ოთხი კაცი სწავლობს. აღრიცხულია აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარი 40 მუშა ქალი, რომლებიც ლიკსკოლებში ჩაბმული არ არიან. ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში არის წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნე 404 მუშა. აქედან ლიკსკოლებში მხოლოდ 107 კაცია ჩაბმული. სუხიშვილის სახელობის ქარხანაში აღრიცხულია წ. კ. უცოდინარი და მცირე მცოდნე 87 მუშა, მაგრამ აქ ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ლიკსკოლები და სხვ. როგორც მოყვანილი ფაქტიდან ჩანს ჩვენი საწარმოების ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციები ძალიან სუსტი ყურადღებით ეკიდებიან ამ საქმეს. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას კოლმეურნეთა შორის.

პირველი მაისისათვის საქართველოში აღრიცხული იყო წერა - კითხვის უცოდინარი 53.000 კოლმეურნე. ზაფხულის განმავლობაში მთლიანად ჩაიშალა ლიკსკოლების მუშაობა კოლმეურნეობებში, მაგრამ მის გამოსწორებას შემოდგომაზე არავითარი ყურადღება არ მიქცევია. 20 ნოემბრისათვის მთელ საქართველოში ლიკსკოლებში ჩაბმულია მხოლოდ წერა - კითხვის უცოდინარი 6.500 კოლმეურნე, რაც ყოვლად მოუთმენელი მდგომარეობაა. კოლმეურნეობების ცენტრმა ვერ უზრუნველჰყო სათანადო ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებში წერა - კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად, ვერ არის საამისოდ მასიური მუშაობა გაშლილი და სხვ. საჭიროა ამ მდგომარეობას კოლმეურნეცენტრმა მიაქციოს სათანადო ყურადღება, აქ დაყოვნება და საქმის „შემდეგისათვის" გადადება დაუდევრობას უდრის.

სკოლები ჩამორჩენ

წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში სკოლების მონაწილეობა ძალზე სუსტია. რაც მთავარია სკოლებს აქ მართებთ მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრის გადატანა და სკოლის, როგორც მასწავლებლების, ისე მოწაფეების მთლიანად ჩაბმა ამ საქმეში, მაგრამ ჩატარებული მუშაობის შედეგი სულ სხვა სურათს იძლევა. მაგ. მე-22 საქ საფ. სკოლამ ჯერ არ იცის, თუ ამ სკოლის სამოქმედო რაიონში რამდენი წერა-კითხვის უცოდინარია და რამდენს უნდა შეასწავლოს წერა-კითხვა სკოლამ თავისი საშუალებებით. თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებას არ მიუცია არავითარი პრაქტიკული მითითებები სკოლებისათვის, თუ როგორ უნდა გაეშალათ მათ მუშაობა. მე-14 საქ. საფ. სკოლამ თავისით გამოიჩინა ინიციატივა და წერა-კითხვა შეასწავლა 100 წითელ არმიელს — სადაც მათ მიერ გახსნილი იყო 5 ლიკსკოლა.

განსაკუთრებით აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თბილისის ახალ დარაიონებასთან დაკავშირებით გამოყოფილი რაიონული განათლების განყოფილებებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ მუშაობა. მაგ.: ორჯონიკიძის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებას არავითარი ცნობები არ მოეპოვება იმის შესახებ, თუ როგორ არის ლიკსკოლებში მსმენელთა და მასწავლებელთა დასწრება და სხვ. არ არის ცნობები, რაიონში რამდენი წ. კ. უცოდინარია, რამდენი მცოდნე, აქედან რამდენია ჩაბმული ლიკსკოლებში და სხვა. საჭიროა რაიონის განათლების განყოფილებებმა მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

თურქული ლიკსკოლებისათვის სახელმძღვანელოები არ არის

წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სუსტად სწარმოებს ნაცუმცირესობათა შორის. განსაკუთრებით ამ მდგომარეობას ხელს უშლის სათანადო კადრების უყოლობა, და სახელმძღვანელოების უქონლობა მშობლიურ ენაზე. ამჟამად თბილისში არსებულ თურქულ ლიკსკოლებისათვის არც ერთი სახელმძღვანელო არ არის თურქულ ენაზე. მიუხედავათ ჩვენი გაზეთის არა ერთი მითითებებისა საქ. განსახკომმა ვერ უზრუნველჰყო თურქული ლიკსკოლები საჭირო სახელმძღვანელოებით. ამ მდგომარეობის ობიექტიური მიზეზებით ახსნა ყოვლად შეუძლებელია. განსახკომმა თავის დროზე ვერ გაშალა მუშაობა ნაცუმცირესობათა სახელმძღვანელოების მომარაგებისათვის. დაგვიანებით გაუგზავნა დაკვეთა აზერბეიჯანის სახელგამს სახელმძღვანელოების შესახებ, ამიტომ დაგვიანდა მისი გამოგზავნა, რამაც შეაფერხა ლიკსკოლების მუშაობა. საჭიროა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ეხლავე იქნეს გადამჭრელი ზომები მიღებული. ნაცუმცირესობათა შორის წერა - კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. იგი ჩვენი განათლების ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იქნეს.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს ლიკსკოლების სრულიად მოუმარაგებლობა ნავთით, სათბობი მასალით, განათებით, ბინით და სხვ. სარეწაო კავშირის არტელებში საღამოობით ხშირად იშლება ლიკსკოლების მეცადინეობა იმიტომ, რომ არ არის ელექტრონის ლამფები. ამასთანავე არ უთმობენ ლიკსკოლებს სამეცადინო ბინებს. ხშირად ლიკსკოლები მოთავსებულია ნესტიან და ბნელ ბინებში და სხვ.

საჭიროა ლიკსკოლების ბინით, ელექტრო ლამფებით, სათბობი მასალით და სხვ. მომარაგებას მთავარი ყურადღება მიექცეს.

დასკვნა

წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, როგორც ეს მოყვანილი მასალებიდან ირკვევა — არ არის გაშლილი, როგორც მასიური - პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანია. ადგილი აქვს ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, როგორც პოლიტიკური ამოცანის არა სათანადოთ შეფასებას მთელი რიგ რაიონულ და ქვედა საფეხურის ორგანიზაციების, კომკავშირული, პროფესიონალური, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მხრივ, სახალხო განათლების განყოფილებათა, წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საზოგადოებების მხრივ.

წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ოპერატიული გეგმა არ არის მიყვანილი ქვედა საფეხურის ორგანიზაციებამდე; სამეურნეო ორგანოები უყურადღებობას იჩენენ თანხების მობილიზაციისათვის წერა- კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ფონდის გასაძლიერებლად და სხვ. ყველა ეს კი საფრთხეს უმზადებს ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების საბრძოლო ამოცანების მთლიანად შესრულებას საქართველოში. წ.კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ 1932 წლის პირველ იანვრისათვის.

საჭიროა წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში მოხდეს გადამჭრელი გარდატეხა, სახალხო განათლების ორგანოებმა პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა და სხვა სამეურნეო კოოპერატიულმა ორგანიზაციამ უნდა აიღონ ბოლშევიკური ტემპები წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, ძირშივე უნდა აღკვეთოს ყოველგვარი ოპორტუნისტული დამოკიდებულება ამ ამოცანის შესრულების დარგში, და მთლიანად უნდა უზრუნველვყოთ საქ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის 31 ოქტ. ისტორიული დოკუმენტის განაღდება. საქ. კ.პ.(ბ) ც.კ ავალებს „ა.-კ. სამხარეო კომიტეტს და ნაცკომპარტიებს, ცენტრალურ კომიტეტებს პირველ რიგში უზრუნველყონ წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია და საყოველთაო სწავლების შემოღება 1932 წლის საქართველოსა და სომხეთში და 1933 წელს აზერბეიჯანში" (საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ას 31 ოქტომბრის დადგენილებიდან).

რეიდის მონაწილენი: მ. ოქროპირიძე, ვ. საკაშვილი, მ. მჭედლიშვილი, ი. ზაალიშვილი, მ. არუთინოვი, ი. იტრიევი, ი. ტურაშვილი, შ. ჩხარტიშვილი, ვ. დადიანი, ე. ვაშაყმაძე, აკ. კეცელია, ერ. ზამთარაძე, ი. ბიბინეიშვილი, ფ. წულაია, მ. მუმლაძე, ნ. იტრიევი.

საუკეთესო გაწყვილებულ ბრიგადების საკავშირო შეჯიბრება

თბილისის დეპო ჩაება შეჯიბრებაში

გაზ. „პრავდა"-ს ინიციატივით 1-ლ დეკემბრიდან 1932 წლის 1-ლ თებერვლამდე ტარდება საუკეთესო გაწყვილებული ბრიგადების სრულიად საკავშირო შეჯიბრება.

საბჭოთა კავშირის თვითეულმა რკინის გზამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად უნდა გამოყოს ერთი საბარგო და ერთი სამგზავრო ორთქლმავალი. სულ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 57 საუკეთესოგაწყვილებული ბრიგადა.

შეჯიბრების მსვლელობა გაშუქებული იქნება „პრავდა"-ს ფურცლებზე.

27 ნოემბერს თბ. დეპოში შესდგა მემანქანეებისა, ადგილობრივი მუშკორებისა და აქტივის კრება, რომელზედაც განხილული იქნა პარტიის ცენტრ. ორგანო „პრავდა"-ს მოწოდება მემანქანეების საკავშირო კონკურსში ჩაბმის შესახებ.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ აზრი გამოსთქვეს: **იაბლონსკიმ, სუხარუკოვმა, ტანსეიჩუკმა, ფირცხალავამ და ყურულმა.** აღნიშნული ამხანაგები აღნიშნავდენ საკავშირო შეჯიბრების უდიდეს მნიშვნელობას და საჭიროთ სცნობდნენ მასში ფართო მონაწილეობის მიღებას.

კრებაზე საკავშირო შეჯიბრში ჩასაბმელად გამოიყო 2 ორთქლმავალი. № 5289 (მძლავრი) და 22-ბ (სამგზავრო). აღნიშნული ორთქლმავლებზე მიმაგრებულნი არიან ბრიგადები შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით; **ფირცხალავა ვლადიმერი, მარქაროვა ალექსანდრე, სამხარაძე აკაკი, ზინჩენკო, კოპალაძე იოსები, იტრიევი, კარგინი, და ერისთავი** აღნიშნული ორთქლმავლები თავიანთი ბრიგადებით საკავშირო შეჯიბრში ჩაებენ ა. წ 1-ლ დეკემბრიდან.

გარდა ამისა, თბ. დეპოს ადგილობრივ პროფორგანიზაციაში განცხადება შეიტანეს საკავშირო შეჯიბრში ჩაბმისათვის: მძლავრი ორთქლმავლის 5307-ის ბრიგადამ — **ჩუბინოვმა, ტაიროვმა, ნონიკაშვილმა და ახობაძემ.** სამგზავრო ორთქლმავალი 126 ბ-ეს ბრიგადამ: **ტანასიჩუკმა, დანბრავამ, კოხრეიძემ, და სიმონიძემ.** სამგზავრო ორთქლმავალ 115 ბ-ეს ბრიგადამ: **მაკოვკინმა, ვიტმანმა ბუაძემ დაკრენდიასოვმა.**

იძულებითი ასორტიმენტის შესახებ სავაჭრო საწარმოებში

(საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმისა და ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის კოლეგიის გაერთიანებული სხდომის დადგენილება)

1. მომხმარებლებისათვის ადვილად გასასაღებელი საქონლის (ჩულქები, წინდები კალოშები და სხვ.) დატვირთვის სახით ძნელად გასასაღებელი საქონლის (ტაკინები, საცხი, გალსტუკები, პუდრა და სხვ.) სისტემატიური მიცემისათვის:

ა) მაღაზიის № 8-ის და „სარეწაო კავშირი"-ს ფარდულის № 2-ის გამყიდველებს ნერსესოვი და ოშოგანეზოვი მოიხსნან თანამდებობიდან და ჩამოერთვავათ მათ სარეწაო კოოპერაციის სისტემაში ერთ წელი წადს მუშაობის უფლება;

ბ) „სარეწაო კავშირი"-ს მაღაზიის № 88-ის გამყიდველს არაბაჯიანს და „ინწრომა"-ს მაღაზიის № 2-ის გამყიდველს ავეტოსოვს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

გ. „სარეწაო კავშირი"-ს მაღაზიების №№ 8 და 88-ის და ფარდულის № 2-ის გამგეებს ამხ. ოქროპირიძეს, დავიდოვს და კვირკველიას გამოეცხადოთ საყვედური იმისთვის, რომ მათ თავის დროზე არ მიიღეს ზომები გამყიდველების მიერ დატვირთვის სახით საქონლის გაცემის წინააღმდეგ.

4. „სარეწაო კავშირი"-ს მაღაზიის № 1-ის გამგეს ამხ. მეგრაბიანს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით იმისათვის, რომ მან არ დაუშვა ა.-კ. მუშგლეხინის წარმომადგენელი გამყიდველების დიდზურაბოვის და მეგრებიადასაკითხავად, რომელთაც ძალცეს ძნელად გასასაღებელი საქონელი, როგორც ადვილად გასასაღებელი საქონლის დატვირთვა, აგრეთვე იმისათვის, რომ მან გამყიდველებს მისცა განკარგულება ძნელად გასასაღებელი საქონლის გაცემის შესახებ (ადვილად გასასაღებელი საქონლის იძულებითი დატვირთვის სახით).

5. „ინწრომა"-ს არტელის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. კალანდაძეს და „სარეწაო კავშირი"-ს საცალო ვაჭრობის სექტორის გამგეს ამხ. არუთინოვს მიეთითოთ, რომ დაუშვებელია დატვირთვის პრაქტიკა, დეფიციტიური და ადვილად გასასაღებელი საქონლის გაყიდვის დროს, და მიეცეთ მათ წინადადება—მიიღონ გადამწყვეტი ზომები ამ პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, ამასთან სასამართლოს პასუხისგებაშიც კი მისცენ საბჭოთა ვაჭრობის პრინციპების დამრღვევნი.

6. წინადადება მიეცეს ა.-კ. მომარაგების სახალხო კომისარიატს—მიიღოს გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ სასწრაფოდ მოისპოს ყოველგვარი საქონლის იძულებითი ასორტიმენტის ან დატვირთვის წესით გაშვების პრაქტიკა, ამასთან პასუხისგებაში მისცეს ამაში დამნაშავე პირები.

რესპუბლიკანურმა და რაიონულმა საკონტროლო კომისიებმა-მუშგლეხინებმა დააწესონ ამის მეთვალყურეობა, აგრეთვე პერიოდულად შეამოწმონ სავაჭრო წერტებში საქონლის გაცემის წესი და ამ მუშაობაში ჩააბან მუშათა ფართო საზოგადოებრივობა.

7. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

ფოთის ქალაქის მეურნეობის რეკონსტრუქცია

საქართველოს სახკომსაბჭომ მოისმინა ფოთის ქალაქის საბჭოს მოხსენება ფოთის ქალაქის მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ საქართველოს სახკომსაბჭომ სცნო, რომ ქალაქი ფოთი, დიდ მიღწევებთან ერთად, ძალიან ჩამორჩა სოციალისტური მშენებლობის განვითარების ტემპებს კომუნალური კეთილმოწყობის დარგში.

სხვა ღონისძიებათა შორის, საქართველოს სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო დაუყონებლივ დაწყებული კანალიზაციის პროექტის შედგენა. ამავე დროს უნდა დაჩქარდეს მუშაობა წყალსადენის პროექტის შესადგენად.

აბანოების მშენებლობის მხრივ გათვალისწინებულია აბანოების აგების დაწყება და დამთავრება 1932 წლის გახმავლობაში, რისთვისაც გადადებულია 100,000 მანეთი. საბინაო მშენებლობისათვის გადაიდო 1.200.000 მანეთი, ქალაქის კეთილმოწყობისათვის—200.000 მანეთი, ქალაქის ტრანსპორტისათვის—200.000 მანეთი.

რიონის ნაოსნობას წინადადება მიეცა—მოაგვაროს გემების ნორმალური მიმოსვლა რიონზე, ხოლო საბჭოთა სავაჭრო ფლოტს—დააწესოს შემდეგი რეისი: ანაკლია რედუტ—კალე-ფოთი (ადს).

ვინ მფარველობს მოქ. ლეჟავას?

(სადგ. ყარაია)

სადგ. ყარაიაში სადგურის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე დაინიშნა მოქ. ლეჟავა. ვინ არის მოქ. ლეჟავა, იგი ყოფილი მენშევიკია. რომელიც აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1924 წ. ავანტიურის დროს, ამის გამო, ის გადასახლებულიც იყო. მოქ. ლეჟავა მსახურობდა გორის ქალაქის სადგურში „სოიუზტრანსში". ქურდობისა და სხვადასხვა კომბინაციების გამო იგი მოხსნილ იქნა თანამდებობიდან. ლეჟავა რაღაცა მახინაციებით მიმდინარე წლის 10 აპრილს მოევლინა სადგურ ყარაიას. აქ მან დაივიწყა ძველი ხელობა. მან მოხსნა სამუშაოდან ზოგიერთი ენერგიული ამხანაგები და მის ნაცვლად ნათესავები მოაწყო. საბარგო განყოფილებაში მოხსნა თანამდებობიდან ზოგიერთი ამხანაგები და მის მაგიერად მოიყვანა თავის ცოლის ძმა და ბიძაშვილი. აქედან იწყება ყარაიაში სისტემატიური ქურდობა, სტეხენ საპნის ყუთებს, სჭრიან შაქრის ტომრებს, ხორბლის ტომრებს და სხვ. ამ ბოროტმოქმედებაში ლეჟავაც ღებულობს მონაწილეობას.

გარდა ამისა, საბარგო განყოფილებიდან მოქ. ლეჟავას დახმარებით მოიპარეს 40 ცალი ტომარი და გაყიდეს.

მოქ. ლეჟავას „საქმიანობა" მარტო ქურდობით არ ამოიწურება, ის გორში სისტემატიურად აგზავნის თავის საქმისათვის მუშებს, გაცდენილ დღეებს კი წერს რკინის გზის ხარჯზე.

ლეჟავამ კომბინაციით გამოიტანა ორი სასურსათო წიგნაკი. ის არც ქრთამებს ერიდება მეისრეებისაგან. ხშირად ღებულობს უფასოთ კარაქს, რძეს და სხვ.

მოქ. ლეჟავა არა სცნობს ადგილობრივ პროფორგანიზაციებს. ის მათ ზედმეტ ბალასტს უწოდებს, ადგილკომის და კომკავშირის წინააღმდეგ სისტემატიურად იბრძვის. დაბალ მუშა-მოსამსახურეებს დევნის და ავიწროებს.

ამის გამო მოქ. ლეჟავა ადგილობრივმა პროფორგანიზაციამ კავშირიდან გარიცხა, მაგრამ ის თავისას მაინც არ იშლის.

ლეჟავა კი ისევ განაგრძობს თავის „საქმიანობას", როგორც ჩანს დირექციაში მას მფარველიც ჰყოლია.

საჭიროა დაუყოვნებლივ მოგვაშორონ მოქ. ლეჟავა—ასე გაიძახის მისი მოქმედებით აღშფოთებული სადგურის მუშა-მოსამსახურეები.

კრიტიკოსი.

ქრონიკა

ექვსდღიანი კვირა განათლების დაწესებულებებში

განათლების სახალხო კომისარიატმა აცნობა განათლების განყოფილებებს 6 დღიან გაწყვეტილ კვირაზე გადასვლის შესახებ და სათანადო ინსტრუქცია მისცა. რაც შეეხება დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს—მათი გადასვლა 6 დღიან გაწყვეტილ კვირაზე მოხდება ცალკე ინსტრუქციის საფუძველზე, რომელიც განსახკომის მიერ ამ დღეებში იქნება გადაგზავნილი.

ხონში საფუძველი ჩაუყარეს ამხ. ვალია ბახტაძის ძეგლს

ხონის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, ამხ. ვალია ბახტაძის გარდაცვალების წლის თავზე ხონში საფუძველი ჩაეყარა მის ძეგლს. პრეზიდიუმმა დაადგინა აგრეთვე დაარქვას პედტექნიკუმს და ერთ ქუჩას ამხ. ვალია ბახტაძის სახელი.

სათიბი მანქანების სადგურები

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო მოწყობილ იქნას ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მესაქონლეობის ძირითად რაიონებში სათიბი მანქანების 10 სადგური. აქედან აზერბეიჯანში—5, სომხეთში—2 და საქართველოში—3.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცათ—ერთი დეკადის ვადაში განსაზღვრონ ის რაიონები, სადაც უნდა მოეწყოს სათიბი მანქანების სადგურები (ადს).

სხვადასხვა

— პედინსტიტუტის ქიმიურ აუდიტორიაში, დღეს საღამოს 8 საათზე შესდგება საერთო კრება. პროფ. ე. ნათაძე გააკეთებს მოხსენებას: „დოპშის ისტორიული მოღვაწეობა და მისი კრიტიკა". შესავალი სიტყვა დოცენტ—ს. ყ. ალიჩავასი,

გ. ნიკოლაძის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

კვირას 6 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესდგება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების და მისი მთავლური განყოფილების გაერთიანებული საჯარო სხდომა მიძღვნილი საზოგადოების წევრ-დამაარსებლის და მთასვლური განყოფილების მუდმივი თავმჯდომარის გიორგი ნიკოლაძის ხსოვნისადმი. შესვლა თავისუფალია.

შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტი"-ს 1931 წ. ნოემბრის 25-ის ნომერში (№ 270) დაბეჭდილი სსრ სახკომსაბჭოს ა. წ. ნოემბრის 16-ის დადგენილების „თუთუნის" და თრიმლის თავისუფალი ვაჭრობის აკრძალვის შესახებ" მეოთხე მუხლის სწორი ტექსტი ასეთია:

„4. ამა დადგენილების 1-სა და მეორე მუხლში აღნიშნული წესის დარღვევისათვის დამნაშავე მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლის თანახმად.....„და არა „3 მუხლის თანახმად", როგორც ეს დაბეჭდილია.

აღვზარდოთ პროლეტარული მუსიკოსების პოლიტიკურად მომზადებული კადრები

საქართველოს მუსიკალური ინსტიტუტის გამოკვლევამ მუშგლეხინისა და საქართველოს განსახკომთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორის კავშირის მიერ ცხადჰყო, რომ თბილისის მუსიკალურმა ინსტიტუტმა ვერ შესძლო მუსიკის დარგში საშემსრულებლო კადრების მომზადების ამოცანის შესრულება.

საგნების უმრავლესობაში ინსტიტუტს არ გააჩნია პროგრამები, სტუდენტები არ არიან უზრუნველყოფილნი სასწავლო სახელმძღვანელოებით. დაბალ დონეზე სდგას დისციპლინა, ცუდია სტუდენტების წარმატება მეცადინეობაში.

გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ სტუდენტების ძირითადი მასა არ არის პოლიტიკურად მომზადებული, რაც იმით აიხსნება, რომ პოლიტმეცადინეობას საკმაო საათები არა აქვს დათმობილი.

ინსტიტუტის პედაგოგიური შემადგენლობა იჩენს აპოლიტიურობასა და უინიციატივობას, პედაგოგებს შორის ადგილი აქვს კონსერვატიზმის ელემენტებს, რაც გამოხატება მუშაობის ახალი მეთოდებისადმი წინააღმდეგობის გაწევაში, უფრო მეტად თვითკრიტიკას, ადგილი აქვს კარჩაკეტილობას მუშაობაში და სხვ.

ცუდი ხელმძღვანელობა ეწევა ასპირანტების მუშაობას, რომელთა მონაწილეობაც ინსტიტუტის ცხოვრებაში არ არის საკმარისი.

ინსტიტუტს კავშირი არა აქვს მუშფაკთან და წარმოებასთან.

საწარმოო პრაქტიკას ადგილს იჭერს ცალკე გამოსვლები კონცერტებზე.

საქართველოს მუშგლეხინის კოლეგიამ აღნიშნა აგრეთვე არადამაკმაყოფილებელი მუშაობა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, რომელთაც წინასწარ ვერ აღმოფხვრეს დეფექტები ინსტიტუტის მუშაობაში და ვერ უზრუნველჰყვეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა.

გარკვეული კლასობრივი შეხედულების უქონლობამ ინსტიტუტის შევსების დროს გამოიწვია პირადი შემადგენლობის ავსება სოციალურად უცხო ელემენტებით.

საქართველოს მუშგლეხინის კოლეგიამ წინადადება მისცა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას—გადასინჯოს სასწავლო გეგმები, შეადგინოს სპეციალისტების გამოშვების ვადები, დაუკავშიროს მათ საჭიროება კადრების მომზადების, მორიგ ამოცანებს, აღთხვრას გეზი ვირტუოზებზე, ინდივიდუალიზმსა და ცალკე მუსიკოსებზე.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მუშათა მასის ფართოდ შესვლა ინსტიტუტში, დაჩქარებულ უნდა იქნას მუშფაკის რეორგანიზაცია, დამყარდეს კავშირი წარმოებასთან—კადრების შესაგროვებლად მუშათა თვითმოქმედ მუსიკალურ წრეებიდან სამრეწველო რაიონებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში (ადს).



ბაქოს საფაბრიკო-საქარხნო რაიონში დამთავრდა სახანძრო დეპოს ახალი შენობის გეგმა

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში

+ ამხ. მარიამ ორახელაშვილი არჩეულია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ნამდვილ წევრად და მოწვეულია პედოლოგიურ სექციის გამგედ.

✱ 5 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში შესდგება მატერიალურ კულტურის ისტორიის დარგში მომუშავეთა თათბირი. შემდეგი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ამხ. ტერ-ავეტისიანი, ლომია, ნიორაძე, ჩიტაია, მაკალათია; ამირანაშვილი (საქ. მუზეუმი).

✱ 5 დეკემბერს დღის 2 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში შესდგება ლინგვისტიური თათბირი; შემდეგი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ვ. შარია, [illegible], [illegible], [illegible], კარბელაშვილი, ფანჩვიძე; გონიაშვილი; ძიძიგური, ღლონტი; ჩიქოვანი, გოზალიშვილი, [illegible]შვილი; ზვიადაძე, კოკილაძე; ქუტელია.

✱ 5 ნოემბ. საღ. 7 საათ. შესდგება საქ. და ა.-კ. ხალხთა ლიტერატურის ისტორიის სექციის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ს. ხუნდაძე, ს. წვერავა, დ. დემეტრაძე, პროფ. კ. კეკელიძე; მელაძე, ალ. ბარამიძე, გ. ნატროშვილი; კუბლაშვილი დ.; გიგინეიშვილი შ., ფილდოსიშვილი და ნაროუშვილი.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა „რემედასის" დეკადის (ათდღიურის) ჩატარების შესახებ

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის (რემედასის) მატერიალური სახსარის გაძლიერებისა და მისი იდეების და ამოცანების პოპულიარიზაციის მიზნით—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1: ნება დაერთოს რევოლიუციისათვის მებრძოლთა ორგანიზაციის (რემედასის) საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს ჩაატაროს საქართველოს სსრ მთელს ტერიტორიაზე ამა წლის დეკემბრის 15-დან დეკემბრია 24-მდე „რემედასის" დეკადა ქვემოთ შემდეგი მუხლებში აღნიშნულ საფუძვლებზე:

2) „რემედასის" საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს ნება აქვს:

ა) მოაწყოს დეკემბრის 18, 19 და 20-ს ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებებში ფულის შეგროვება ქულაბებით და აგრეთვე ყველა დაწესებულებასა და საწარმოში შეწირულებათა შეგროვება ფურცლებზე ხელის მოწერით:

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) მოაწყოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები სათანადო თემებზე, რისთვისაც გამოიყენოს საზოგადო აუდიტორიები და კინო-თეატრები, აგრეთვე რადიო-გადაცემა:

3: შემოღებულ იქნეს დეკემბრის 18, 19 და 20-ს გასართობსა და სანახაობაზე (თეატრი, კონცერტი, ცირკი, კინო და საბილიარდო) მნახველთათვის სპეციალური გამოსაღები ბილეთის ფასის 10 პროც. ოდენობით.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნება სამოკავშირო საკავშირო კანონმდებლობის წესით დადგენილი გამოსაღების გარეშე.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ ანხორციელებს „რემედასის" საქართველოს ცენტრალური კომიტეტი „რემედასის" ფონდის შესაქმნელად სპეციალური რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. დეკემბრის 3.
თბილისი.

დადგენილება

საქ. შრომის კომისარიატისა

ახლად დაარსებულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების აგროპერსონალით უზრუნველყოფის შესახებ

თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, საქ. სსრ და მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკების ტერიტორიაზე მყოფ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების აგრონომებით უზრუნველყოფის შესახებ, საქ. შრომსახკომი ადგენს:

1. მობილიზებული იქნენ და მივლინებული ა.-კ. ტრაქტორცენტრის განკარგულებაში რაიონებში დასანიშნავად შემდეგი აგრონომები:

1. ჯაში კონსტანტინე—სას.-სამეურნეო ინსტიტუტი,
2. მამინოშვილი მიხეილ—ა.-კ. მექანიზაციის ინსტიტუტი.
3. ქოჩიაშვილი—ა.-კ. მექანიზაციის ინსტიტუტი,
4. ნიკოლაიშვილი—ზუგდიდის რაიკოლმეურნკავშირი:
5. ებრალიძე—„ნოვლუბტრესტის" ლანჩხუთის განყოფ.;
6. კვინიხიძე—კოლმეურნცენტრი;
7. სანაძე იოსებ—გურჯაანის რაიკოოპკავშირი;
8. არამიანი—ლიუქსემბურგის რაიმიწგანი;
9. მიქაძე ივანე—ცეკავშირი

2. აღნიშნული აგრონომები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ა.-კ. ტრაქტორცენტრის განკარგულებაში 3 დღის განმავლობაში, დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა.

3. დაწესებულებების ხელმძღვანელებს თავიანთ პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ევალებათ დაუყონებლივ განათავისუფლონ სამსახურიდან მობილიზებული აგრონომები და მიავლინონ დანიშნულ ადგილზე.

4. გზის დღიურების ხარჯები და ბინით აკმაყოფილებს ა.-კ. ტრაქტორცენტრი

5. ა.-კ. ტრაქტორცენტრს ევალება 5 დღის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, წარმოადგინოს საქ. შრომსახკომში სია იმ პირთა, რომლებიც არ გამოცხადდებიან მათთან.

6. შრომის ინსპექტორებს ევალებათ თვალყურის დევნა ამ დადგენილების თავის დროზე შესრულებისა.

საქ. შრომის სახ. კომისარი **ოდილავაძე.**

შრომსახკ. კოლეგიის წევრი კადრების გამგე **მახარაშვილი.**

შეთანხმებულია სახ. მიწსახკომთან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

1931 წლის 7 დეკემბერს საღამოს 7 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბინაზე შესდგება ც. კ-ის სარევიზიო კომისიის სხდომა. სავალდებულოა სარევიზიო კომისიის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

1931 წ. 5 დეკემბერს დილის 10 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში ამხ. მდივანთან უნდა გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის კულტპროპგანყოფილების შემდეგი შტატს გარეშე ინსტრუქტორები: თიკანაძე (ა.-კ. სახ. მ. უ. საბჭო), არუთინოვი ალექსანდრე (სომხეთის სახელმწიფო დრამა) ხუბოვი (ელიავას სახელობის ტექნიკუმი), პაპავა საშა (საფინანსო-კოოპერატიული ინსტიტუტი), ჯვალადაძე ლიდა (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), ატრიანი („პროლეტარი"-ს რედაქცია), ორლოვი (სატყ. ინსტ.) პონარენკო (ცენტ. პარტსკოლა), პოლოსოვი, (ცენტრ. პარტსკოლა), ასკერი (თურქ. პედტექ.) მენაბდე (სახ. პოლიტ. სამართ.) მაჩიტაძე (ა, კ, კომუნისტური უნივერსიტეტი) და ხრისტოლიუბოვი (ინდუსტრიალური მუშფაკი).

— 7 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე სახელგამში მოწვეულია ეკონომიური ლიტერატურის სარედაქციო კოლეგიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ: დ. დოლიძე, (საფინანსო-კოოპერატიული ინსტიტუტი) ინგ. კვიცარიძე (საფინ.-კოოპ. ინსტიტუტი), დ. გვაზავა („კომუნისტი"-ს რედაქცია), ზ. ჩხვაძე (ეკონომიურ. გამოკვლ. ინსტიტუტი).

— დღეს, 5 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რკინის გზის მერვე შრომის სკ. შესდგება სტალინის რაიონის კომუჯრედის ღია კრება. დასწრება პარტ-წევრკანდიდატებისა, ალკკ წევრებისა და უპარტიო მასწავლებლების აუცილებელია.

— 7 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში შესდგება ყოფილ წითელგვარდიელ-პარტიზანთა საერთო კრება. იქვე 5 ნახ. საათზე დანიშნულია კ. პ. ფრაქციის სხდომა. დასწრება ყველა ამხანაგებისათვის სავალდებულოა.

5 დეკემბერს, დილის სრულ 10 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის აგიტმასიური განყოფილებაში (ოთახი № 26) ამხ. პინსკისთან მოწვეულია თათბირი ამიერკავკასიის გზათა საინჟინერო ინსტიტუტის ავტოგზის განყოფილების კურსდამთავრებულთა განაწილების საკითხზე. საჭიროა ამხ. იაშვილის, უჩაევის, (ა.-კ. გზატრანსი), კულიევის, ელბაქიძის; შანცილის (ა.-კ. გზათა საინჟ. ინსტ.); რიბკოვის (მთავ. გზა. ტრანსი), კოროლკოვის (ნავთსადგურის მუშათა ცენტრალური კომიტეტი), კერვალიძის (ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის კავშირი), დასწრება დაუგვიანებლად.

დღეს, 5 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე (ევანგულოვის ქ., 12) შესდგება სამედიცინო ინსტიტუტის კომუჯრედის კრება. წევრკანდიდატთათვის დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპგანყოფილება იუწყება ,რომ 5 დეკემბერს დღის 10 საათზე ამხ. გორდელაძესთან შესდგება თათბირი პარტგანათლების მდგომარეობის შესახებ ტრანსპორტზე. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დაუგვიანებლად გამოცხადება სათანადო მასალებით: პლიევი (თბ. კომ.); ლენრაიკომის და „26"-ის რაიკომის კულტპროპები, სარემონტო ქარხნის თბილისის დეპოს და სადგ. ნავთლუღის პარტიული კომიტეტების კულტპროპები, ამხ. კრეიგინი, (ა.-კ. დეპ. საგ.), რუხაძე გ:, უუნჟუკოვი:

დღეს, 5 დეკემბერს, ცეკას კულტპროპში შესდგება „სარმა"-ს მუშაობის გამომკვლევი კომისიის სხდომა, უნდა დაესწრონ: შ. დუდუჩავა, შავგულიძე, ს. წვერავა, ამიროვი და ნ. ცხაკაია.

სახ. ოპერა

5 დეკემბ. 3 აბ. 5 წ. ვილჰელმ ტელი

6 დეკ. 5 აბ 5 წ. ნ. ნ. ხირედას მონაწ. ფაუსტი და ვალპ ღამე

7 დეკემბ. 7 აბ 5 წ. ნ. ნ. ხირედას მონაწილეობით რიგოლეტო

დასაწყისი საღ. 8 საათზე. ბილეთების გაყიდვა და საბონ. შეტანის მიღება 11-დან 2 საათამდე და 6-დან 8 საათამდე ნ. 3257

რუსთ. მ. თეატრი ა. ახმეტელი ხელმძღვანელობით

3 დეკ. მბ. 11 აბ 3 წ. სამნი

3 დეკემბ 1 აბ. 4 წ. განგაში

7 დეკემბ 1 აბ 4 წ. განგაში

ამ დღეებში კოტე იერა—შ. დადიანის „თეთნულდ" სწარმოებს ბილეთებზე წინასწარი ჩაწერა. დასაწყისი საღ 8 ს. ყველა წარმოდგენებზე ნაწილი ბილეთებისა დატოვებულია გასაყიდათ. ბილეთები იყიდება ყოველდღე თეატრის სალაროში დილის 11 საათ 2ს. მდე და საღ 6-დან 9 საათამდე. ნ. 3256

სახ. დრამა ა. ხორავას ხელმძღვანელობით

5 დეკემბ 3 აბ. 3 წარ. ანათემ მარსკვლავენო

6 დეკე ბ. 5 აბ 3 წ. შრიელ აკოსტა

პირველ დეკემბრიდან უნდა იყოს შემოტანილი მეოთხე გადასახადი. 5—4 ნ. 3226

სახელმწიფო კინოები

ხმოვანი კინო ოქტომბერი (ყ. აპოლო) სეან. 12,2,4,6 30,8-30,10-30

საღამოს კინო სპარტაკი სეან. დას. 6, 7-30, 9. 10-30

დღის კინო სპარტაკი სეან. და. 12 1-30, 3 ს.

რ. ლუქსემბურ. სახ. (ყოფ. მინიონი) სეან. დას. 6-30 8 9-30. 11.

კინო დამკვრელი (ყოფ. პალას) სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30.

კინო დარბაზი სეან. დას. 6, 7-30 9, 10-30.

ახალი ცხოვრებისაკენ საღამო ლია დღის 11 ს.-დან. ბავშვები 14 წლ არ ი ნიბიან დაშვებულნი

იხმაური ფილმი კრაზანა რეჟი ორი კ მარჯანიშვილი

მხატვრული ფილმი ავრიკ ზაური

ახალი მხატ. ფილმი კიკოს მ დარბინიანის ძოთხ სიხედვით რეჟისორი პ. ბარხუდარ ანი

კონრად ვეიდტ ახალ სურათში მანა შეჰვიძლია დავხვედეთ

მხატვრ. ფილმი ელისო რეჟისორი ნ. შენგელაია

სახ. ცირკი დასაწყ. 8 15 წ.

დღეს და ყოველდღე ახალი პროგრამა (4 ცოკლ.)

ჯვარედინი გაფრენა მთ ლი ცირკის მანძილზე

ქუჩეგლ იმა თემარ ბროკი

ტორიიკი 4 იმდალსი

6 დეკემბე ს დღის დიდი წარმოდგენა

ნ. 3255

ს. ს. ს. რ. მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობის ტრესტს (ლენინის ქ. № 32) ეჭიროება ბუხჰალტრები და მოანგარიშეები

ხელფასი შეთანხმებით. 2—1 3253

ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭო აცხადებს,

რომ სექციებზე მიმაგრება და საბჭოს წევრთა აღრიცხვის ვადა გაგრძელებულია 5 დეკემბრამდე, ვინც არ გამოცხადებულა, მათ ევალებათ ამ დროის განმავლობაში ჩატარდეს აღრიცხვაზე რაისაბჭოში (თავისუფლების მოედანი № 2. ყოფ. ქარვასლა—მეორე სართული ოთახი 28). აღრიცხვა იწარმოებს ყოველ დღე დილის 9 საათიდან 3 საათამდე საღ. 6 საათი ან 9 საათამდე

2—1 რაისაბჭ. პრეზიდ. ნ. 3239

შეცდომის გასწორება

სახელგამი აცხადებს, რომ ოლხოვის წიგნის „ლენინიზმის ანბანის" ახალ გამოცემაში გვ. 47, თავი მე-3 გაპარულია მეტად უხეში შეცდომა

მე 3 თავის ქვე სათაური უნდა შესწორდეს ასე: პროლეტარიატის საბოლოო მიზანი—კომუნიზმია.

სახელგამი სთხოვს პროპაგანდისტებს, დაწყებითი პარტსკოლების მსმენელებს და მკითხველებს იხელმძღვანელოთ მიიღონ ეს შესწორება.

ნ. 3244 სახელგამი.

კვირას, 6 დეკემბერს, საღ 8 საათზე. სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესდგება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების და მისი მთასვლური განყოფილების გაერთიანებული საჯარო სხდომა მიძღვნილი საზოგადოების წევრ დამაარსებლის და მთასვლური განყოფილების მუდმივი თავმჯდომარის გიორგი ნიკოლაძის ხსოვნისადმი შესვლა თავისუფალია. 2 1 946

მ. ა. ასათიანი

სიფილისის, ვენერიული და საშარდე-სასქესო სნეულებათა სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება—დილ. 9—12 ს. და საღ. 6—9 ს. პლეხანოვის პრ. ოსპ. № 7. შესავალი კუთხიდან, ნარიყალას ქ. № 1).—25. 25—17

ექიმი ნ. კონტოროვიჩი

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ქირჟინსკის ქ. № 9. (ყ. პეტრე დიდის ქ.) თმის ფერის მშეშელას, ქორფლის, მეჭეჭის ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება მიღ. 12-3 ს. და 6—8 ს. 8179 25—8

ს. ა. დიშელი

დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები სახის სილამაზის მოვლა

რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, ჭუჭყს, სიწითლეს, პორების გაფართოებას. ეჩხემას. აკნეს. თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. ძნელაძის ქ. № 22. 13—6 5464

ექიმი ს. ი. ანდრეევა დაბრუნდა

ნერვიულ სნეულებ, სპეც. ჯირკვლების და სახსრების სნეულება. ავადმყოფების მიღება 6—7 საათ. ელბაქიძის დაღმ. 29, (ყ. ვერის ხიდთან). 25—3 9018

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება დილით 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზირი № 116. სასტუმრო „ევროპა"-ს პირდაპირ. ტელ. 12—67. 8004 256—

ექიმი მ. ი. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტრო სინათლის სამკ. კაბინეტი პეტრიაშვილის ქუჩა (ყ. ნიკოლ.) 79 № 11. იღებს საღამოს 7—8. ტელ. № 21—45. 25—9

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად

პირადობის მოწმობა გიორგი თოდაძის № 60, ეფემია თოდაძის № 3635, გრიშა სიმონიშვილის № 23, მელიტონ მიქაძის № მ/23, კონსტანტინე მგალობლიშვილის, მათე მელქაძის № 1700, ხაშ დავითაშვილის. სამხედრო წიგნაკი შალვა კუტაიძის ვასილ ბაგრატაძის, ალექსანდრე მგალობლიშვილის, კონსტანტინე მგალობლიშვილის, სიმონ აბესაძის. მუშკოოპის წიგნაკი სიმონ ხარაბაძის. ანაა კეტერაძის. კავშირის წიგნაკი ვარდამ ქოჩქოლიანის № 67173, ალექსანდრე ბეგიაშვილის № 001-242 , მიხეილ კაკულიასი № 3062 სხვადასხვა ბიულეტენი ტანია ივანოვასი, დროებით დაზღვევის ფურცელი ტანია ივანოვასი, მეტრიკული ამონაწერი ნაიმ დავითაშვილის, ქორწინების მოწმობა ბორის რ ძიევსკის, რკინის გზის კოოპ. წიგნაკი № 9773 მელქი სიდამის, რკინის გზის კავშირის წიგნაკი № 3 731 ლადო მეღვინეშვილის. რკინის გზის პირადობის მოწმობა № 2384 ლადო პაპინაშვილის. 36

პროკავშირთან არსებული აღრიცხვის მუშაკთა გაერთიანების რესპუბლიკანური ბიურო

აცხადებს, რომ ანგარიშ-მცოდნე პირთა კვალიფიკაციის ამწევის მიზნით ამ წლის 10 დეკემბრიდან იხსნება მოკლევადიანი (თვიური) კოპირ-აღრიცხვის კ უ რ ს ე ბ ი (ქართულ-რუსულ ენებზე)

სამოსწავლო გეგმა: 1) კოპირ - აღრიცხვა, 2) 1932 წლისათვის ერთიანი ფინანსიური გეგმა. 3) საკრედიტო რეფორმა და სამეურნეო ანგარიში.

მსურველთაგან განცხადება მიიღება კურსების კანცელარიაში საღამოს 7-დან 9 საათამდე. ვოლოდარსკის ქ. ყოფ. მადათოვის № 5. (80 შრომის სკოლის შენობა).

აღრიცხვის მუშაკთა გაერთიანების ბიურო.

სარემონტო ქარხნის ა ლ. კ-ას კომიტეტი აუწყებს ქარხნის კოლექტივს, რომ ტრაგიკულათ გარდაიცვალა შალვა მაქსიმეს-ძე წეროძე დაკრძალვა კუკიის ახალ სასაფლაოზე 6 დეკემბერს 4 საათზე. 9651

სარემონტო ქარხნის პარტკომი იუწყება. რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა აქტიური ძმა შალვა მაქსიმეს-ძე წეროძე. დაკრძალვა კუკიის ახალ სასაფლაოზე 6 დეკემბერს 4 საათზე. გამოსვენება ორჯონიკიძის ქუჩა, (სააჩკის წინ). 9651

თბილისის საქალაქო სატრანსპორტო თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს პრეზიდიუმი აუწყებს ამ ორგანიზაციის წევრებს, რომ 4 დეკემბერს 31 წ. ტრაგიკულად გარდაიცვალა პრეზიდიუმის წევრი შალვა წეროძე გამოსვენება მოხდება ა. წ. 6 დეკემბერს. 3 საათზე ორჯონიკიძის ქ. № 152 9636

ერთიანი ნავთის-პროფკავშირი, ყველა მუშა მოსამსახურეები და სამანქანო სატრაქტორო მუშაკთა კავშირის რაიადგილკომი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ კავშირის თავმჯდომარის გამო ცხადი აგრონომ ამხ ნიკოლოზ ჩონიაძის უდროოდ გარდაცვალების გამო 9630

ჟ ალასანია, ა. ზაქრაძე ლ. ბუწაკალური, გ. ქართველიშვილი, ი. რაზიკაშვილი, პ. ობგაიძე, ნ. აბრამიშვილისა, ი. ლებანიძე, მ. ღამბაშიძე, დ. ქვანია, ი. ღვინიაშვილი, ხმ ლ ნიცკი, გ. ხელაძე.და მ ყურაშვილი მწუხარებას გამოსთქვამენ მეგობრის ნიკოლოზ ჩონიაძის გარდაცვალების გამო 9628

ტფილისის ბოტანიკური ბაღის და ა კ მც. დაცვის ფიტოპათოლოგიის სექტორის სპეციალისტთა ადგილობრივი ბიურო აუწყებს საზოგადოებას ბოტანიკოს ევგენი გიორგის ძე კენიგის გარდაცვალებას. გამოსვენება 1-ლი საავადმყოფოდან (ყოფ. ამიერკავკასიის) დღის 3 საათზე, 6 დეკემბერს

ბარბარე ხუციშვილი, დარია მესხელიშვილი ელენე აბულაძე, მარგალიტა აფხაზი, სოფიო ძაგანიშვილი თამარა ჩიჯავაძე, ანიკო საგინაშვილი ოჯახებითურთ იუწყებიან საყვარელი დედის ელისაბედ საგინაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ვერის სასაფლაოზე. 9647

გიგო, ნინო შარაშიძეები, მათი შვილები: შალვა ცოლშვილით, თამარა პარტიკაძე ქმარშვილით, დავით ცოლშვილით და კონსტანტინე მწუხარებით იუწყებიან პავლე ანანიას-ძე კალანდაძის უდროოდ გარდაცვალებას. 9626

25 ე საქარ. ხნო სათაბირო მეიდწლიდის მასწავლებლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. ფოცია კალანდაძის ძმის პავლე ანანიას-ძე კალანდაძის უდროოდ გარდაცვალების გამო. 9582

საქ. კომუნალური ბანკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ თანამშრომლის ვარვარა თმაიშვილის ძმის ლევან პავლეს-ძე კარბანოვის გარდაცვალების გამო № 9649

მარიამი, ერმილე და სიმონ თაყაიშვილები თავიანთ ოჯახებით იუწყებიან, რომ კვირას 6 დეკემბერს ახალ სენაკში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ პატარა ოთარიკო კაკუბერის ხსოვნის აღსანიშნავად. 9638

დაუვიწყარი მშობლები ემელიანე და ჯოლდი, ბებიები დედოფლე, ქეთევან ბიძა ვიქტორ კობახიძე იუწყებიან, რომ 6 დეკემბერს. ახალ სენაკში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის საყვარელი პატარა ოთარიკო კაკუბერის ხსოვნის აღსანიშნავად 9628

დედა ფილოსი, მამა იესტორო, ძმები პალაში ცახავა პატარა ცერეთ, ძმა პოლიკარპე, და ბებია, ბიძა იაკობი დავსტირით საყვარელ ზინა კაკულია—ცანავას გარდაცვალებას. 9642

ტფილისის მესამე სამედიცინო ტექნიკუმის დირექცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას უკანასკნელი კურსის მსმენელის თინა მიხეილის ასული ავალიშვილის უდროოდ სიკვდილს 9616

დავით ანტონის ძე ტოგონიძის

გულმოკლული ოჯახი გულითადად მადლობას უძღვნის ყველა დაწესებულებებს. ნათესავებს, გორელებსა და ხაშურელებს, რომელთაც პირადად დასწრებით თუ დეპეშით გაიზიარეს მწუხარება. 9637

დამწუხრებული ძიძიები და ვალიკო ამაშუკელები იუწყებიან, რომ საყვარელი დეიდის ფოტინე გამყრელიძე-ამაშუკელის ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია პანაშვიდი დღეს 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე

გულდაწყვეტილი ძმა ქრისტეფორე, რძალი ოლღა, შვილები: ვალოდია, ოლი ტატიანა ამიკოთი გედეონი. ლიზა. თეკლე. აუწყებენ ნათესაობას ბიძის ათანასე ფირანის-ძე ნიკოლაიშვილის გარდაცვალებას 9627

მეუღლე სარქია, შვილებით: გიორგი, კოლია, სტეფანე, თამარი, იდა, ნადია ქმარშვილით, რძლები: ქეთო და ნინო შვილებით იუწყებიან რომ უდროოდ დაჰკარგეს უსაყვარლესი სოფიო მარქარის-ას. ქსოვრილის დაკრძალვა სოფ. კათ სხევში 5 დეკემბერს

დამწუხრებულნი: დედა ანიჩკა, მამა ტასოში, ბებია თაია. ბ ბუა ტრიფონი ძანცაძეები იუწყებიან, რომ 7 დეკემბერს 4 საათზე კუკიის საფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მადონა იასონის-ას ცინცაძის ხსოვნის აღსანიშნავად 2—1 9643

მშობლები ვარდიკო და ყარამანი, დები: გოგუცა და მარუსია, სიძეები: ალექსანდრე და ილარიონი, ძმები კოწია, შალიკო, გიშა და ქალამი იუწყებიან აკაკი ყარამანის ძე რუხაძის ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე კვირას 6 დეკემბერს. 2 საათზე. 9647

ცოლი მარიამი. შვილები: ბაგრატი, ისიდორე, პაშა, სიძე დომენტი აკობია, რძლები: ოლღა. სალომე. შვილიშვილი: ნათელა, გულნარა იუწყებიან ანტონ ივანეს-ძე გეგიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 დეკემბ. საპ ქის ქ. № 28, 4 ს 9024

მიხაკო, ნატალია. ლიდა ილია. ალექსანდრე, ვანო, ოლია, ნატო სიმონი ქსენია, ბესო და საშა მოაიები და შავიშვილი ბუდუ მწუხარებით იუწყებიან ყველასათვის საყვარელ პავლე ანანიას-ძე კალანდაძის უდროოდ გარდაცვალებას და აფლავება ქ. ქუთაისში 9648

დამწუხრებული მშობლები მიხეილ, ელენე. ძმები: ვალიკო. ალიოშა, გოგია და ნუცა, რძალი ვერა ნინა ცისკარიშვილი ნორა მიხეილის-ასულ ფურცელაძის უდროოდ გარდაცვალებას და აფლავება ფოთში 6 დეკემბერს. 9650

შვილები: ვალენტინ, ელენე ვალიკო, თამარა. ლეო იდა ყვავა, მარია შვილიშვილი თინა, ლენა, მიდეია. რძლები: მამო და ა იროსაია კორძაიძე იუწყებიან საყვარელი დავით ლევანის ძე გოგ გერიძის გარდაცვალებას და დაკრძალვა 6 დეკემბერს. 2 საათზე სოფ ბაგდადში 2—2 9638

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტის რწმუნებული ა 923